კარლო ინასარიძე

ლევილის ქართული
მამულის
ბიბლიოთეკა

Bibliotheque du Chateau
de leuville
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
France

# რადიოდღიური

## ჯვარი

## ივერიონი

1983

რადიოდოკუმენტაცია

მიუნხენი 1984 წელი

[illegible]

# რადიოდღიური

## ჯვარი

## ივერიონი

1983

ლევილის ქართული
მამულის
ბიბლიოთეკა

Bibliotheque du Chateau
de leuville
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
France

[illegible]

[illegible]

მინაარსი
========

წინასიტყვა........................................1
რადიოდოკუმენტაცია..................................3
"ჯვარის" მონასტერი..................................5
"ჯვარის" მონასტრის ისტორია.........................16
იუდაიზმი-ქრისტიანობა-ისლამი........................23
"ივერიონის" მონასტერი..............................45
ლევან მენაბდე: "ივერიონის" ისტორია.................56
დამატება...........................................98

# წინასიტყვა

ეს რადიორეპორტაჟთა "მესამე დღიური" შეიქმნა 1983 წლის 26 სექტემბ-რიდან 10 ოქტომბრამდე, როცა მესამეჯერ ვიმოგზაურე ისრაელსა და სა-ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ შ ი და დავათვალიერე ქართული "ჯვარის" მო-ნასტერი იერუსალიმში და ქართული "ივერიონის" მონასტერი ათონის წმინ-და მთაზე.

პირველად "ჯვარისა" და "ივერიონის" მონასტრები და აგრეთვე კონ-სტანტინეპოლის=სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტერი დავათვალი-ერე 1967 წელს 18 იანვრიდან 29 იანვრამდე.

მეორედ "ჯვარისა" და "ივერიონის" მონასტერი დავათვალიერე 1981 წლის 16 აგვისტოდან 31 აგვისტომდე - "ივერიონის" მონასტრის ათასი წლისთავთან დაკავშირებით.

მესამედ კი, როგორც ავღნიშნე, "ჯვარისა"და "ივერიონის" მონას-ტერი დავათვალიერე 1983 წლის 26 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე.

პირველი ორი მოგზაურობის შემდეგ გამოვეცი რადიორეპორტაჟთა და რადიოგადაცემათა დოკუმენტური "კრებული"(მიუნხენი, 1980-1983 წლე-ბი, 529 გვერდი), და ახლა ეს რადიოდოკუმენტაცია - "სამება"("ჯვარი", "ივერიონი")- შეიძლება ჩაითვალოს, ასე ვთქვათ, "დამატებად" აღნიშნუ-ლი "კრებულისა", თუმცა აქაც შეუძლებელი გახდა განმეორებათა თავიდან აცილება, რაც რადიორეპორტაჟთა, რადიოდოკუმენტაციათა და,საერთოდ, რადიოგადაცემათა თავისებურობითაც უნდა აიხსნას.

ამ რადიოდოკუმენტაციის თუ რადიორეპორტაჟის დედა-აზრად კი სოლომონ ბრძენისა და ბერი თეოფილოპულოს სიბრძნე ავირჩიე, რომლი-თაც მსურს ამ"წინასიტყვის" დამთავრება:

"ადამიანმა - ამბობს ბერი თეოფილოპულოს სალსურ სიბრძნეზე დაყრ-დნობით - უნდა იცოცხლოს,სულ ცოტა, ხუთასი წელიწადი, რომ შეიგნოს სიცოცხლის ხანმოკლეობა". სოლომონ ბრძენი კი დასძენს:"თავმომწონე-ობათა თავმომწონეობა, და ყველაფერი თავმომწონეობაა, რაც სიკვდი-ლის შემდეგ არ არსებობს".

კარლო ინასარიძე

მიუნხენი, 1984 წელი

კარლო ინასარიძე

"Eitelkeit der Eitelkeiten, und alles ist
Eitelkeit, was nicht nach dem Tode existiert".

"თავმომწონეობათა თავმომწონეობა, და ყველაფერი თავმომწონეობაა, რაც სიკვდილის შემდეგ არ არსებობს".

# ჯვარი

**1983**

რადიო თავისუფლება
მიუნხენი 1984 წელი

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

## რ ა დ ი ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა:

## რეპორტაჟთა ციკლი: "ივერიონის" ქართული მონასტრის 1000-ხი წლის თავის გამო:

წამყვანი: (ხიგნალი,გალობა...)

დაპარაკობს დავით თაბორიძე!.. 1000-ხი წლის წინ, 980-983 წლებში,დაარსებულ და აშენებულ იქნა ივერიონის ქართული მო-ნასტერი ათონის წმინდა მთაზე საბერძნეთში.ამ იუბილესთან დაკავშირებით ჩვენი დღევანდელი პროგრამის მეორე ნაწილში გაგაცნობთ ჩემს მორიგ რა-დიოდოკუმენტაციას არა მარტო ივერიონის ქართული მონასტრის,არამედ იერუ-სალიმის ჯვარის ქართული მონასტრის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ჯერ კი მოვისმინოთ "ივერიონის" მონასტრის ზარების რეკვა, რომელიც მაგნეტოფონის ფირზე ჩავწერე 1967 წლის 27 იანვარს ათონის მთაზე:
(ფ ი რ ი...)

დიქტორი:"ივერიონის" ქართული მონასტრის დაარსება, 980-983 წლებში, ათონის მთაზე,საბერძნეთში,დაკავშირებულია იოანე მთაწმინდე-ლისა და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან;"ჯვარის" ქართული მონას-ტრის დაარსება იერუსალიმში კი-პეტრე იბერიელის მოღვაწეობასთან.

და "ივერიონის" ქართული მონასტრის დაარსებიდან 1000-ხი წლის შესრულებასთან დაკავშირებით, ვიმოგზაურე ქართული კულტურის ამ ორი ცენტრის ადგილებში - იერუსალიმსა და ათონის მთაზე, დავათვალიერე ეს მონასტრები, და მსურს გაგაცნოთ ჩემი შთაბეჭდილებანი "ჯვარისა" და "ივერიონის" მონასტრების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

მე,პატივცემულო მსმენელებო, ჯვარის მონასტერი იერუსალიმში და ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე დავათვალიერე სულ სამ-ჯერ:

პირველად- 1967 წლის 18-ი იანვრიდან 29-ა იანვრამდე-დავათვალიე-რე ჯვარის მონასტერი იერუსალიმში, ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე და აგრეთვე ქართული კათოლიკური მონასტერი კონსტანტინეპოლში=სტამბოლში.

მეორეთ - 1981 წლის 16-ი აგვისტოდან 31-ტ აგვისტომდე - ისევ

დავათვალიერება ჯვარის მონასტერი იერუსალიმში და ივერიონის მონას-
ტერი ათონის მთაზე, და

<u>მესამეჯერ</u> - 1983 წლის 26-ი სექტემბრიდან 10-თ ოქტომბრამდე - დავათვალიერე ისევ ჯვარის მონასტერი იერუსალიმში და ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე.

უნდა ავღნიშნო აგრეთვე ისიც, რომ რადიოდოკუმენტაციათა ამ ციკლში მე გადმოგცემთ აგრეთვე <u>ჯვარის</u> მონასტრის <u>ზარების რეკვას</u>, რომელიც მე მაგნეტოფონის ფირზე 1967 წლის 19-ც იანვარს გადავიღე; აგრეთვე <u>ივერიონის</u> მონასტრის ზარების რეკვას, რომელიც მაგნეტოფონის ფირზე გადავიღე ორჯერ: პირველად 1967 წლის 27 იანვარს, ხოლო მეორედ 1983 წლის 5-თ ოქტომბერს.

ჩემს რეპორტაჟთა ამ რიგს ვიწყებ <u>ქრონოლოგიურად</u>, ე.ი. დროს ისეთი თანამიმდევრობით, როგორც ვნახე მე ჩვენი ეს კულტურის ცენტრები 1983 წლის 26-ი სექტემბრიდან 10-თ ოქტომბრამდე. <u>(გალობა:"შენ ხარ ვენახი")</u>

<u>დავით თაზორიძე:</u><u>(რადიოდოკუმენტაცია 1-ლი, მე-2 და ა.შ.)</u>

და-ბოლოს მოვისმინოთ ივერიონის მონასტრის ზარების რეკვა,რომელიც მაგნეტოფონის ფირზე ჩავწერე 1983 წლის 5-თ ოქტომბერს ათონის მთაზე.
<u>(ივერიონის ზარების რეკვა...)</u>

<u>დასასრული:</u> ეს იყო ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან ივერიონის მო-ნასტრის 1000-ხი წლისთავი.
ლაპარაკობს რადიო"თავისუფლება!..
(სიგნალი)

---

<u>ჩ ა ნ ა რ თ ე ბ ი:</u>

1. და აქ მხურს შევწყვიტო ჩემი დღევანდელი რადიოდოკუმენტაციის გადა-ცემა "ჯვარის"("ივერიონის")მონასტრის შესახებ. დღეისწორს,ამავე დროს განვაგრძობ ჩემს მორიგ საუბარს ამავე თემაზე.
2. განვაგრძობ ჩემს რადიოდოკუმენტაციის გადაცემას "ჯვარის"("ივერი-ონის") მონასტრის შესახებ იერუსალიმში(ათონის მთაზე).
3. ამ ჩემს რადიოდოკუმენტაციაში მსურს მოგაგონოთ ზოგიერთი ცნობები ქართველთა მოღვაწეობაზე პალესტინაში(ათონის მთაზე);...........

# ჯვარი

**1983**

I.

1963 წელს აღინიშნულ იქნა ათონის წმინდა მთის ათასი წლისთავი,ვინაიდან 963 წელს დაარსებულ იქნა "დიდი ლავრას" პირველი მონასტერი ათონის მთაზე, ათანასე მთაწმინდელის მიერ. 972-980 წლებში, სამი ძმების ათანასეს, ნიკოლოზისა და ანტონის მიერ, დაარსებულ იქნა ვატოპედის მონასტერი. 980 - 983 წლებში კი ქართული მონასტერი "ივერიონი" დაარსებულ იქნა ათონის მთაზე წმინდა მამა იოანე მთაწმინდელის მიერ. "ივერიონის" მონასტრის 1000 წლისთავი ათონის მთაზე აღინიშნეს მხოლოდ 1980 წელს; რადიო "თავისუფლების" ქართულმა რედაქციამ კი "ივერიონის" მონასტრის ათასი წლისთავი აღნიშნა 1980 - 1983 წლებში, რომლის დროს რადიოთი გადაცემულ იქნა სამოცდაექვსი ნახევარსაათიანი რადიოდოკუმენტაცია, რაც, როგორც ხუთას-ოცდა-ცხრა-გვერდიანი კრებული გამოცემულ იქნა სახელწოდებით -"ივერიონი","დაარსების მე-1000 წლისთავი", "რადიოდოკუმენტაცია","მიუნხენი,1980-1983 წლები".

II.

"ჯვარის" ქართული მონასტერი იერუსალიმში და "ივერიონის" ქართული მონასტერი ათონის წმინდა მთაზე დღემდე მოვილოცე სულ სამ-ჯერ: <u>პირველად</u>,1967 წლის იანვარში, ვიმოგზაურე იერუსალიმში, როცა ეს ქალაქი გაყოფილი იყო ისრაელსა და იორდანიას შორის. მაშინ იერუსალიმში ჩავედი ისრაელის სახელმწიფოს ვიზით, ვინაიდან "ჯვარის" მონასტერი ისრაელის სექტორში იყო, ხოლო იერუსალიმის "ძველი ქალაქი" იორდანიის სექტორში,

რის შემდეგად იერუსალიმის "ძველი ქალაქის" დათვალიერება მაშინ ვერ შევძელი. იერუსალიმიდან იმავე 1967 წლის იანვარში გავფრინდი სტამბოლში=კონსტანტინოპოლში და დავათვალიერე იქ ქართული კათოლიკური მონასტერი, რომლის წინამძღოლი იყო პავლე აკობაშვილი. კონსტანტინოპოლიდან, ათენზე გავლით, ჩავფრინდი თესალონიკში და იქიდან იმავე 1967 წლის იანვარში ავედი ათონის მთაზე და მოვინახულე ჩვენი ქართული მონასტერი "ივერიონი".

მეორეჯერ იერუსალიმსა და ათონის მთაზე ვიმოგზაურე 1981 წლის 16 აგვისტოდან 31 აგვისტომდე. იერუსალიმში, იმხანად, "ჯვარისა" და"ძველი ქალაქის" გარდა, დავათვალიერე ქრისტეს შობის წმინდა ქალაქი - ბეთლემი, რომელიც იერუსალიმიდან სულ 30 კილომეტრითაა დაშორებული. იერუსალიმიდან, შემდეგ, ათენსა და თესალონიკზე გავლით, ავედი ათონის მთაზე და ვესტუმრე "ივერიონის" ქართულ მონასტერს.

მესამეჯერ კი "ჯვარისა" და "ივერიონის" მონასტრებს ვესტუმრე 1983 წლის 26 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე. ამ-ჯერად, პალესტინაში,ე.ი.ისრაელში მოვინახულე იერუსალიმში "ჯვარის" მონასტერი და "ძველი ქალაქი"; ვიმოგზაურე აგრეთვე ისეთ ისტორიულ ადგილებში, როგორიცაა "მასადას" ძველთაძველი ციხე-სიმაგრე თუ ქალაქი იერიქო. იერუსალიმიდან კი,ისევ ათენსა და თესალონიკზე გავლით, ავედი ათონის მთაზე და კიდევ ერთხელ მოვილოცე "ივერიონის" ქართულ მონასტერში.

## III.

სხვათა შორის, როცა რადიო"თავისუფლების" ხელმძღვანელობას პირველი, მეორე და მესამე მოგზაურობის ნებართვა მოვთხოვე და ყოველთვის განსაზღვრულ წინააღმდეგობას წავაწყდი, ჩემმა (ირონიულმა?) შენიშვნამ - "არაფერია, თუ ახლა ვერ შევძლებ "ივერიონის" დათვალიერებას, მაშინ, შეიძლება, შევძლო იქ

გამგზავრება, როცა"ივერიონს" დაარსებიდან 2000-ი წელი შეს-
რულდება მეთქი". როგორც ჩანს, ამგვარ "შენიშვნამაც" ხელი
შეუწყო ჩემი ამ სამი, მეტად შთამაგონებელი, მოგზაურობის
განხორციელებას
ქართული რელიგიური და საერო კულტურის ისეთ ცენტრებში, რო-
გორიცაა "ჯვარისა" და "ივერიონის" ქართული მონასტრები, თუმ-
ცა ორივე დღეს ბერძენთა უფლებამოსილების ქვეშაა.

IV.

ჩემი მესამე მოგზაურობა პალესტინასა და ათონის მთაზე,როგორც
ავღნიშნე, დავიწყე 1983 წლის 26 სექტემბერს, ორშაბათს, როცა
ჩავფრინდი ტელ-ავივის აეროდრომზე და იქიდან ტაქსით მივედი
იერუსალიმში და დავბინავდი "დიპლომატის" ჰოტელში. თუ დავეყრ-
დნობით იმ ცნობას, რომ - როგორც მარი ბროსე წერს - "იმისი
(ე.ი."ჯვარის" მონასტრის.კ.ი.) საფუძველი დიდის კონსტანტინე
ბერძენთა და რომთა იმპერატორის დროს მირიან მეფეს დაუდვია",
და რომ, - როგორც ი.სტოვბენი წერს - "ივერიის შვილთა კულტუ-
რული მოღვაწეობა პალესტინაში განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს
იღებს მას შემდეგ, რაც იქ მკვიდრდება დიდი ქართველი მოაზროვნე
პეტრე იბერი(411-491) - მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ
საქართველოში ქრისტიანიზმის სახელმწიფო რელიგიად გამოცხა-
დება და იერუსალიმში "ჯვარის" ქართული მონასტრის დაარსება
დაახლოებით ერთდროულად, ე.ი.337 წელში უნდა მომხდარიყო,რაც -
თავის მხრივ - იმის ვარაუდის საშუალებასაც იძლევა, რომ 1983
წელი არა მარტო "ივერიონის" ქართული მონასტრის დაარსების
1000-ი წლისთავია, არამედ იერუსალიმის "ჯვარის" ქართული
მონასტერის დაარსების 1655-ი წლისთავიც შეიძლება იყოს, თუ
"ჯვარის" მონასტრის დაარსებას, ქრისტიანიზმის სახელმწი-
ფო რელიგიად გამოცხადების, ერთი წლით უფრო გვიან დავათარიღებთ.
მაგრამ ამ-ჯერად დავანებოთ თავი "ჯვარის" მონასტრის საიდუმლოებით მოცული დაარსე-
ხების თარიღის დაზუსტებას, და დავკმაყოფილდეთ იმით, რაც
ჩვენს თვალწინ ნათლად იშლება.

## V.

როგორც აღვნიშნე, 26 სექტემბერს,1983 წელს, ორშაბათს, ჩავფრინდი რა თელ-ავივის აეროდრომზე და ტაქსით მივედი ე.წ. "დიპლომატ-ჰოტელში", მეტად უკმაყოფილო დავრჩი არა იმიტომ, რომ ჰოტელი ცუდი იყო, - პირიქით - ჰოტელი მართლაც დიპლომატების შესაფერი, ძვირფასი(ოთახი ღირდა დღე-ღამეში 80 დოლარი) გამოდგა, მაგრამ რა? - მდებარეობს იერუსალიმის გარეუბანში, რაც არ მომეწონა,ვინაიდან მე ქალაქში ყოფნა მსურდა, რომ მიმოსვლისათვის დრო არ დამეკარგა. მაგრამ შეურიგდი მდგომარეობას, და 26 სექტემბრის საღამო "ჯვარის" მონასტრის და,საერთოდ, იერუსალიმის მახალების თვალის გადავლებას მოვასწარი, რომლის დროს არ დამვიწყებია მაგნეტოფონის თუ ფოტოაპარატების გასინჯვაც კი.

## VI.

27 სექტემბერს, დილის 9 საათზე, ავტობუსით გავემგზავრე ქალაქისაკენ, რომელმაც "ჯვარის მონასტრის ხეობის" პირამდე, ისრაელის პარლამენტის "კნესეტის" მოპირდაპირე მხარეს, - მიმიყვანა. ჩამოვედი ავტობუსიდან და გავუდექი გზას "ჯვარის" მონასტრისაკენ, რომელიც ჯვარის მონასტრის ხეობის სიღრმეში, დაბლა მდებარეობს. აი ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე:

(ფ ი რ ი......"ჯვარის"მონასტერი)

შემდეგ გავყევი ბილიკს "ჯვარის" მონასტრისაკენ. მივედი აწ უკვე,ასე ვთქვათ, დაპატარავებულ ეზოს ერთადერთ მთავარ და ფართე ჭიშკართან; ჭიშკარი ღია იყო და შევედი ეზოში. ვამბობ, "დაპატარავებულ" ეზოს იმიტომ, რომ - როცა მე პირველად 1967 წლის იანვარში ვიყავი "ჯვარის" მონასტერში, მაშინ ჯვარის მონასტრის მთელი ხეობა, მართალია, მოუვლელი იყო, მაგრამ, როგორც სჩანს, მთელი ეს ხეობა, რომელიც, უდავოა, რამდენიმე ჰექტარია, იყო ჯვარის მონასტრის საკუთრება; ესე-იგი, ჯვარის მონასტრის ეზო

ჯვარის მთელი ხეობა იყო. ახლა კი, 17 წლის შემდეგ, ჯვარის მონასტრის ხეობა, როგორც ჩანს, ჯვარის მონასტერს აღარ ეკუთვნის. ჯვარის მონასტრის წინამძღვრისაგან გარკვეული პასუხი ვერც კი მივიღე ჯვარის ხეობის ბედის შესახებ, მაგრამ, ჩემის აზრით, იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქომ, რომლის უფლება-მოსილების ქვეშაა ჯვარის მონასტერი, - გაყიდა ჯვარის მონასტრის ხეობა ;და, ალბათ, ამ თანხით ხდება თვით ჯვარის მონასტრის რემონტიც, რომლის ერთერთი ნაწილია მონასტრის ქვისა და რკინის კედლებით შემოღობვა. ახლა,ალბათ, ჯვარის მონასტრის ეზო დაახლოებით ერთი პექტარი თუ იქნება, რომლის ერთ მხარესაა თვით ჯვარის ციხე-სიმაგრის-მაგვარი კედლებიანი მონასტერი, რომლის შესასვლელი, კარი, როგორც არაერთხელ გაცნობეთ, მასიური რკინისაა, რომელიც ჩასმულია ემველებელი ლოდების სიღრმეში; და თვით კარი ისე დაბალია, რომ კაცი თუ არ დაიღუნა, ისე ვერ შევა შიგ. აი, მე ვიდექი ამ კართან და,როგორც წესი, დავაკაკუნე კარზე იქვე ჩამოკიდებული მძიმე რკინის ბოქლომი; იქვეა აგრეთვე ელექტრო-ზარიც, რომელიც, სამწუხაროდ ხშირად გამოთიშული უნდა იყოს, რომ მონასტრის დამთვალიერებლებთა რიცხვი მცირე დარჩეს.

ჩემი ჩანაწერი მაგნიტოფონის ფირზე, ჯვარის მონასტრის ამ რკინის კართან:

(ფ ი რ ი..............ჯვარის მონასტრის კარი)

სამწუხაროდ, 1983 წლის 27 სექტემბერს, დილას, როგორც აღვნიშნე, ბევრი ვაკაკუნე ჯვარის მონასტრის კარზე, მაგრამ კარი არავინ არ გამიღო. რა უნდა მექნა? - დავაწყვე ჩემი ბარგი იქვე, ეზოს კედელთან და განვიზრახე მოცდა, შეიძლება ვინმე მონასტერში შევი-დეს ან გამოვიდეს მეთქი. ამასობაში შევნიშნე ჯვარის მონას-ტრის ამ დაბალი კარის მაღლა წარწერა-დაფა ბერძნულ ენაზე,რო-მელიც არ ყოფილა წარწერილი ამ ადგილას არც 1967 წლის იანვარში და არც 1981 წლის აგვისტოში, როცა მე ჯვარის მონასტერი მოვინა-ხულე. აი ამ ბერძნული წარწერის სრული ტექსტი:

ΕΛΛΗΝΟΡΘΟΔΟΞΟΝ
ΠΑΤΡΙΑΡΧΕΙΟΝ
ΙΕΡΟΣΟΛΥΜΩΝ
ΙΕΡΑ ΜΟΝΗ
ΤΙΜΙΟΥ ΣΤΑΥΡΟΥ

ΙΕΡΑ ΜΟΝΗ Τ. ΣΤΑΥΡΟΥ · MONASTERY OF THE H. CROSS

**ΕΛΛΗΝΟΡΘΟΔΟΞΟΝ ΠΑΤΡΙΑΡΧΕΙΟΝ**
**ΙΕΡΟΣΟΛΥΜΩΝ**

**ΙΕΡΑ ΜΟΝΗ Τ. ΣΤΑΥΡΟΥ**

*Τηλ. 34442*
*Ταχ. Κιβ. 63*

**GREEK ORTHODOX PATRIARCHATE**
**OF JERUSALEM**

**MONASTERY OF THE H. CROSS**
**ISRAEL**
*Tel. 34442*
*P. O. Box 63*

## VII.

ცოტაოდენი მოცდის შემდეგ ისევ შევეცადე ჯვარის მონასტერში შესვლას, ისევ დავაკაკუნე რკინის ბოქლომი რკინისვე კარზე, მაგრამ უშედეგოდ: კარი არავინ არ გამიღო. კარგი დიდი ხნის მოცდის შემდეგ, რა ენდა მექნა, წამოვედი ჯვარის მონასტრიდან, გამოვედი მის ეზოდან და ისევ მივედი ჩემს სასტუმროში, რომელიც, როგორც ავღნიშნე, სამწუხაროთ, ქალაქ იერუსალიმის გარედ იყო, სადაც მისვლა-მოსვლა ბევრ დროს მაკარგვინებდა.

მეორე დღეს, ე.ი.1983 წლის 28 სექტემბერს, ოთხშაბათს დილით, ისევ ჯვარის მონასტერში ვიყავი. ისევ შევედი მონასტრის ეზოში და მივადექი ისევ აღნიშნულ რკინის დაბალ კარს და დავაკაკუნე რკინის ბოქლომით კარზე, მოვსინჯე აგრეთვე ელექტრო-ზარის ღილაკიც და ზარმა დარეკა. ცოტა-ოდენი ვიცადე, მაგრამ კარი არავინ არ გამიღო. მივაწექი ამ მძიმე რკინის კარს, და თურმე ღია ყოფილა და ახე შევედი ჯვარის მონასტრის შიდა-ეზოში, სადაც ყოველი მხრიდან წყლის ჩხრიალი ისმოდა. ჯვარის მონასტრის ეზო უფრო ლაბირინთის მაგვარ მიხვეულ-მოხვეულ, უფრო ზუსტად, სწორკუთხოვან უსახურავო დერეფნებს წააგავს, ვიდრე ნამდვილ ეზოს, თუმცა კედლების კუთხეე-

ბში, აქა-იქ დარგულია ლიმონის ხე თუ აცამი, რომლებიც უფრო სიმაღლისაკენ,ე.ი.მზის სინათლისაკენ იზრდებიან,ვიდრე სიგანეში, და იმ დროს, როცა მე ჯვარის მონასტერში ვიყავი,ესე-იგი 1983 წლის სექტემბერში, ლიმონის ხე დაყურსული იყო ლიმონებით,რომელთაგან ერთი მეც მოვწყვიტე და თან წამოვიღე როგორც სუვენირი.

გავყევი ამ სწორკუთხოვან კედლებ-შუა-მდებარე მოპირკეთებულ გზას, გავედი ერთი ეზოდან-მეორეში,მეორედან-მესამეში და მივადექი ჯვარის მთავარი ეკლესიის კათოლიკონის - შესასვლელს, რომლის ფართე კარების მაღლა დახატულია ცნობილი ხატი,რომელიც სწორედ ჯვარის მონასტრის ისტორიას ასახავს:

## ძელი ჯვარისა

პალესტინაში, ჯვარის ქართულ მონასტერში არსებობს თქმულება ჯვარის ძელზე, რომელიც გვაუწყებს: წმიდა აბრაამმა თავის ძმისწულს ლოთს დაუწესა სასჯელი მის მიერ ჩადენილი ცოდვის გამო. სასჯელი ასეთი იყო: იერუსალიმთან ახლოს ლოთს მიწაში უნდა ჩაერგო კვიპაროსის, ნაძვისა და კედარის გამხმარი რტოები და მანამდის ერწყა ისინი, სანამ არ ამწვანდებოდნენ. მათი ამწვანება იქნებოდა ღმერთისათვის ნიშანი შენდობისა. ყოველდღიურად რწყავდა ლოთი ამ რტოებს წყალში გარეული საკუთარი ცრემლებით. რამდენიმე წლის შემდეგ გამხმარი რტოები განედლდა და ერთი ხის ტანად აღმოცენდა. მეფე სოლომონმა ბრძანა, იერუსალიმის ტაძრის მშენებლობაზე გამოეყენებინათ ეს ხე, მაგრამ მშენებელთა გულმავიწყობის მიზეზით, ძელი სიონის კედლებთან დარჩა უყურადღებოდ მიტოვებული. შემდგომში იგი ბოგირად გასდეს ნაკადულზე, რომელიც ტაძარს ჩაუდიოდა და კარგახანს ხიდად ემსახურებოდა მლოცველებს.

იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯისას ჯვრის ძელად გამოიყენეს სწორედ ეს ძველი მორი და მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ მიწაში დაფლეს გოლგოთის მთაზე, რომელზედაც რომაელებმა წარმართული საკერპე აღმართეს.

ჯვარის ზეციური სახე რამდენჯერმე გამოეცხადა მეფე კონსტანტინეს და როცა თავისი ძალაუფლების ქვეშ მთელი რომის იმპერია გააერთიანა, თავგამოდებით შეეცადა აღმოეჩინა ძელი ჯვარისა. 324 წელს კონსტანტინე იმპერატორის დედამ, წმიდა ელენემ, წარმართული ბომონის ქვეშ აღმოაჩინა გოლგოთის ჯვარი. მეშვიდე საუკუნემდე იგი ინახებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში; შემდეგ სპარსელებმა გაიტაცეს, მაგრამ მალე ისევ დააბრუნა იმპერატორმა ირაკლიმ.

მუსულმანების შემოსევისა და ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქაში წმინდა ჯვარი იმყოფებოდა ხან ქრისტიანების, ხან დამპყრობელი მაჰმადიანების ხელში.

დღეისათვის წმიდა ჯვარი ასობით ნაწილადაა დაყოფილი და ინახება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. უმეტესი ნაწილი ჯვრისა ეკუთვნის იერუსალიმის პატრიარქს.

მეოთხე საუკუნეში იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოს უსახსოვრა და გამოუგზავნა გოლგოთის ჯვრის განივი ფიცარი, რომელზედაც ფეხები ედგა ჯვარზე გაკრულ ქრისტეს. ეს წმიდათაწმიდა განძი ინახებოდა მთის მიუვალ ციხე-სიმაგრეში, მაგრამ საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის მეფობის პერიოდში უგზოუკვლოდ გაქრა და დღემდე არაა მიკვლეული.

## VIII.

როგორც ავღნიშნე, ჯვარის მონასტერში შესვლისას, ეზოში, ისმოდა წყლის ჩხრიალი და წყლის რეზინის ვიწრო მილები მიემართებოდა მონასტრის მთავარი ეკლესიის შესასვლელისაკენ,სადაც მე ვიდექი. ახლა შევედი ჯერ ეკლესიის წინა-დერეფანში და შემდეგ თვით ეკლესიაში და დავინახე, რომ ორი ქალი და ერთი კაცი წყლით რეცხავდენ ეკლესიის იატაკს, რომლის დროს წყალს კედლებზეც ასხამდენ,ალბათ, მტვერის ჩამორეცხვის მიზნით. ამ ეკლესიის დიდი გუმბათი ეყრდნობა ოთხ დიდ ოთხ-კუთხოვან სვეტს, რომლებზედაც კიდევ ვილაპარაკებ. მაგრამ ახლა, შევედი რა ჯვარის მონასტრის მთავარ ეკლესიაში, პირდაპირ მივედი ეკლესიის გუმბათის ცენტრში, სადაც იატაკში ჩასმული იყო ლ ი თ ო ნ ი ს დისკო წარწერით:"

"ს დ ე ქ ი თ  მ ტ კ ი ც ე დ  და  შ ე უ რ ყ ე ვ ე ლ ა დ".

ამ ადგილასაც იატაკზე უკვე წყალი იდგა და ხელით შევეცადე წყლის ქვეშ დისკოს დანახვას, მაგრამ ამაოდ. დისკო თავის ადგილას ისევ არ იყო. როგორც ჩემი პირველი მოგზაურობისას იერუსალიმში გავნობეთ, - ეს იყო 1967 წლის იანვარში - მაშინ ეს ლითონის დისკო თავის ადგილას იყო, სადაც ავანთე სანთელი და მაგნეტოფონით ჩვენი შესანიშნავი გალობა "შენ ხარ ვენახი" ავაჟღერე ჩვენი კულტურის ამ დიდ ცენტრში. ხოლო როცა მეორეჯერ ვიყავი იერუსალიმში, ეს იყო 1981 წლის აგვისტოში, მაშინ ჯვარის მონასტრის წინამძღვარმა - ბერმა ნარცისოსმა მითხრა, რომ ლითონის დისკო იმიტომ ამოვიღეთ იატაკიდან, რომ მთელი მონასტრის რემონტი მიდინარეობს და როცა რემონტი დამთავრდება, შემდეგ ისევ ჩასმული იქნება მის ადგილასო. მაშინ, ბერმა ნარცისოსმა დამათვალიერებინა აგრეთვე ჯვარის მონასტრის კიდრინებში გამოფენილი ზოგიერთი წმინდა ხატები და ნივთები, მაგრამ ჩემი თხოვნა ეს ლითონის დისკოს ეჩვენებინა, ვერ დამიკმაყოფილა, ვინაიდან ამ გამოფენის საკანში ის ვერ აღმოაჩინა, მაგრამ გულწრფელად დამპირდა, რომ როცა მონასტრის რემონტი დამთავრდება, ლითონის დისკოს თავის ადგილას ჩავსვამთო.

ამ შეპირებიდან უკვე გავიდა ორი წელიწადი. ამ სტრიქონებს რომ ვწერ უკვე 1983 წლის 28 სექტემბერია, მაკრამ აღნიშნული ლითონის ტიხკო მაინც არ არის ჩასმული თავის ადგილას, თუმცა ჯვარის მონასტრის რემონტი თითქმის დამთავრებულად მეჩვენება.

ამასობაში შევნიშნე, რომ ბერი ნარცისოსი, რეზინის მილით ხელში, მონაწილეობას ღებულობდა ჯვარის მონასტრის მთავარი ეკლესიის იატაკისა და კედლების გარეცხვაში; და შევნიშნე რა მისი ეკლესიაში ყოფნა, მაშინვე მივედი მასთან, მივესალმე; ჯერ ვერ მიცნო, მაგრამ შემდეგ გაახსენდა ჩემი ორი-წლის-წინანდელი სტუმრობა და ჩემს შეკითხვაზე ლითონის დიხკოს შესახებ, ისევე გაიმეორა: როცა ჯვარის მონასტრის რემონტი დამთავრდება ისევ ჩასმული იქნება თავის ადგილასო. ჩემს შენიშვნაზე ხომ უნდა დავენდო მის ამ სიტყვებს, მან ცოტა ლაპარაკის ტონი შეცვალა და დარწმუნებით მითხრა, რომ ლითონის დიხკო ისევ ჩასმული იქნება თავის ადგილასო. მე სხვა რა უნდა მექნა თუ არა მისი ეს შეპირება დამეჯერებინა.

შემდეგ ბერმა ნარცისოსმა მითხრა, რომ ყველაფერს ახლა ვასუფთავებთ, ვინაიდან შაბათს აქ იქნება დიდი ღვთისმსახურება და თუ შეგიძლიათ დაესწარითო. მე,რა თქმა უნდა, მეტად მსურდა ამ წირვაზე დასწრება, მაგრამ მე უკვე შაბათს დილით უნდა წავსულიყავი იერუსალიმიდან, ყველაფერი დაგეგმილი იყო და თანხმობა ვერ მივეცი, თუმცა ჩემთვის წირვის დასწრება "ჯვარის" მონასტრის მთავარ ეკლესიაში უფრო მნიშვნელოვანი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუ წირვა ჩატარდებოდა ქართველების მიერ,რა თქმა უნდა, ქართულ ენაზე. მაგრამ ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ ოცნებად მეჩვენება. მაგრამ ვინ იცის რას მოგვიტანს მომავალი?..

ჯვარის მონასტერი ამ-ჯერად, ასე ვთქვათ, "მომქმედი" მონასტერი უკვე აღარ არის. მისი ხელმძღვანელი და პატრონია ერთი თუ ორი ბერძენი ბერი, რომელთაგან ერთი ხელმძღვანელია აღნიშნული ბერი ნარცისოსი. ჯვარის მონასტერი კი უკვე არსებობს მუზეუმის სტატუსით. მაგრამ მისი დათვალიერების დღე და საათები განსაზღვრუ-

ლი არ არის და არც შესაბამისი განცხადებაა გამოკრული ჯვარის მონასტრის შესასვლელთან. ამის შედეგია ის, რომ ჯვარის მონასტერში შესვლა მეტად გართულებულია; ხუთ ხუთჯერ შევეცადე მასში შესვლას, და მხოლოდ ერთხელ იყო შესასვლელი კარი ღია როგორც იქნა შევძელი შიგ შესვლა და მონასტრის, უმთავრესად, მთავარი ტაძრის დათვალიერება.

## IX.

ჯვარის მონასტრის მთავარი ტაძრის ოთხი სვეტი და კედლები, როცა მე ეს ეკლესია 1967 წლის იანვარში დავათვალიერე, ძლიანად მოხატული იყო, რა თქმა უნდა, ბერძნული ხატებით. მხოლოდ ერთი ოთხკუთხოვანი სვეტის ერთი მხარის ის ადგილი, სადაც შოთა რუსთაველის ხატი-სურათია გამოხატული, ძეტყველებდა ამ მონასტრის ქართულ წარსულზე. და 1967 წლის იანვარში ვიმედოვნებდი, რომ ერთ დროს შესაძლებელი გახდებოდა ამ ტაძრის ბერძნული სურათებით გადახატული კედლების გაწმენდა, რომლის ქვეშ, უდავოა, ქართული ხატები იყო და ამით მრავალი ახალი ისტორიული ფაქტი შეემატებოდა არა მარტო ჯვარის მონასტრის, არამედ ქართველი ერის ისტორიას საერთოდ. ჯვარის მონასტრის მთავარი ეკლესიის კედლები რომ მთლიანად მოხატული იყო, ამას ადასტურებს <u>რუსი ბერის დანიილის</u> ცნობა; მან 1167 წელს, იერუსალიმში ყოფნისას, ეწვია ჯვარის ქართულ მონასტერსაც და გვატყობინებს შემდეგს:

"ეს ადგილი შემოზღუდულია ციხისებური გალავანით და მის შიგნით დგას წმინდა ჯვარის ეკლესია, <u>ერთიანად მოხატული</u>. მაღალ საკურთხეველს ქვემოდ არისწმინდა ხის გადანაჭერი, რომლის ნახვა შეიძლება თეთრი ქვის ფილებით დაფარულ იატაკში ამოჭრილი ხვრელიდან".

(ის.Petrus der Iberer,Herausgegeben und uebersetzt von R.Raabe,1885).

ახლა, როცა 1981 წლის აგვისტოში შევედი ჯვარის მონასტრის მთავარ ეკლესიაში და დავინახე, რომ კედლები და სვეტები თითქმის მთლიანად ჩამოფხეკილი იყო ქვებამდე, გული გამისკდა: რამდენი ძვირფასი ქართული ხატი ჩამოფხეკილ იქნა კედლების შელესილობასთან ერთად და ამით რამდენი ძვირფასი ისტორიული დოკუმენტი გაჰქრა სამუდამოდ!..მაშინვე

მივარდი შესასვლელიდან პირველ სვეტთან მარჯვნივ და, მადლობა ღმერთს, შოთა რუსთაველის ფრესკა დავინახე თავის ადგილას. საერთოდ ეს სვეტი არ არის ჩამოფხეკილი. დანარჩენი სვეტები მხოლოდ ნაწილობრივადაა ჩამოფხეკილი, ხოლო კედლები მთლიანად ჩამოფხეკილია, და რამდენიმე მოხატულობა შემორჩენილია მთავარი შესასვლელის თაღზე შიგნიდან. ერთი სიტყვით, ბევრი რამ განადგურდა, სამუდამოთ დაიკარ-გა ამ დიდი რემონტის შედეგად, რომელიც - როგორც ჩანს - შესაძლებელი გახდა იმით, რომ ჯვარის მონასტრის ხეობა, რომელიც უკვე ქალაქ იერუსალიმის ცენტრშია მოქცეული, გაყიდულ იქნა და ამ თანხით მო-ხდა, ვფიქრობ, ჯვარის მონასტრის შერემონტებაც.

მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ - მიუხედავათ აღნიშნული რემონტით გამოწვეული ზარალისა - მაინც ბევრი რამეს აღდგენა, აღმოჩენა შეიძლება ჯვარის ქართულ მონასტერში, რომ ეს მონასტერი ქართველთა ხელში იყოს, მაგრამ ამის პერსპექტივა ჯერჯერობით არ მოსჩანს. საქართველო რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს, საქარ-თველო რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი იყოს, მაშინ, ვფიქრობ, ბევრი რამეს გაკეთება შეიძლებოდა არა მარტო იერუსალიმში. მაგრამ დღეს ჩვენ - საერთაშორისო ასპარეზზე - საერთოდ არ ვარსებობთ და როგორ უნდა შევძლოთ ამგვარი იურიდიულადაც ჩახლართული პრობლემის მოგვარება?..

და აქ მსურს მოვიგონოთ პალესტინის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლის ივლისში გამოგზავნილი ეპისტოლე საქართველოს მეფე ვახტანგ VI-სადმი, რომელშიც ნათქვამია:

ნარკვევი ქართველთა
ჯვარის მონასტრის შესახებ იერუსალიმში, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს საპატრიარქოს ორგანოში "ჯვარი ვაზისა" 1980 წელს. ამ ნარკვევის დასაწყისში მოყვანილია ამონაწერი პალესტინის პატ-რიარქის დოსითეოსის 1706 წლის ივლისში გამოგზავნილ ეპისტოლედან საქართველოს მეფე ვახტანგ VI-სადმი.

# ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში

— ჩვენ არა თუ არ მოვითხოვთ რაიმე საფასურს ივერიელებისგან (ქართველებისგან), არამედ უარ-ვყოფთ მათ როგორც წმიდა ჯვრის მონასტრის, აგრეთვე სხვებსაც: წმ. ნიკოლოზის, წმ. თეკლეს, წმ. ბასილის, წმ. ანას და ეგრეთვე წმ. გიორგის (იგულისხმება წმ. გიორგის ქართველთა მონასტერი, რომელიც იდგა იერუსალიმის ებრაულ ნაწილში, — „მონასტერი წმიდისა გიორგისი ურიათა უბანში დიდითა აღშენებული" — ა. გ.) ვალებგადაუხდელს და ყოველგვარ მამამთავრობისა თავისუფალს, და არც ჩვენ თვითონ და არც ჩვენი შემდეგ წმიდა ქალაქ იერუსალიმის უწმიდესი პატრიარქები, არც ყოვლადწმიდა საფლავის მამები და მონაზვნები არ მოითხოვენ ივერიელებისგან არავითარ ფულს, არც დღეს და არც მერმე... და იგის თავისუფალი მათი მონასტრები ყოველგვარი მოვალეობით, ყოველგვარი ვალებისა და თავმომაბეზრებელი, ახლანდ სესხებისაგან და, იგინი მათი ნამდვილი და სრული ბატონ-პატრონები ღვთისმოყვარე ივერიელები. ხოლო როცა ღმერთი ინებებს და ივერიიდან მოვა ილემნი, მაშინ მან ძველებურად აიღოს თავის ხელში ძალაუფლება ყველა მონასტერზე", — გადმოცემით ქალაქ იერუსალიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლის ელჩისში გამოგზავნილ ეპისტოლეში საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ისადმი.

მე-18 საუკუნის დასაწყისში, დიდი ხარჯითა, საჩუქრითა და „სულითა მტკიცითა", „ღვთის მოყვარე ივერიელებმა" მთლიანად გადაიხადეს ვალი და კვლავ დაიბრუნეს ჯვრის მონასტერი, ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი" და სხვანი მონასტრები ქართველთა". მაგრამ ეს იყო ეფემერული აქტი, რომელსაც პრაქტიკული განხორციელება არ ღირსებია.

დიდი და სახახელო ისტორია აქვს ქართველთა კოლონიას პალესტინაში.

ივერიელთა მონასტრების არსებობა იერუსალიმში შემთხვევითი როდია. იგი განპირობებული იყო სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი მოთხოვნილებებით. როგორც წერილობითი წყაროები, საისტორიო საბუთები, დღემდე შემორჩენილი მატერიალური ძეგლები და არქეოლოგიური გათხრების მასალები მოწმობენ, ადასტურებენ, ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია პალესტინაში ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის მიწურულიდან დაწყებულა. მე-5 საუკუნის დასაწყისში ქართველებს უკვე თავიანთი კელიები ჰქონიათ. სამი კან-

7

წმიდილი (იგი გარდაიცვალა 532 წელს) თავის „ანდერძში" მოგვითხრობს, რომ ივერიელებს (ე. ი. ქართველებს) და ასურელებს, „თავიანთ კელიებში მყოფებილო, ჩვე ჰქონდათ წარმოსახულნ გამო და საშიშრობა, წარიყვანონ სამოციქულო და სასარგებლო თავიანთ ღვთაებანზე".

მარტო ის ისტორიული ფაქტი რად ღირს, რომ მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში აქ მოღვაწეობდა ქართლის მეფის დიდი ბაკურის შვილი — პეტრე (ერისკაცობაში მურვანი) იბერი (411–491). იგი პირად 429 წელს აღაშენა მეუფერულად ისიც ცნობილია, რომ მან მოაწყო „ყოველ უდაბნოს" სავანეები, „ქალაქ მთაქუ" პალესტინაში და იორდანიაში აღაშენა „ადგილი უდაბნოსა მონასტერი". აგრე იერუსალიმში „ქალაქსა შინა სახლი სასტუმრო" და აქვე იწყო „შენებად კელიისა". ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრების დროს მისმა ხელმძღვანელმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა პეტრეს მიერ აგებულ კელიაში ქართული წარწერები მოზაიკით და სხვ. შესანიშნავი საგნები.

დიახ, მხოლოდ ცალკეული ცნებით ცენტრში, მე-V საუკუნიდან აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში, სხვა ქართველთა მიერ ჩამოყალიბებულ პეტრე ქართველი — ამგვარ მხოლოდში აღიარებული მონასტერი — იქტორი არქეოლოგიური წყნებისა, საუკუნეების მანძილზე ცხელი დოკუმენტი ცნობილი (იხ. შ. ნუცუბიძის და ე. პოღოვანის შრომები).

შემდგომ პერიოდში ქართველი ხალხის მისწრაფება ლტოლვამ ისეთი გასაქანი ჰპოვა, რომ ბაგრატიონთა გვარის მეფეები თავიანთ თავს ლეგენდარული წინაპრების შთამომავლებად, დავით წინასწარმეტყველის გამოჩენიდან ხელოდნენ, დავითისა, რომლისგან წარმოიშვა ღვთისმშობელი და ძე მისი იესო ქრისტე. შემთხვევითი როდია, რომ ისინი თავიანთ სამეფო გერბებს აჩვენებენ „შეწევნითა და მეოხებითა ღმრთისათა ჩვენ იესიან დავითიანნი სოლომონიან პანკრატიონიანნი"-ი (იგულისხმება ბიბლიური დავით მეფე, მისი ძე იესე და დავითის შვილი სოლომონი). ამიტომ საქართველოს ბაგრატიონი თავიანთ მიიჩნევდნენ, სხვადასხვა მიზეზებიც მიუხედავად ხელდა-

ნენ, თავიანთ თავს წარმოადგენდნენ ქრისტიანულ სამყაროს მფარველად და მემკვიდრედ. ამან განაპირობა ისიც, რომ ისტორიის მთელ მანძილზე ქართველთა ხშირად ახლო აღმოსავლეთში მუდმივ დამკვიდრებას წინაპრების სიმბოლოდ, იგი ხშირად არ სარწმუნოების მიერ.

„სასწაულის" ცნობა კონსტანტინე პორფიროგენეტი (912–959) მოგვითხრობს რა ქართველი ბაგრატიონების ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისგან წარმოშობის შესახებ, წერს: „რადგან ისინი იერუსალიმიდან მოსახლეულან და რადგან დიდი რწმენა აქვთ მათ და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაკუთრებულ ხარჯებს უგზავნიან ფულს წმიდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს". ეს ცნობა იმას მოგვითხრობს, რომ იერუსალიმში კონსტანტინემდე დიდი ხნით ადრე არსებობდნენ იბერიელთა მონასტრები („გეორგიკა", IV, ნაწ. II, თბ., 1952, გვ. 258). და ეს ისტორიული სინამდვილე ქართულ წერილობით წყაროებს რომ დავუბრუნოთ, ჯერ კიდევ კონსტანტინეზე სამი საუკუნით ადრე ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (VI საუკუნე) იხსენიებს „შენობათა შესახებ" წიგნში, რომ იერუსალიმში იუსტინიანე დიდმა (527–565) ააშენა მონასტრები „წმიდა თალელისა, წმიდა გრიგოლისა, იბერთა მონასტერი იერუსალიმში, ლაზთა (ანუ ქართველთა — ა. გ.) მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში" და სხვ. („გეორგიკა", II, გვ. 192).

ქრისტიანული კულტურის კერებისადმი ქართველთა განსაკუთრებული ყურადღება იზრდება საქართველოს აღმავლობის ხანაში — IX–XII საუკუნეებში. ეს ეპოქა ... დიდი აღმშენებლობით, რომელიც „ჯვრის სადიდებელი" მონასტერი არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც, მთაწმინდის და შავი მთის, აგრეთვე კვიპროსის, ეგვიპტის სინის მთისა და ქრისტეს საფლავისა, და მეფენი იერუსალიმისანი" („ქართლის ცხოვრება", I, გვ. 352–353).

დავით მეფე თავისი ღირსეული წინაპრების მსგავსად ღრმად დაინტერესებული უცხოეთის კულტურულ-მონასტრებით, განსაკუთრებით კი იერუსალიმის სავანეებით — „მოსა იერუსალიმისაკენ რაოდენ ხსნაი არს იქმნა, რამეთუ

წარგზავნიდეს ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა და სიწმიდეთა სასურველს და მოწიწინეთა და გლახაკთა იქმოდა ყურადღებასა", — გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება". თამარმან ქველი საქმითა და უხვი მოწყალებით, აგრეთვე სხვა ქართველთა ეკლესია-მონასტრები ელადის, მთაწმიდის, მაკედონიის, თრაკიის, კონსტანტინეპოლის, შავი მთის, კვიპროსის და სხვათა. იგი იწვევდა წმიდა ადგილებიდან ბერებს, შეიწყნარებდა და პატივს ცემდა ჩვეულებისამებრ და გასცემდა ფულს დიდად და ავსებდა ყოველთა სიმრავლით. აღსანიშნავია, ისიც, რომ თამარმა, ბასიანის ომის შემდეგ ზავი დაამყარა დამასკოს სულთნებთან (რომლებიც ყოველთვის აიწროებდნენ და სტანჯავდნენ წმიდა ადგილებში სალოცავად მიმავალ ქრისტიანებს), რის საფუძველზეც აუკრძალავ მათ ქრისტიანთა დევნა-წვალება. ამავე ხელშეკრულებით ქართველებს სრული უფლება მიეცათ ცხენზე ამხედრებულნი, თავიანთი დროშით (ყოველგვარი გადასახადის გარეშე) შესულიყვნენ იერუსალიმში (მაშინ, როცა ყველა მეხელიზე რომაული იხდიდა 14 გროშს (პიასტრს), ბერძენი — 6, ხოლო თვით არაბ ფეოდალები — 3 გროშს). თამარისავე თხოვნით სულთანმა სალადინმა, ქრისტიანებს დაუბრუნა ის ჯვარი, რომელზედაც მიმსჭვალული იყო ქრისტე (ამ ჯვარის დასახსნელად თამარმა გადაუხადა 200.000 დინარი).

ქართულმა ეკლესიამ თამარი წმიდანად შერაცხა და მას მოიხსენიებდნენ ყველგან. მისი პატივისცემის ნიშნად, ჯვრის მონასტერსაც თამარის ხსენება დაუწესებია, მაგრამ მოსახსენებელი სურათი სვინაქსარში კი არ შეუტანიათ, არამედ მისთვის საკუთარი სვინაქსარი განუჩენიათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, მაშინაც კი, როცა აწიოკებული და დაყრობილი იყო მტერთაგან, არასოდეს მოუტოვებია ყურადღებოდ იერუსალიმის წმიდა ადგილები, — მთელი ერი — მეფენი და მისი ახლობელნი, კათალიკოსები და მათი მრევლი, თავადნი და აზნაურნი, დარბაისელნი და გლეხნი" დიდით და ცოტათი" თავიანთი შეწირულებით ყოველთვის ათავისუფლებდნენ ტყვეობისაგან თავიანთ კოლონიის ბერებს. ამ მიმართებით მრავალზე-მრავალი დოკუმენტია შემონახული, რომელთაგან თავიანთი მნიშვნელობით მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევიან (სწორედ ყველაზე აბელობის პერიოდში) ჩვენს მიერ წერილის დასაწყისში მოხსენებული პალესტინის ბერძენთა პატრიარქის დოსითეოსის ეპისტოლენი ქართველ მეფეებისადმი (ერეკლე I, ვახტანგ VI და რუსეთში არჩილისადმი). აი, რას სწერს 1682 წლის 23 სექტემბერს დოსითეოსი არჩილს: „შენმა მშობლებმა ცალკ-ცალკე უხვი, მრავალფეროვანი და ძვირფასი დახმარება გაუწიეს უწმიდეს და უპატიოსნეს მაცხოვრის საფლავს. შენმა ძმებმა და დებმა, სიძეებმა და ბიძაშვილებმა სურვილი აქვთ წმიდა და პატიოსანი ჯვრის მონასტრისა და სხვების, რომლებიც იერუსალიმშია, დახსნა — დღე და ღამ ეტირია ივერიის ხალხისათვის, რადგან დამხობილია ივერიის დედაქალაქი და მასში მყოფი მართლმადიდებელი ქრისტიანები დაქვრივებულებივით არიან და დამორჩილებულნი მოიქმით გილებენ, ნუგეში კი არსაით" („პოსლანია იერუსალიმსკავო პატრიარხა დოსიფეია კ გრუზიი", ტრუდი კიევსკოი დუხოვნოი აკადემიი („ქართული წყაროთმცოდნეობა", III, 1971 წ., გვ. 253).

ასევე საყურადღებოა გიორგი XI მიერ პატრიარქისადმი გაგზავნილი სიგელი („აკტი, სობრანნიე კავკაზსკოი არხეოგრაფიჩესკოი კომისიეი", (ტ. I, გვ. 26), სადაც ნათქვამია „ჩვენც თქვენი ბრძანება გავათავეთ და რაც ვალი ჩვენს მონასტერს ემართა, სრულიად გარდასაწყვეტლად მოგართვით".

როგორც ვხედავთ, საუკუნეების მანძილზე ქართველმა ხალხმა, გარდა ეროვნული და სარწმუნოებრივი დაცვის დროს ომებში გაღებული მსხვერპლისა, უდიდესი, შეიძლება ითქვას, აღუწერელი საგანძური და საფასური გაიღო წმიდა სამონასტრო კერების აღსადგენლად, დასაცავად და ხშირად ტყვეობისაგან გამოსახსნელად. ეს ფაქტი კიდევ უფრო ნათელი გახდება მსოფლიო ხალხებისათვის მაშინ, როდესაც გამოქვეყნდება სხვადასხვა ძეგლის, უპირველეს რიგში მეზობელი სახელმწიფოების არქივებში (განსაკუთრებით იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებში) დაცული წერილობითი ცნობები.

● ● ●

იერუსალიმში ოცამდე საეკლე-მონასტრო არსებობდა „აღშენებულნი მეოთხე საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მე-18 საუკუნის დასრულებამდის ქართველ მეფეთა, მღვდელმთავართა, თავად-აზნაურთა და სრულიად ღვთისმორწმუნე ქართველის ერისაგან, ვითარცა ძეგლნი (სახსოვარი ჩვენის ცხოველის სარწმუნოებისა და მართლმადიდებლობისა, ეროვნული ძლიერებისა და დიდებისა" (პ. კონჭოშვილი, „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ", ტფ., 1901 წ., გვ. V—VI).

ხელნაწერებით, მოგზაურთა ჩანაწერებით, მოსახსენებელი აღაპებითა და სხვა სახის ისტორიული წყაროებით მეცნიერულად დადასტურებულია, რომ პალესტინაში ქართველებს შემდეგი მონასტრები ჰქონიათ:

1. ჯვარი, — ქართველთა უდიდესი საეკლ. კოლონიის ცენტრი, შესაკრებელად ქართველთათვის" აღშენებული მეფე ბაგრატ კურაპალატისაგან. „რამეთუ პირველი ქრისტიანე ქმნილი მეფე საქართველოსა მირიან ბოსფორიანი ნინოს მიერ წარმოელენილ არს, მეფე კონსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ არს და ჯვარისა მონასტრის ადგილი მას უჩვენია. ხოლო ამას შემდგომად ხელიერი ვინმე მოწიწინე მაჟოელი, სახელად პროხორე, მისრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბასსა დაყუდებულა და მეფესა საქართველოისასა ბაგრატ კურაპალატს სავახე დიდძალი წარმოუცემია ღირსისა პროხორესათვის, რათამცა ჯვარის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია ჯვრის მონასტერი შესაკრებლად ქართველთათვის (ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, გვ. 77—78).

2. წმ. მოციქულთა, — აშენებული საქართველოს მეფის გიორგი I მიერ.

3. მამამთავრის აბრაამისა, — განახლებული გიორგი ახშიძის მიერ.

4. წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული საქართველოს დედოფლის ელენეს მიერ.

5. წმ. იოანესი, — აშენებული სამცხის ათაბაგის მიერ.

6. წმ. ვასილისა, — აშენებული ამირსპასალარ ამილახორისა და თაქის მიერ.

7. მეორე საყდარ წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული პატა და ქაიხოსრო წულუკიძეების მიერ.

8. წმ. თელორესი, — აშენებული ბეჟან და ბადურ ჩოლოყაშვილების მიერ.

9. წმ. თეკლასი, — აშენებული ქრისტეფორე ზედგენიძის მიერ.

10. წმ. გიორგისა (ურიათა უბანში), აშენებული თავად დადიანის მიერ.

11. დედათა მონასტერი პატიოსან მირქმისა უფლისა, — აშენებული რაჭის ერისთავის მიერ.

12. წმ. დიმიტრისა, — აშენებული შალვა ქსნის ერისთავის მიერ.

13. წმ. ქალწულ მოწამის ეკატერინას სახელობის ქართველ დედათა მონასტერი, — აშენებული კაციშვილებისა და მაჩაბლების მიერ.

14. ტაძარი ქრისტეს აღდგომისა გოლგოთაზე.

15. ტაძარი წინასწარმეტყველის სამუელისა.

16. წმ. მოციქულისა და იაკობ ზებედესი (ჯვრის შემდეგ „სიმდიდრითა და შვენიერებით არც ერთი ეკლესია არ შეედრება მას").

17. ტაძარი მამისა საბა განწმედილისა (საბაწმიდა). „საბას ლავრა იყო უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს უძველესი საზღვარგარეთული ცენტრი ქართული კულტურის და მწერლობისა, სადაც VIII
კუნეებში დიდი ქართველების ნაძეილი ინტენსიური

ლიტერატურული მემკვიდრეობა" (ც. ქავლიძე).
18. ხუცეონ ლპროის მოპრქმელისა.
19. წმ. იოანე ნათლისმცემლის იორდანის ნაპირზე.

შემორჩენილი ცნობით (ჯვრის მონასტრის აღაპებით, ხინას მთის მატიანით და იერუსალიმის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით) ჯვრის მონასტერში — ქართული კულტურის ამ დიდებულ სავანეში, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ და ჯვრის მამათ, წინამძღვრებად მოიხსენებიან:

XI საუკუნეში — პროხორე, გიორგი.
XII საუკუნეში — . . . . . .
XIII საუკუნეში — ლუკა, მარტიანე, გაბრიელ სანატრელი, მარტიანე, საბა.
XIV საუკუნეში — სოლომონ, იოანე, ხუმარი (ველველოქოსძე), ხუმარი (ციდამელი), გერმანოზი, ქერაბინი, იოსები.
XV საუკუნეში — ბიმენი, იოანე, ქრისტეფორე ზედგენიძე, დანიელ ნიქოზელი.
XVI საუკუნეში — ბენე როლოფამელი, იოკიმე, ბარნაბი, ეპიფანე, იოსებ არქიმანდრიტი.
XVII საუკუნეში — თეოდორე რქვეიშელი, ნიკიფორე მაკარი, ნიკიფორე როლოფამელი, მარკოზი, გაბრიელი, იოსები, მელეტი.
XVIII საუკუნეში — პართენიოზი, 1739 წელს — გერასიმე (იხ. მეტრეველის „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის", გვ. 36—40).

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ისტორიული ტრადიციით და წერილობითი წყაროებით, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანობის მიღების პერიოდთან (IV საუკუნე). ამგვარად, როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში გავრცელებული ვერსიით, მის დაფუძნებას უკავშირებენ მირიან ქართლის მეფეს, რომელმაც შეიძინა ადგილი მონასტრისათვის და მანვე ააგო ეკლესია, რომელიც შემდეგ განადგურდა და კვლავ მოაწყო ვახტანგ გორგასალმა. მანვე ჩაასახლა იერუსალიმის ახლოს ქართველები მონასტრის დასაცავად (როგორც გადმოგვცემენ ამგვარადვე ცნობებს უცხო გაარაბებული გვარები" — „ან არაბნი იერუსალიმელი ქართველნი"). წერილობითი წყაროები გვაუწყებენ, რომ:

— „ხელშეწყობითა ვახტანგ და. ბაგრატ და დავით დავითიანთა, რომელთა აღაშენეს წმიდა ესე მონასტერი"; „კურთხეულმცა არს ხელი მამისა პროხორესი, რომელმან აღაშენა მონასტერი ესე სახლითურთ მეფეთა ბაგრატიონთა"; — ეს წმიდა და ყოვლად პატიოსანი მონასტერი მეფის დავითისა ბაგრატის ძისაგან აღეშენებია, — იტყობა ჯვრის მონასტრის წმიდა ტრაპეზის მარცხნივ იატაკზე მარმარილოს ქვაზე. ზოგიერთი ცნობით ვახტანგის შემწეობით ტაძარი ააგო პეტრე იბერმა. კვლავ ერთხმად მიუთითებენ, რომ ეს მონასტერი აგებულია იმ ხის ადგილზე, რომლისაგანაც გაკეთდა ჯვარი და რომელზედაც აცვეს (მაცხოვარი) ქრისტე.

ერთი კი უტყუარი ჭეშმარიტებაა, — დღევანდელი ჯვრის ქართველთა მონასტრის შენობა თავისი სამლოცველოებით, სენაკებით და ზღუდე-გალავნებით (რომელიც არსებითად წარმოადგენს ციხე-ქალაქს 323 ოდაბით) აშენებულია ქართველი მონოზონის პროხორეს (ერისკაცობაში გიორგის) მიერ XI საუკუნეში. „ღირს ყოფენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი — პროხორე, სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომელთა შემძლებელ ყოფენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად „წმიდისა ამის ცხოველსმყოფელისა ჯვარისა ადგილსა", — ვკითხულობთ მონასტრის დამაარსებლის მინაწერს 1038 წლის ერთ ხელნაწერზე. ჯვრის მონასტრის აშენებლად პროხორე დასახელებულია „გიორგი ათონელის ცხოვრებაშიც". რადგან გიორგი ამ მონასტრის აგებამდე ჯვარულად იწოდებოდა, — „ბრძანებითა მეუფისა ხრმალისა წმიდისა მამისა გიორგი ჯვარულისათა" (ა. ცაგარელი, პამიატნიკი, გვ. 186), — იგულისხმება, რომ სანამ ის ააგებდა ამ დიდებულ სავანეს, მანამდე ამ ადგილზე არსებობდა ჯვრის ეკლესია ბერებითა, შემდგომ პერიოდშიც, ქართველთა დაბრუნებით და შემოწირულებით, იზრდებოდა სავანეთა რიცხვი და შესაბამისად იცვლებოდა მონასტერიც, რომ არაფერი ვთქვათ, მიშენებაზე დანაანების შედეგად, ან კიდევ მეფეთა, საცხოვრებლად, სასულიერო სასწავლებლად, ზოგჯერ ციხე-სიმაგრედ გადაკეთება-გადმოკეთების შედეგად ცვლილებებზე.

ჯვრის მონასტერი იყო ქართული კულტურის მოღვაწეთა მიზიდვის და სულიერი აღზრდის მთავარი კერა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯვრის მონასტერში არა მარტო პილიგრიმები მიდიოდნენ, არამედ ქართველებს იქვე მიქონდათ ძვირფასი ნეშტი საქართველოს დიდებული შვილებისა.

ამ ტაძართანაა დაკავშირებული დიდი ქართველი მოაზროვნე და მწერლის შოთა რუსთაველის (მეჭურჭლეთუხუცესის) სახელი. მან თავის უკანასკნელი დღეები გაატარა იერუსალიმში და იქვე — ჯვრის მონასტერში დაიდო სამუდამო განსასვენებელი. ჯვრის კედელზე შოთას სურათი წარწერით და მისი [illegible] გამოსახვის დღემდე დაცულობა მეტყველებს, თუ რამდენად დიდი და მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, კერძოდ ქართველებისათვის ჯვრის მონასტერი (აქვეა გადმოსვენებული პეტრე იბერის და სხვ. ნეშტიც).

ძველად, ვიდრე ამ [illegible] მოიცავ, — წერს რ. [illegible] თავის წიგნში „ქართველები იერუსალიმში", — ქართველებს განსაკუთრებული უპირატესობა და დიდი გავლენა ჰქონდათ წმიდა ქალაქში და მათ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათ". ასეთი გამოთქმა უცხოელი პირისაგან ხშირად არ არის გადაჭარბებული. ამ უპირატესობაზე მიუთითებს არა ერთი ისტორიკოსი და მოგზაური. თვით მაშინაც კი, როცა ჯვარი დატყვევებული იყო, წმიდა ადგილებზე საქართველოდან ჩასულ მლოცველებს თავისუფლად უშვებდნენ, — არაბი მოხელეები მათ იერუსალიმში მიაცილებდნენ ალეპოდან და უკან დააბრუნებდნენ ზღვამდე, რომ გზაზე რაიმე ხიფათი არ გადახდომოდათ. ხანბურგის ცნობის გადმოცემით უცხოელი პილიგრიმი [illegible] (დამოწმებული აქვს რ. [illegible]), იერუსალიმში ქართველების [illegible] სულთნის პერიოდშიც. მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა საბოლოოდ დაკარგეს იერუსალიმი (1244), ასეთი ცნობებიც არსებობს: „ცხოვრების ქრისტიანულ ქრისტიანი ხალხი — იმის მოყვარული და ბრძოლებში გამოცდილი. მას ჰყავს უამრავი მებრძოლი. მეტად დაშინებული ჰყავს სარკინოზნი და თავდასხმების დროს დიდ ზარალს აყენებდნენ სპარსელებს, მიდიელებს და ასურელებს, რომელთა მოსაზღვრედაც ცხოვრობს, ვინაიდან გარშემორტყმულია ურჯულოებით. მათ ეწოდებათ ქართველები — როგორც ამბობენ მიდიან ქრისტეს სახელით თავდადებულად. წმიდა ქალაქში შედიან გაშლილი დროშებით, ხოლო გადასახადს გარეშე, რაც შეეხება სარკინოზებს, ისინი ვერ ბედავენ მათ შეწუხებას, რათა უკან დაბრუნებისას ქართველებმა ჯავრი არ იყარონ მათ შემხვდურ ქრისტიანულ სარკინოზებზე. ქართველები ძალზე აღმაფრთოვანებულნი არიან და ჭეშმარიტი როგორც — დამასკოს ბრწყინვა, იმის გამო, რომ მან განიზრახა იმათი ხურჯინის გარეშე იერუსალიმის კედლების დანგრევა".

როცა იერუსალიმი მამლუქების დინასტიის მმართველი ხელისუფლების ხელში გადავიდა და ქართველთა ჯვრის

მონასტერი „დატყვევს" და მიზგიდად გადააკეთეს (1273 წ.), — როდესაც იერუსალიმის ქართველთა კოლონიას განსაკუთრებული მძიმე გასაჭირი, ტრაგიკული დრო დაუდგა, მაშინ მთელი საქართველოს წინაშე დადგა საკითხი, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ თავიანთი უფლებები ქართველთა უმთავრესი სავანის — ჯვრის მონასტერზე, დაეხსნათ იგი მტრის ხელიდან. მაშინ, როგორც იერუსალიმის ჯვარელი მოღვაწენი, ისე მათი თანამემამულეები საქართველოდან არაფერს ზოგავდნენ ამ მიზნის მისაღწევად. ჯვრის მონასტრის აღაპებში მრავლად მოხსენებულნი არიან ისინი, ვინც ხელი გაუწოდა ქართველთა ჯვრის მონასტერს (დიმიტრი თავდადებული, გრიგოლ ფანასკერტელი, ხარაის ჯაყელი და მრავალი სხვანი). ამ შემთხვევაში ქართველთა მეფეებმა დიპლომატიურ ხერხსაც მიმართეს. მათ ეგვიპტეში გაგზავნეს ელჩები მოსალაპარაკებლად. ქართველი დიპლომატები კონსტანტინეპოლში ჩავიდნენ. ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკე II-მ (1282–1328) ქართველებს თავისი დესპანიც გაატანა. ქართველებმა საწადელს მიაღწიეს, — კაიროში მოლაპარაკების სულთანი დათანხმდა და ქართველებს დაუბრუნა მეჩეთად გადაკეთებული ჯვრის მონასტერი. მათვე უფლება მიეცათ ტრადიციულად იერუსალიმში შესვლისას ცხენ-სახედარზე მხედრობისა (ვ. ტიზენგაუზენი, ზამეტკა ელ-კალკაშანდი ო გრუზიი, — ზაპისკი ვოსტოჩნოგო ოტდელენია რუსკოგო არხეოლოგიჩესკოგო ობშესტვა, 1886, I, 3, გვ. 212–213).

როგორც არაბულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩამოვიდა კონსტანტინეპოლის იმპერატორის ელჩი, გურჯების მეფის ელჩის თანხლებით, რომელმაც ჩამოიტანა სარეკარო და წერილი, რომელშიც ეულისხველი მოითხოვდა იერუსალიმში მესსაალაბის (ჯვრის) მონასტრის გახსნას, რათა ქართველებს შესძლებოდათ, თუ მოისურვებდნენ, წასულიყვნენ იქ სალოცავად, — გამოსცეს ბრძანება ეკლესიის გახსნის შესახებ, რაც შესრულებული იქნა" (ვ. ტიზენგაუზენი, იქვე). როგორც აკად. ე. მეტრეველმა გაარკვია (იხ. მისი „მასალები", გვ. 47–48) ჯვრის მონასტერი გამოიხსნა ქართველთა მეფე დავით VIII (1293–1311). ჯვრის გამოხსნაში, „მეორედ აშენებაში" — დავითისათვის დახმარება გაუწევიათ ოვსეთის მეფეს კონსტანტინეს (დავით ნარინის ძეს) და ბევრ სხვა დიდებულ და სასულიერო მოღვაწეს.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ დაპყრობის შემდეგ ქართველებს უხდებოდათ არა მარტო საკუთარი მონასტრების ხელმეორედ დახსნა, — „მეორედ აშენება", არამედ მონასტრების შემოგარენის, ბაღ-ვენახებად ქცეული ზვრებისა და სხვ. დამხმარე მეურნეობების შესყიდვაც.

როგორც ცნობილია, მე-14 საუკუნის დასასრულს აღმოსავლეთის ხალხებს დამპყრობთა ახალმა, დამანგრეველმა ტალღებმა გადაუარა, — გამოჩნდა თემურლენგი, რომელსაც მთელი მსოფლიო მხოლოდ ერთი მბრძანებლისათვის მიაჩნდა საკმარისად.

მისი, ამ დამპყრობლის სისხლიანი ხელი საქართველოსაც და მის წმიდა ადგილებსაც მისწვდა. „აქა მოვიდა მაწყვერელი პიმენ მას ჟამს, — გადმოგვცემს მატიანე, — ოდეს თემურ დიმასში აიხრა და ჯვარისა სახლი აშლით აიხრეს". თემურმა დიმასში (დამასკო) ახლო 1400 წელს. სწორედ ამ დროს მისულა დასახმარებლად მაწყვერელი მღვდელმთავარი პიმენ ჯვრის მონასტერში, — „ზეთი და ცვილი შემოიწირაო". ამ პერიოდშიც იერუსალიმელ ქართველებს მატერიალური დახმარების ხელი, ჩვეულებისამებრ, მრავალმა გაუწოდა საქართველოდან.

როგორც ისტორია გვაუწყებს, მიუხედავად დამპყრობისა, XV საუკუნის დამდეგს და შემდგომშიც ქართველები სხვებთან შედარებით ერთგვარ პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ თავიანთი მონასტრების „უფლება-მოხილვის" საქმეში და კარგადაც იხსენებს ალ-კალკაშანდი თავის „დიპლომატიურ საცნობაროში". ქართველ მეფეს სხვა ტიტულებთან ერთად, იხსენებს როგორც „ქრისტიანული რელიგიის დამცველს, სამართლიანს ქვეშევრდომების მიმართ, ბერძენ მეფეთა მორის საყდრისის ზღვათა და სრულთა სამეფოს განძთა მცველს, ქრისტიანთა სახლის განმადიდებელს და გვირგვინს, ქრისტიანობის საყრდენს, „რომელმაც თავისი მოქმედებით განადიდა და აღამაღლა წმიდათაწმიდა სახლი იერუსალიმისა; მორონცხებულთა საყრდენი, მეფე რომის პაპისა".

კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა მას შემდეგ, რაც თურქებმა ბიზანტია დაიპყრეს, როცა 1453 წელს კონსტანტინეპოლი დაეცა. ამ პერიოდში ქართველებს თავიანთ ქვეყანაში საკუთარი სადარდებელი შეექმნათ,— ხმალამოღებულ ბრძოლაში ჩაებნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

ბოლოს და ბოლოს ძლიერი სახელმწიფო სამთავროებად დაიშალა, დაკნინდა ეკონომიურად, დაუძლურდა. ყოველივე ეს დაეტყო საქართველოს გარეთ მყოფ ქართულ მონასტრებს და პირველ რიგში ჯვარს. დახმარება იერუსალიმის ქართულ კოლონიისადმი შენელდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. „ცხოვრების ასეთმა გაჭირვებამ, სამშობლოსთან მიმოსვლის გაძნელებამ და გულუხვ მლოცველთა შემცირებამ უცხოეთში არსებული ყველა ქართული მონასტერი საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო და არსებობის უმთავრესი წყარო მოუსპო. ძმობას თავისი თავის შენახვაც კი უჭირდა და რა გასაკვირია, თუ რომ გადასახადების გადახდა გაუძნელდებოდათ და საშინელ სიღარიბეში ჩაცვივდებოდნენ" (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV², გვ. 276).

რადგან ქართველებისათვის წმიდა ადგილების დაცვა წარმოადგენდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირსებას, ამ გაჭირვების ჟამსაც უყურადღებოდ არ სტოვებდნენ თავიანთ თანამემამულეებს იერუსალიმში. სწორედ ამ პერიოდში მიიღეს მათ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისგან „დიდი სახინელი", ხოლო ხერასთის კომერდულის მიხეილ დაიწყო ჯვრის მონასტრის ტრაპეზის, და იოანე მაბარებლის საყდრის მეორედ აღშენებისა. ასე იგი XV საუკუნის მიწურულამდე, როცა ითოვეველმა, უჯარმელმა ახლიან მარიამ ააშენა „ჯვრის პატიოსნისა გალავნისა ბურჯი", ამილახორის თავის ქალმან როსხიმემ დაიხსნა მონასტრის მარანი, მეორედ აღდგა წისქვილი და ა. შ. (ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 90, 124, 165 და სხვ.).

XVI საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში ჩავიდა მეჭურჭლეთუხუცესის მიერ გაგზავნილი პირი ამბროსი, შემდეგ — ბესა ჩოლოყაშვილი — „ჯვრის მამად მიყენებული". იერუსალიმში ბ. ჩოლოყაშვილმა ფრანგთა გოლგოთა დაიგდებინა და სიძეებს დაუგუმართა თავისი ტაძრის გზა. დიდი შეწირულებით ესტუმრა ზოსიმე კუმურდოელი იერუსალიმს; და კვლავ დაიხსნა გოლგოთა, — „მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთაი წაეღოთ და მან დაიხსნა, ოთხასი ფლური გამოიღო".

იერუსალიმში ქართველთა ხშირი ჩასვლა, მათი ზრუნვა ჯვარსა და სხვა სავანეებზე, ძველ უფლებათა აღდგენაზე, ძველი ხელნაწერების ბედზე საკმაოდ შესამჩნევი — აღნიშნულის შესახებ ქართველებს იქ პატივს სცემდნენ, მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია. ამაზე სხვადასხვა წერდნენ უცხოელი მოგზაურები: ა. პასიმტიონხე (1493), მ. ბაუმგარტენი (1507), ლ. ჩუდი (1519), ბ. დე სალინიაკი (1522) და სხვ. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქართველები კვლავ გამოლოცვა-უფლებებული ერთგული დრომებით, — სხვებისგან მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მხედრები, — თავისუფლად, ბაჟის გადაუხდელად შედიოდნენ იერუსალიმში. მაგალითად, ჩვენი მოგზაური ა. პასიმტიონხე, იერუსალიმში ყოფნისას აღნიშნავს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში რვა ქრისტიან ხალხს აქვს თავისი სამლოცველო: „პირველთა აქვთ საერთო სარწმუნოება ჩვენთან (იგულისხმება რომაული კათოლიკეები, — ე. გ.), მეორენი არიან ბერძნები, მესამენი — ქართველები, მეოთხენი — იაკობი-

დიციები, მამა-პაპათა სისხლით და ცეცხლით ნაწვრთ ისტორია. მათი წმიდა ადგილები (მაგრამ ეს „დავიწყება" პირობითი გამოთქმაა — იერუსალიმის საპატრიარქო, მე-19 საუკუნის მანძილზეც გარდა საქართველოდან გაგზავნილი საჩუქრებისა, თავისი წარმომადგენლებით — ბერძენი ბერების მეშვეობით იღებდა საქართველოდან კარგ შემოსავალს — გადასახადებს ერთი მხრივ — ყმა-მამულებისაგან (სოფლებიდან — მარტყოფი, კოდალა, წინანდალი და სხვ.), ხოლო მეორე მხრივ, — თბილისის ჯვრის მამის ეკლესიისაგან, რომლის ხელმძღვანელი წარმოადგენდა აგრეთვე იერუსალიმის ჯვრის რწმუნებულს, აგროვებდა შეწირულებებს და უგზავნიდა ჯვრის მონასტერს).

სწორედ ამ პერიოდში მოისმის იერუსალიმიდან „წმიდა საფლავს და სისხლ მეწამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალო ქართველი ქალის" გოდება-ვაგლახისი ეროვნული ღირსების დასაცავად, წმიდა ადგილების შესანარჩუნებლად და, საბოლოო ანგარიშით, ეროვნული ხელის გადასარჩენად. საბრალო მონაზონი მართა ქერილიძე მიმართავს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსს გრიგოლს (1696—1742) და წერს: „მისთანა რა გასაკვირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ?. წამობრძანდით, ამათ აღარა უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ჰამენ. რა უანგარიში საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრებიდან!.. ნუ იქნა, ნუ დაკარგავთ ამ მეფეების სახლს. ყოველი ხელი ამისთვის კვდებოდა, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშოვნის, და თქვენ ხელ იერუსალიმი დაკარგეთ... დიდი სირცხვილი არ არის ესა, რომ პატრონმა დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სხვებმა იშოვნეს? ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სხვათა აქვს. ბეთლემი ფრანგმა აიღო, მაგრამ მაგათ შიში და მოლოდინი აქვს და ჩვენი სამწირველო ისრევ მოროთული არის: თუ არ მოხვალთ, დაექცევა... ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან, ისრევ მოგეცემა. უსაცილოდ გოლგოთასაც და გეთსამანიას დაიჭერავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძი გოლგოთა, დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგად არის. ერთი თავი ჯვარის მამა გაიჩინეთ, რომ წამოვიდეს. ან ერის კაცი, ან ბერი გამოამგზავნეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახდა საქმე... თუ ასრე არა იქნა, ეს მონასტრები და იერუსალიმი დაგვკარგვიან. ნუ იქნა, სხვას ნუ უყურებთ... თუ იერუსალიმი დაგვკარგვიან, რისღა სჯული და რაღა პირჯვარის წერა გვქონება" (ვ. მეტრეველი, მასალები, გვ. 0191—0192).

ასეთივე დიდ გულისტკივილს გამოხატავს XIX საუკუნის დასაწყისში ქართველთა კოლონიის მონაზვლების შემდეგ, იღუმენმონაზონი ლავრენტი გა[illegible]ძე: „თქვენ პატიოსანო მამანო ქართველნო... გაკვირვებულ ვარ რისათვის გაგიმეტებიათ და დაგვიწყებიათ დალებული და ნათლით შემოსილი ეგე ქალაქი იერუსალიმი. პეი, ვაებასა და უბედურებასა ჩვენის ქვეყნისა.."

„ჩვენს ეკლესიებში ყველგან ქვები და წერილები აცხადებს ჩვენს ქვეყნის ნაჭირნახულებს და თუ ვის გაუკეთებია და ხარჯი უქნია და ვინც ამ ჯვრის მონასტერში (მოხვიდეთ), გოლგოთის ხვიმქლიდან აქ არის და დასაწყის თავში იბილეთ და ნახეთ, თუ ვისია გოლგოთა. და აქა ჯვრის მონასტერში მხედრული დაწერილი მოსახსენებელი სახელები განიხილეთ დოსითეოს პატრიარქის დრის და მით სცნობთ, ამ წმიდა ადგილს ამხავს და ვინც ამოიკითხოთ, ცოდვილის მონაზონის ლავრენტისათვის შენდობა ბრძანეთ" (იხ. ნ. მარი, იერუსალიმის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 43; ვ. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, ჯანაშიას სახელობის მუზეუმის მოამბე, XV-3, 1948, გვ. 39—40).

მეუნდით ღმერთმა ჩვენს ღირსეულ წინაპრებს — მონაზონ მართას და მღვდელ. ლავრენტის (მათაც ვინც თავისი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საქმეში), მაგრამ მათ არ იცოდნენ ისტორიული მოვლენების მძლეობა თავიანთ მშობლიურ ქვეყანაში, რომ არათუ იერუსალიმისა და სხვა საზღვარგარეთულ სავანეებში (ათონი, კონსტანტინეპოლი, კვიპროსი, პეტრიწონი და სხვ.), არამედ საქართველოს შიგნით არსებული ეკლესია მონასტრებიც ისტორიული აუბედობით, გაუკაცრიელების გზაზე იდგა.

„მეჭირვებაში" და სხვის ტყვეობაში ჩავარდნილი ქართული ეკლესია ჩახსენის 1917 წლის რევოლუციამ იხსნა, - 1811 წლიდან დაკარგული ავტოკეფალია, რომელიც საქართველოში V საუკუნიდან მომდინარეობდა, აღდგენილ ს. ... და დიდი ტრადიციის მართლმადიდებელი ქართული ეკლესია თავის სამწყსოს პატრონი შეიქმნა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ყურადღება მიგვექცია ჩვენს წმიდა ადგილებისათვის და გვეზრუნა ჩვენი უფლებების აღდგენაზე.

ქართველი ხალხი კანონიერი მემკვიდრეა თავისი კულტურული წარსულისა და, ბუნებრივია, ცდილობს წინაპართა მემკვიდრეობის დაბრუნებას. დრომ ეს ტრადიცია აღდგა და წმ. ჯვრის მონასტერი ჩამბარდეს თავის ნამდვილ პატრონს, — „ღვთის მოყვარე ივერიელებს" (დოსითეოსი). ამას მოითხოვს სამართლიანობა, ხალხთა შორის სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის მარადიული იდეა.





იერუსალიმის(ისრაელი) "ჯვარის" ქართული მონასტრის მთავარი ეკლესიის "კათოლიკონის"იატაკის ცენტრში ჩაჭედილი დისკო წარწერით:

"ს დ ე ქ ი თ   მ ტ კ ი ც ე დ   დ ა   შ ე უ რ ყ ე ვ ე ლ ა დ".

ეს ფოტო-სურათი გადავიღე 1967 წლის 21 იანვარს, როცა პირველად ვიმოგზაურე იერუსალიმში. 1981 წლის 17 აგვისტოს კი მეორეჯერ ვეწვიე "ჯვარის" ქართულ მონასტერს იერუსალიმში, და მეტად ამაღელვა იმ ფაქტმა, რომ ეს ლითონის დისკო უკვე ამოღებული იყო იატაკიდან, ამ მთავარი ეკლესიის მოხატული კედლები კი სრულიად ჩამოფხეკილი, რის შედეგად,უდავოა, განადგურდა მრავალი ხატი-სურათი, რომლებიც, როგორც შოთა რუსთაველის ხატი-სურათი, გადახატული ბერძნული სურათების ქვეშ ინახებოდა. "ჯვარის" მონასტრის წინამძღვარმა, ახალგაზრდა ბერმა ნარცისოსმა, დამათვალიერებინა რა "ჯვარის" მონასტრის განძეულობა, მითხრა, რომ მთელი მონასტრის რემონტი მიმდინარეობს, მთავარი ტაძრის ეკლესიის იატაკის ჩათვლით, და როცა ეს რემონტი დამთავრდება, მაშინ ლითონის დისკო, ქართული წარწერით, ისევ თავის ადგილას იქნებაო, თუმცა თვით ამ დისკოს ნახვა ვერ შევძელი. ჯვარის მონასტერი მესამეჯერ 1983 წლის 28 სექტემბერს დავათვალიერე და, სამწუხაროდ, ლითონის აღნიშნული დისკო თავის ადგილას კიდევ არ იყო. არ მინდა დავიჯერო, რომ ბერი ნარცისოსი თავის შეპირებას არ შეასრულებს და ეს ისტორიული მნიშვნელობის დისკო ჯვარის მონასტერს ისევ არ დაამშვენებს წარწერით: "ს დ ე ქ ი თ   მ ტ კ ი ც ე დ   დ ა   შ ე უ რ ყ ე ვ ე ლ ა დ".



იგივე ადგილი უდისკოთ. სანთელი მე ავანთე.

# X.

იერუსალიმი - რელიგიათა ქალაქი, შევჩერდეთ ამჯერად ამ საკითხზე:

იერუსალიმი, როგორც არაერთხელ ავღნიშნე, პატივცემულო მსმენელებო, არის სამი დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიის - იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის - ქალაქი.

ქრისტიანები:
============

ისრაელში, როგორც ამას 1982 წელს გამოცემულ წიგნში-"იერუსალიმი"- ვკითხულობთ, - სულ ცხოვრობს 85.500-ი ქრისტიანი, რომლებიც ეკუთვნიან ოცდა-ათ სხვადასხვა ეკლესიას და რომელთა უმრავლესობა არაბებია. ქრისტიანული ეკლესიის ამგვარი დაქუცმაცება გამოწვეულია უმთავრესად იმ დოგმატური დავით, რომელსაც ქრისტიანული რწმენის სხვადასხვა ქვეყნებს, ერებს თუ დაჯგუფებებს შორის ადგილი ჰქონდა მე-5 და მე-11 საუკუნეებში. უმთავრესად, როგორც ავღნიშნე, დოგმატური მიზეზების გამო, დიდი და პატარა ჯგუფები ჩამოსცილდენ კათოლიკურ რომიდან მმართულ ეკლესიას და გახდენ ავტოკეფალური, თუმცა ზოგიერთი ნაწილი ამ ჩამოშორებული ეკლესიებისა მე-12 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე, როგორც "დაკავშირებული ეკლესიები", ისევ დაემორჩილენ რომს, რომლის დროს ახეთმა ეკლესიებმა მათი პატრიარქები და თვითმყოფადობა შეინარჩუნეს.

I. ბერძნულ-მართლმადიდებელი ეკლესია, მაგალითად, რომელსაც ოთხი პატრიარქი - იერუსალიმის, ანტიოხიის, ალექსანდრიისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოები განაგებენ, - რომის ეკლესიას დაუპირისპირდა მას შემდეგ, რაც 395 წელს მოხდა რომის იმპერიის "აღმოსავლეთის რომის=რომა ნოვას" და დასავლეთი რომის იმპერიებად გაყოფა, რომლის დროს მთელი საბერძნეთი და პალესტინა აღმოსავლეთი რომის=ბიზანტიის უფლებამოსილების ქვეშ მოექცა. ბერძნებმა, მიუხედავათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვისა, მაინც შესძ-

ლეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წმინდა ადგილებში მათი გაბატონებული პოზიციების შენარჩუნება. ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს უფლებამოსილების ქვეშ იმყოფება,მაგალითად, იერუსალიმში დაახლოებით 75.000-ი მორწმუნე.

II.ბერძნული კათოლიკური ეკლესია წარმოადგენს ერთ ნაწილს ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიისა, რომელმაც 1709 წელს ისევ აღიარა
უზენაესი
რომის პაპის უფლებამოსილება  თუმცა შეინარჩუნეს მართლმადიდებლური წესი და ემორჩილებიან ალექსანდრიის პატრიარქს. ბერძნულ-კათოლიკური მორწმუნეების რაოდენობას ახლო აღმოსავლეთში განსაზღვრავენ დაახლოებით 224.000-ი მორწმუნეთი.

III."ნესტორიანელები",ანუ ასირიელები, რომლებიც რომის პაპის უფლებამოსილება უარყვეს 431-ც წელს. აღსანიშნავია, რომ ეს სირიელი ქრისტიანები ჩამოშორდნენ ერთიან ქრისტიანულ ეკლესიას ყველაზე პირველად ეფესოსის მსოფლიო კრებაზე. მათთვის,მაგალითად, ღვთისმშობელი მარია არის მხოლოდ დედა ადამიან იესო ქრისტესი.

IV.ქალდეველები 1552 წელს რომთან დაკავშირებული ნესტორიანელებია,
წირვა-ლოცვაში
რომლებმაც ძველი სირიული ენა შეინარჩუნეს. მათი პატრიარქის სადგომი ბაღდადია, ერაყის დედაქალაქი და იწოდება "ბაბილონის პატრიარქად".

V.კოპტური მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც აერთიანებს ორმილიონ მორწმუნეს უმთავრესად ეგვიპტეში, - განსაზღვრული წარმომადგენლობითი უფლებებით სარგებლობს იერუსალიმში. კოპტური მართლმადიდებელი ეკლესია რომს ჩამოშორდა 451-ც წელს.

VI.კოპტური კათოლიკური ეკლესია,რომელშიც გაერთიანებულია დაახლოებით 80.000-ხი მორწმუნე, - რომის უფლებამოსილებაში შევიდა 1741

წელს, და არ არის წარმოდგენილი იერუსალიმში.

VII. სირიული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც 451 წელს ჩამოშორდა რომს, იწოდება აგრეთვე "იაკობიცელებად" და წირვა-ლოცვას აწარმოებს ძველ სირიულ ენაზე. სირიულ მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო იმყოფება დამასკოში, სირიის დედაქალაქში; მასში გაერთიანებულია მთელს ახლო აღმოსავლეთში დაახლოებით 110.000-ი მორწმუნე.

VIII. სირიული კათოლიკური ეკლესია რომს დაუკავშირდა 1662 წელს, და წირვა-ლოცვას აწარმოებს ძველ სირიულ ენაზე. ამ ეკლესიაში გაერთიანებულია სულ დაახლოებით 90.000-სი მორწმუნე; მისი პატრიარ-
(ლიბანი)
ქის რეზიდენცია ბეირუთშია და იწოდება ანტიოქიის პატრი- არქად.

IX. სომხური გრეგორიანული ეკლესია, ნაციონალური ეკლესიაა სომხე- თისა, რომელიც რომს ჩამოშორდა 451 წელს. სომხური ეკლესია აერ- თიანებს, როგორც ამ წიგნში ვკითხულობთ, 1.800.000-ს მორწმუნეს,
საპატრიარქოს, ე.ი. ოთხი
ლიტურგია წარმოებს სომხურ ენაზე და იმყოფება ოთხი პატრიარქის უფლება მოსილების ქვეშ

X. სომხური კათოლიკური ეკლესია 1740-ც წელს დაუკავშირდა რომის კათოლიკურ ეკლესიას; მასში გაერთიანებულია დაახლობით 100.000-სი მორწმუნე და იმყოფება კილიკიის საპატრიარქოს უფლება- მოსილების ქვეშ, რომლის რეზიდენცია ლიბანის დედაქალაქ ბეირუთშია.

XI. მარონიტების ეკლესია, რომელიც წარმოიშვა "მონოთელეტებიდან", რომელთა რწმენის თანახმად "მართალია, ქრისტეს გააჩნია ერთი ღვთიური და ერი ადამიანური ბუნება, მაგრამ მხოლოდ ერთი ღვთიურ-

ადამიანური ნებისყოფა. მარონიტების ეკლესია 1182 წელს ისევ შევიდა რომის ეკლესიის უფლებამოსილების ქვეშ. მარონიტები ყვე-ლაზე უფრო გავლენიანი ერთობაა ლიბანში.

XII. რომაულ-კათოლიკური, ე.წ-ლი "ლათინელების " ეკლესიას საკუთარი პატრიარქი ჰყავს იერუსალიმში. "ლათინელების" ეკლესიაში ყველაზე უფრო ძლიერი ჯგუფია "ფრანცისკანელები", რომლებიც განაგებენ იერუსალიმის ყველა წმინდა ადგილს, რომლებიც რომის უფლებამოსილების ქვეშაა.

XIII. პროტესტანტული ეკლესია, რომელმაც იერუსალიმში, უკანასკნელ ათ წელში, თანდათანობითი მზარდი მნიშვნელობა მოიპოვა.

ისლამური რელიგია:
================

არაბული სიტყვა "ისლამ" ნიშნავს "მშვიდობაში შესვლას" ("სალამ"). მოჰამედი (571-632) კი ამ სიტყვას ხმარობს შემდეგნაირი გაგებით: "ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთის ნებასა და მის რწმუნებულებზე მინდობა". ეს მოითხოვს ალაჰის რწმენას, ადამიანთა მოქმე-დებისა და ბედის წინასწარ განსაზღვრას ღმერთისაგან, მოჰამედის გამოგზავნას ღვთისაგან როგორც წინასწარმეტყველის სიგელისა, რწმენას სი-კვდილის შემდეგ სიცოცხლისა, აღდგომისა მოჰამედი მოითხოვს აღიარებული წინასწარმეტყველობის რწმენას დაწყებული ადა-მიდან გათავებული ქრისტეთი.

"ისლამის ხუთი სვეტია" - მხოლოდამხოლოდ ალაჰისა მისი რწმენა. დღეში ხუთ-ერ ლოცვა, დაცვათა და-სარჩუქრება, რამადანის მარხვის დაცვა და მლოცველად წასვლა მეკაში.

ყურანი,სიტყვა-სიტყვით, "კითხვა", არის ისლამის სახარება, რომელიც მუჰამედის სიტყვების კრებულია - შედგენილი ყალიფ ოსმანის(644-656) დროს. ყურანი შესდგება 114 "ზურის",ე.ი. თავისაგან; მას ემატება კიდევ მოგვიანებით შედგენილი კრებულები - "ჰადით",ე.ი."გადმოცემანი" და "სუნნა",ე.ი."ჩვეულება".

ისლამურ რელიგიაშიცაა რამდენიმე მიმართულება:
=========================================

I.<u>სუნიტები</u>, რომლებსაც შეიძლება აგრეთვე ეწოდოს მართლმადიდებელი მუსლიმანები. ამ მიმართულებას ემხრობა თითქმის ყველა არაბი იერუსალიმში.

II.<u>შიიტები</u>, რომლებმაც 661 წელს ჩამოშორდნენ უმრავლესობას, რომლის დროს სადავო საკითხი გახდა მოჰამედის კანონიერი მემკვიდრეობის საკითხი: სუნიტებისაგან განსხვავებით, შიიტები ცნობენ მემკვიდრედ 661 წელში მოკლული ყალიფის <u>ალის</u> მემკვიდრეებს. შიიტები უმთავრესად სპარსეთში,ერაყსა და ლიბანშია თავმოყრილი.

III.<u>ისმაილის</u> მიმართულების მორწმუნენი ქე-ძ საუკუნეში ჩამოშორდნენ შიიტებს. ამ სექტის მამამთავარია ალა ხანი.

IV.<u>დრუზები</u> თავს თვლიან ფატიმიდების ყალიფის ელ-ჰაკემის(996-1021) მემკვიდრეებად და თითქმის არც კი შეიძლება იწოდონ მუსლიმანებად. ესენი ცხოვრობენ ლიბანის,სირიისა და ისრაელის სასაზღვრო მთიან რაიონებში.

V.<u>ალოიტები</u>, აგრეთვე <u>ნუსერი</u>, მეტად ჩამოშორდნენ მაჰმადიანურ რელიგიას და თავიანთ მოძღვრებაში შეიტანეს არაისლამური რწმენის ელემენტები.

იუდაიზმი და სამარიტები:
=======================

ისრაელის მოსახლეობის 84 პროცენტი იუდაიზმის რელიგიის მორწმუნეებია. ამ რწმენის საფუძველია ყველაფერში ღმერთ <u>იავეს</u> ნებასურვილის ათვისება.

იუდაიზმის წმინდა წიგნია "თორა", ე.ი."კანონი",რომლის შემქმნელად მოსეა აღიარებული -"მოსეს ხუთი წიგნი". ამას ემატება კრებულები -"მიშნა"და "გემარა", რომლებიც ერთად იწოდება "ტალმუდათ".
მოძღვრების იყო ერთდროს
იუდაიზმის ერთადერთი უზენაესი ავტორიტეტი "უზენაესი საბჭო"= "სინჰედრიონ",რომელიც მეხუთე საუკუნიდან, ქრისტეს დაბადების შემდეგ, გაუქმდა.

იუდაიზმის რელიგიის უმაღლესი დღესასწაულია "შაბათი"="ქმნი-
გრძელდება ყოველ
ლების დღესასწაული",რომელიც პარასკევ-საღამოს მზის ჩასვლიდან შაბათ-საღამოს მზისჩასვლამდე. ებრაული ახალი წელი იწყება სექტემბერში ან ოქტომბერში ახალი წლის დღესასწაულით - "როშ ჰაშანა". 1983-84 წლების ახალი წელია,მაგალითად, ებრაული წელთაღრიცხვით 5744 წელი.

სამარიტანელები,რომელთა ცენტრი ქალაქ ნაბრუსშია, აღიარებენ მხოლოდ თორასა და იოშუას წიგნს.

აი,პატივცემულო მსმენელებო, მსოფლიოს მთავარი რელიგიები, რომელთა წმინდა ქალაქია იერუსალიმი და რომლებიც,მეტ-ნაკლებად, წარმოდგენილი არიან მსოფლიო რელიგიების ამ ქალაქში. სამწუხაროთ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ წიგნში საერთოდ არ არის მოხსენებული, თუმცა ერთ დროს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას იერუსალიმში, პალესტინასა და საერთოდ ახლო აღმოსავლეთში 19-მდე მონასტერი, ტაძარი თუ სხვა რელიგიური ცენტრები გააჩნდა.

დღეს, პალესტინაში ერთადერთი ქართველი სასულიერო პირიც კი არ მოიპოვება; და ამის შედეგია ის, რომ საქართველო, ქართველები იერუსალიმისა და პალესტინის წმინდა ადგილებში არსად არ მოსჩანან. სამწუხაროდ, სამწუხაროდ,

## XI.

ქართული ჯვარის მონასტრის დათვალიერების შემდეგ - 1983 წლის 28 ნოემბერს - ფეხით შემოვიარე ჯვარის მონასტრის შემოგარენი, ე.ი. ჯვარის მონასტრის ხეობა, და შემდეგ წავედი ფეხით ქართული რესტორანისაკენ, რომელიც, როცა მე იერუსალიმში ვიყავი 1981 წლის აგვისტოში, ისეთი ცნობილი რესტორანი იყო მთელს იერუსალიმში, რომ თვით ქალაქის რუკაზეც კი იყო აღნიშნული "გეორგიან რესტორან"= ესე-იგი, "ქართული რესტორანი". მივედი დავითის ქუჩაზე და...ქართული რესტორანის წარწერა - დიდი ლათინური ასოებით - უკვე არსად აღარ ჩანდა. ეს რესტორანი გაუყიდიათ; და უყიდიათ მაროკოელებს, ე.ი. მაროკოელ ებრაელებს და გაუხსნიათ ე.წ-ლი "ორიენტალური რესტორანი" წარწერით "რესტორან მარაკეშ ინნ". როგორც ჩანს, - მიუხედავათ იმისა, რომ ქართული რესტორანი მეტად ცნობილი იყო იერუსალიმში, და ერთ დროს ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰენრი კისინჯერმაც კი ისადილა მასში და ქება-დიდებით შეამკო - ქართული სამზარეულო - ამ ქართული რესტორნის წარმართვა რთული საქმე გახდა და ამიტომ მის პატრონებს გაუყიდია. რას იზამს კაცი: "თავისუფალი ბაზრის" კანონია: რაც მოგებას არ იძლევა, უნდა გაქრეს, და ასეთი ბედი ეწია, როგორც გავიგე, ამ ქართულ რესტორანსაც იერუსალიმში.

## XII.

დავითის ქუჩიდან, სადაც ქართული რესტორანი იყო, შორს არ არის, სხვათა შორის, იერუსალიმის "ძველი ქალაქი", ეს მსოფლიო სამი რელიგიის - იუდაიზმის - ქრისტიანიზმისა და ისლამის - ცენტრი, და ფეხით მივადექი "ძველ ქალაქს" "იაფის ჭიშკრიდან". ეს იყო 1983 წლის 28 ნოემბერს, ნასადილევის 3-მ საათზე, ე.ი. 15-ტ საათზე. და, როგორც თითქმის ყოველი მლოცველი, რომელიც ეწვევა იერუსალიმის "ძველ ქალაქს", - მივედი "ვია დოლოროზა-ს"= VIA DOLOROSA "წამების გზის" თუ ქუჩის= "ოდოს მარტირიოი-ს"= VIA DOLOROSA დასაწყისში, სადაც, გადმოცემით, დაიწყო იესო ქრისტეს წამების გზა. 1983 წლის 28 ნოემბერი იყო ხუთშაბათი, და როგორც ჩემი ყოფნისას იერუსალიმში 1981 წლის აგვისტოში, ამ-ჯერათაც

გავიარე იესო ქრისტეს "წამების გზა" და ქრისტეს 14-ი შეჩერების თუ სადგურის დროს მაგნეტოფონის ფირზე ჩავწერე ცალკეულ "შეჩერება"= "სადგურთა" ქრისტე-წამების-დროინდელი მსვლელობა. "ოდოს მარტირიოი", "ვია დოლოროზა", ე.ი."ქრისტეს წამების გზა", იერუსალიმის "ძველ ქალაქში", გავიარე აგრეთვე 1983 წლის 30 სექტემბერს, პარასკევს, 15-ი საათიდან 16-ტ საათამდე იტალიელ ფრანცისკანელებთან ერთად, რაც ჩავწერე აგრეთვე მაგნეტოფონის ფირზე. ამგვარად, ქრისტეს წა-მების გზა, იერუსალიმის ძველ ქალაქში, გავიარე ორჯერ - 29-ა და
ხმა
30 სექტემბერს, 1983 წელს და ორივეჯერ ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზე. ქრისტეს წამების გზის გავლისას,1983 წლის 29-ა სექტემბერს, უცბათ დაიწყო ქრისტეს საფლავის უზარმაზარი ტაძრის ზარების რეკვა, რაც ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზე და მსურს, პატივცემულო მსმენელებო, მოვისმინოთ ახლა. ამ ქრისტეს საფლავის ტაძრის ზარების რეკვა იერუსალიმის ძველ ქალაქიდან, რომელიც ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზე 1983 წლის 29 სექტემბერს, ხუთშაბათს:

(ქრისტეს საფლავის ტაძრის ზარების რეკვა....)

ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ქრისტეს წამების გზის - ვია დოლოროზას - აღწერას, მაგნეტოფონის ჩანაწერებით· ახლა კი მსურს აღვნიშნო, რომ 1983 წლის 30 სექტემბერს, პარასკევს, დილით, წაველი ე.წ-ლი "ზეთის ხილის მთაზე", რომელიც მდებარეობს იერუსალიმის ძველი ქალაქის გარეთ დასავლეთით, საიდანაც - რომ იტყვიან ხოლმე - ხელის გულივით მოსჩანს "ძველი ქალაქის" განსაკუთრებით დასავლეთი ნაწილი. თვით ზეთის ხილის მთის ფერდობზე კი მრავალი ღირსშესანიშნავი ეკლესია-ტაძარია, რომელთაგან თავისი ბაღნარით ,ტიპიური რუსული გუმბათებით გამოირჩევა რუსული მონას-ტერი-ტაძარი, რომელიც - თავის მხრივ - განლაგებულია იმ ადგილის ზემოთ, სადაც - იესო ქრისტე, სერობის შემდეგ, შევიდა გეთსემანიის ბაღში - ზეთისხილის მთაზე. ახლა ამ ადგილას დგას გეთსემანიის ბაზილიკა.

გეთსემანიის ბაღში შესვლისას - მოთხრობილია იესო ქრისტეს

ცხოვრებაში" – იესო ტოვებს რვა მოწაფეს, რათა მოიცადონ. იგი პეტრესთან, იოანესთან და იაკობთან ერთად მიდის ბაღის სიღრმეში. დაბრუნებისას იგი მოწაფეებს მძინარეს ხედავს, იგი მიდის სალოცავად კიდევ ორჯერ. როდესაც იესო მოწაფეებს აღვიძებს მესამედ, ამბობს:

"ადექით! აი, ჩემი გამცემი ახლოვდება."

სანამ იესო მოწაფეებთან ლაპარაკობდა, იუდამ ბაღში შემოიყვანა ჯარისკაცები. დაპირებისამებრ, იუდა კოცნის იესოს, რომ ჯარისკაცებმა იცნონ იგი. როდესაც ჯარისკაცებმა იესო შეიპყრეს, პეტრე მახვილით მსახურს ყურს მოჰკვეთს. იესო კურნავს მსახურის ყურს. როდესაც მოწაფეები ხედავენ, რომ ის არ ცდილობს თავის დაცვას, ყველა იფანტება. ჯარისკაცები შეუკრავენ ხელებს იესოს და წაიყვანენ იერუსალიმში.

---

ზეთისხილის მთაა აგრეთვე ის წმინდა ადგილი,საიდანაც იესო ქრისტე ამაღლდა ზეცაში: აღდგომის მეორმოცე დღეს იესომ წაიყვანა მოწაფეები ზეთისხილის მთაზე. აკურთხა ისინი და ამაღლდა ზეცაში.

ავედი რა ზეთისხილის მთის პლატოზე, აქედან მართლაც რომ ბიბლიურად" გამოიყურება, მოსჩანს არა მარტო იერუსალიმის მაღალი გალავანით შემოვლებული ქალაქი უთვალავი ტაძრებითა და წმინდა ადგილებით, არამედ მთელი შემოგარენი, განსაკუთრებით სრულიად უხეტყეო მთა-გორაკები.

ჩამოვედი რა ზეთისხილის მთიდან ფეხით <u>კიდრონის ხეობაში</u> იერიქოსაკენ მიმავალ ასფალტირებულ საკმაოდ ფართო გზით ავედი მაღლა და იერუსალიმის ძველი ქალაქის "ლომის ჭიშკრით" შევედით თვით ძველ ქალაქში. უკვე მხოლოდ 15-ი წუთი აკლდა ნაშუადღევის სამ საათს, როცა იწყება ფრანცისკანელთა ორდენის ბერების სვლა ე.წ-ლი იესო ქრისტეს წამების გზით გოლგოთასაკენ. და,მართლაც, ნაშუადღევის სამ საათზე, 1983 წლის 30 სექტემბერს, პარასკევს, ვიყავი იმ ადგილას, სადაც იწყება ქრისტეს წამების გზა, უფრო ზუსტად, ქრისტეს წამების გზის პირველი "საფეხური"="სადგური"="შეჩერება". აქ უკვე მრავალი მლოცველი იყო თავმოყრილი,რომლებიც ელოდებოდნენ იესო ქრისტეს წამების გზაზე სვლის დაწყებას. მეც ჩავდექი მათ რიგში და,მართლაც, ზუსტად დღის სამ საათზე დაიწყო იტალიელ ფრანცისკანელთა

ლოცვა-გალობა, რაც    ჩავწერე ჩემს მაგნეტოფონის ფირზე. ამგვარად, ჩემი ეს რეპორტაჟი შეიცავს ჩანაწერებს ორი დღისა - ხუთშაბათისა და პარასკევისა,ე.ი.1983 წლის 28 და 29 სექტემბრისა,როცა მე მოვიდოდი ქრისტეს წამების გზა გოლგოთას მთამდე, იერუსალიმის ძველ ქალაქში.

(ფ ი რ ი.........)

პირველი სადგური:     იესო ქრისტე, მიუხედავად იმისა,რომ,გადმოცემით, რომის იმპერიის მბრძანებლის სასახლის    ეზოში, ე.წ-ლ"ლითოსტროტონში" იქნა გასამართლებული და მიესაჯა ჯვარცმით სიკვდილი, პირველ შეჩერებად მიჩნეულია ის ადგილი რომის ციხე-სიმაგრეში,სადაც პონციუს პილატემ დაკითხა იესო ქრისტე, და აქედან იწყება ქრისტეს წამების ჯვარცმის პროცესია,ყოველ პარასკევს, 15-ტ საათზე.

(ფ ი რ ი.........)

მეორე შეჩერება-სადგური: ქრისტეს ჯვარცმის,წამების გზაზე მეორე საფეხური-შეჩერებაა ის ადგილი,სადაც იესო ქრისტე აიძულეს თვითონვე ეზიდა ის "მძიმე ჯვარი",რომელზედაც იგი აცვეს გოლგოთაზე. ამ ადგილასაა დღეს ფრანცისკანელთა ორდენის ორი სამლოცველო: "გაწკეპვლის" ეკლესია და "დასჯის" სამლოცველო. ცოტაოდენი მოშორებით კი ქრისტეს წამების გზაზე - ვია დოლოროზაზე - გადაჭიმულია თაღი,რომელსაც ეწოდება "ეკო-ჰომო" იმის გამო, რომ აქ პონციუს პილატემ - შეხედა რა ქრისტეს - თქვა:"აი,ადამიანი!" თუ "ესაა ადამიანი!".

(ფ ი რ ი.......)

მესამე შეჩერება-სადგური: აქ იესო ქრისტე,გადმოცემით, პირველად დაეცა, ვერ ზიდა რა "მძიმე ჯვარი". ამ ადგილასაა დღეს პოლონური სამლოცველო,რომელიც აგებულ იქნა 1946 წელს.

მეოთხე სადგური: ეს არის იესო ქრისტეს წამების გზის ის ადგილი, სადაც ქრისტე შეხვდა მის დედას, მარიამს. ამ ადგილას"ორატორიუ-

მის" კედელზე გამოსახულია იესო ქრისტესა და მარიამის რელიე-ფური პორტრეტები.

(ტ ი რ ი..........)

მეხუთე შეჩერება-სადგური: აქ არის ქრისტეს წამების გზის ის ადგილი, სადაც იესო ქრისტემ ვეღარ შეძლო "მძიმე ჯვარის" ზიდვა და ჯვარი აკიდეს ზურგზე სირენელ სიმონს,რომელიც ყანიდან მიდიოდა სახლში.

მეექვსე შეჩერება-სადგური: ამ ადგილას,გადმოცემით, წმინდა ვერონიკას ოფლი მოუხოცია იესო ქრისტეს სახეზე. ეს სახოცი მას შეუნახავს, და 707 წლიდან რომის წმინდა პეტრეს ტაძარში ინახება.

(ტ ი რ ი..........)

მეშვიდე-შეჩერება-სადგური: აქ არის ის ადგილი, სადაც ქალები დასტიროდენ იესო ქრისტეს ბედს. აქ გზის გასწვრივ გოლგოთასაკენ, გადმოცემით, ყოფილა ვერხვის ხეების ალეა. ვერხვებს ტოტები დაუ-ხრიათ, რომ მეტი ჩრდილი ჰქონოდა იესო ქრისტეს ამ ადგილას გავლი-სას. მაგრამ ერთ ვერხვს არ დაუხრია ტოტები,რომლისთვისაც იესოს მისთვის ისე ნაღვლიანად შეუხედავს, რომ ვერხვს დაუწყია ცახცახი. და ამიტომაა, რომ,როგორც ამბობენ, ვერხვები დღესაც ცახცახებენ.

(ტ ი რ ი.........)

მეცხრე შეჩერება-სადგური: მეცხრე სადგურის მიღწევა შეუძლებელია ბაზრის გავლით,ვინაიდან შენობებითაა გადაჭრილი. აქ იესო ქრისტე მესამეჯერ დაეცა,რაც აღნიშნულია ერთი რომაული სვეტით.

მეათე,მეთერთმეტე,მეთორმეტე, მეცამეტე და მეთოთხმეტე შეჩერება-სადგურები დღეს ქრისტეს სამარის უშველებელი ტაძრის ქვეშაა მოქცეული. ეს ტაძარია ნაგებობათა მთელი კომპლექსი: პირველი ტაძარი,გადმოცემით, ბიზანტიის კეისარს კონსტანტინე დიდს აუშე-ნებია 335 წელს,რომელიც 614 წელს დანგრეულ იქნა სპარსელების

მიერ,როცა სპარსელებმა დაიპყრეს ეს წმინდა ადგილი.
მაგრამ პატრიარქის მოადგილემ მოდესტოსმა დაიწყო დანგრეული ტაძრის ისევ-აშენება. 1009 წელს კი ფატიმიდენ-ყალიფმა მთლიანად დაანგრია ეს ტაძარი. ქრისტეს საფლავის ტაძრის მშენებლობა 1048 წელს დაამთავრმა ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე-მონომახოსმა, მაგრამ შეცვლილი ფორმით. და როცა ჯვაროსნებმა 1099-ი წლის 15 ივლისს იერუსალიმი დაიპყრეს, მაშინვე დაიწყეს ამ ტაძრის გაფართოება-გადიდება, და მიუხედავათ იმისა,რომ მონღოლებისა და სხვათა შემოსევებით მრავალჯერ დაზიანდა, მე-19 საუკუნის დასაწყისამდე თითქმის უცვლელი დარჩა. მაგრამ 1808 წელს ამ ტაძრის დიდი ნაწილი გაანადგურა ხანძარმა და ისევ-აშენება ვერ მოხდა საკმარისი სტილისტური ცოდნითა და გამოცდილებით. საბოლოოდ ამ ტაძრის მშენებლობა დამთავრდა 1958 წელს.ამ ტაძრის ნაგებობათა უმთავრესი პატრონი დღეს ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიაა იერუსალიმში, თუმცა აქაა წარმოდგენილი აგრეთვე კათოლიკური და მონოფიზიტური ეკლესიებიც.
ამ ტაძარშია: გოლგოთას ალტარი-სამლოცველო,

"მალამოს"მარმარილოს ქვა,

ქრისტეს საფლავი,საიდანაც ის აღსდგა.

(ფ ი რ ი..........)

ქრისტეს საფლავის ტაძრის შესახებ მოვიგონოთ ერთი წყარო,რომელიც ნათელჰყოფს ქართველთა დიდ გავლენაზე ამ წმინდა ადგილებში:

და აქ მსურს მოვიყვანო ამონაწერი საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალიდან "ჯვარი ვაზისა",რომელშიც ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში,სხვათა შორის,ნათქვამია:

XVI საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში ჩავიდა მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ გაგზავნილი პირი ამბროსი, შემდეგ. — ბესა როლოყაშვილი — „ჯვარის მამად მივლინებული". იერუსალიმში ბ. როლოყაშვილმა ფრანგთა გოლგოთა დააკლებინა და სომხებს დავა გაუმართა იაკობის ტაძრის გამო. დიდი შეწირულებით ესტუმრა ზოსიმე კუმურდოელი იერუსალიმს და კვლავ დაიხსნა გოლგოთა. — „მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთაი წაეკუართეეს და მან დაიხსნა, ოთხასი ფლური გამოიღო".

იერუსალიმში ქართველთა ხშირი ჩასვლა, მათი

ზრუნვა ჯვარსა და სხვა სავანეებზე. ძველ უფლებათა აღდგენაზე, ძველი ხელნაწერების ბედზე საკმაოდ შესამჩნევი იყო. აღნიშნულის შესაბამისად ქართველებს იქ

პატივს სცემდნენ, მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია. ამაზე საგანგებოდ წერდნენ უცხოელი მოგზაურნი: ი. ჰასიშტეინსკი (1493), მ. ბაუმგარტენი (1507), ლ. ჩუდი (1519), ბ. დე სალინიაკი (1522) და სხვ. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქართველები კვლავ გამორჩეულ-აღიარებული ეროვნული დროშებით, — სამეფოდ ძვირფას-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მსხდომნი, — თავისუფლად, ბაჟის გადაუხდელად, შედიოდნენ იერუსალიმში. მაგალითად, ჩეხი მოგზაური ი. ჰასიშტეინსკი, იერუსალიმში ყოფნისას აღნიშნავს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში რვა ქრისტიან ხალხს აქვს თავისი სამლოცველო: „პირველთა აქვთ საერთო სარწმუნოება ჩვენთან (იგულისხმება რომაელი კათოლიკეები, — ჯ. გ.), მეორენი არიან ბერძნები, მესამენი — ქართველები, მეოთხენი — იაკობიტელნი, მეხუთენი — სირიელნი, მეექვსენი — ინდოელნი, მეშვიდენი — სომხები და მერვენი — მარონიტები". საყურადღებო ფაქტი ისიცაა, რომ ამ ხალხებიდან ქრისტეს საფლავის ეკლესიაში: რომაელებს ჰქონიათ 11 კანდელი, ბერძნებს — 9, ქართველებს — 13, იაკობიტელნებს — 5, სირიელებს — 5, ეთიოპელებს — 4, სომხებს — 4 და მარონიტებს — 5. ასე, რომ მე-15 საუკუნის ბოლოს და მე-16 საუკუნის დასაწყისშიც ქრისტეს საფლავის ეკლესიაში კვლავ პრივილეგიებით სარგებლობენ და პირველი ადგილი უჭირავთ ქართველებს (იხ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 6—7). ერთ-ერთი საზღვარგარეთელი მოგზაური ლ. სუდჰეიმი კი (1331—1341 წლებში იყო იერუსალიმში) პირდაპირ მიუთითებს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღებს ქართველები ფლობენ („არხივე დე ლ'ორიანტ ლატინ", II, პარიზი, 1884, გვ. 353—354; დამოწმებული აქვს რ. ჯანენს „ქართველები იერუსალიმში"). უცხოელ მეცნიერთა აღიარებით ქართველებს ეს უფლება XV საუკუნის ბოლომდე ჰქონიათ.

და აქ მოვისმინოთ, პატივცემულო მსმენელებო, ქრისტეს საფლავის ტაძრის ზარების რეკვა, რომელიც მე ჩავწერე მაგნიტოფონის ფირზე 1983 წლის 28 სექტემბერს, ნაშუადღევს, იერუსალიმში:

(ქრისტეს საფლავის ტაძრის ზარების რეკვა....)

პალესტინის, განსაკუთრებით კი იერუსალიმის არა მარტო ე.წ-ლი "ძველი ქალაქის" სავსე მსოფლიო მნიშვნელობის სამი დიდი რელიგიის იუდაიზმის,ქრისტიანიზმისა და ისლამის წმინდა ადგილებით,

ტაძრებით,ეკლესიებით,მონასტრებით თუ აკლდამებით. მაგრამ ისე არ მსურს დავტოვო ამ-ჯერად იერუსალიმი, რომ ორიოდე სიტყვით არ შევეხო კიდრონის ხეობას, რომლის სამხრეთ-დასავლეთ ზეგანზეა ზეთისხილის, ეფელისა და სიონის მთები.

ზეთისხილის მთის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ· ახლა ორიოდე სიტყვით შევეხები კიდრონის ხეობას,რომელიც მდებარეობს, როგორც ავლნიშნე, - იერუსალიმის ძველ ქალაქსა და ზეთისხილის, ოფელისა და სიონის მთებს შორის.

კიდრონის ხეობა დიდ როლს თამაშობს იერუსალიმის მოსახლეობის რწმენაში, რომელ რელიგიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ქრისტიანული რწმენით აქ აღდგომის დასასრულს ყოველმა გარდაცვლილმა მეტად წვრილ ბაწარზე გავლით, რომელიც გაბმულია იერუსალიმის ძველი ქაქის ტაძრის მოედნიდან ზეთისხილის მთაზე კედრონის ხეობის მაღლა, - უნდა გადაჭრას ეს ხეობა. ბოროტები ჩამოვარდებიან ამ წვრილი ბაწრიდან და ჩაცვივდებიან კედრონის ხეობაში=ჯოჯოხეთში, ხოლო კეთილები, ანგელოზების მხარდაჭერით, გადაჭრიან ამ ხეობას და გადარჩებიან და მოხვდებიან სამოთხეში. ეს ლეგენდაა იმის მიზეზი, რომ მეტად ბევრი სასაფლაოებია აქ, რომ ყოველი გარდაცვლილი აღდგომის დასასრულს დროულად იყოს ამ ადგილზე.აქაა აგრეთვე "აბესალომის საფლავი", "იოსაფას საფლავი", "წმინდა იაკობის საფლავი" თუ "ღვთისმშობლის წყარო".ოფელისა და სიონის მთებს შუა არსებობს 17 მეტრის სიგრძისა და 6 მეტრი სიგანის სილოემ_ტბორი, წყალსაცავი, სადაც იესო ქრისტემ ბრმადდაბადებული ბავშვი დაბანა და მხედველობა მისცა. ეს მოხდა შაბათ დღეს, რის შედეგად პარი-ზევლებმა განდევნეს ქრისტე. ჯერ კიდევ ბიზანტიის ხანაში, მეხუთე საუკუნეში, აგებულ იქნა აქ ერთი ეკლესია,რომლისაგან, ისე როგორც რომაული კიბესაგან,რომელიც სიონის მთისაკენაა აგებული, - ნანგრევებია შემორჩენილი.

ეს რომაული სიონის მთაზე ასასვლელი კიბე,შესაძლებელია, გაიარა იესო ქრისტემაც, როცა ის სიონის მთაზე ავიდა და იქიდან

ზეთისხილის მთისაკენ წავიდა და "მწვანე ხუთშაბათს" უკანასკნელი სერობა ჩაატარა გეთსემანიაში.

სიონის მთაზე იყო, ზოგიერთის აზრით, კაიფას სასახლე, სადაც უზენაესმა ქურუმმა კაიფამ, თეოლოგებთან და უხუცესებთან ერთად, დაკითხა იესო ქრისტე, რასაც მოყვა ქრისტეს დატუსაღება. აქაა ახლა 1931 წელს დამთავრებული ნაგებობა, რომელიც აგებულია იუდაისტური და ადრე-ქრისტიანული ნაგებობის ნანგრევებზე. აქვეა "ქრისტეს სა-ტუსაღოც".

სიონის მთა, სხვათა შორის, მიჩნეულია სერობის, შემდეგ "ფეხის დაბანის", "წმინდა სულის გაფანტვის" და "მარიამის მი-ძინების" წმინდა ადგილად. ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში აგებულ იქნა სიონის მთაზე მოციქულის ეკლესია. ჯვაროსნების დროს აგებულ იქნა სიონის ტაძარი. ამ ხანას ემთხვევა აგრეთვე დავითის საფლა-ვის პატივისცემა სიონის მთაზე, მიუხედავად იმისა, რომ დავითის საფლავი ოფელის მთაზე უნდა ყოფილიყო. მე-14 საუკუნეში სიონის მთას დაეპატრონენ ფრანცისკანელები, რომლებიც მე-15 საუკუნეში მაჰმადიანებმა განდევნეს, რომლებმაც ფრანცისკანელების გოთური
ამის შემდეგ,
ტაძარი 1452 წელს მეჩეთად გადააკეთეს. თითქმის ხუთასი წლის გან-მავლობაში აკრძალული იყო ებრაელებისა და ქრისტიანებისათვის სიონის წმინდა ადგილების მოლოცვა.

და-ბოლოს,პატივცემულო მსმენელებო, მსურს გაგაცნოთ აღწერა ქართული ჯვარის მონასტრისა, როგორც ეს დაბეჭდილია ტურისტთა სა-ხელმძღვანელო წიგნში,რომელსაც ეწოდება "იერუსალიმი" და გამოცე-მულია გერმანულ ენაზე,"პოლიგლოტის" გამომცემლობის მიერ,1982 წელს:

"ჯვარის მონასტერი - ვკითხულობთ აქ - დაარსეს ბერძნებმა მე-6 საუკუნეში, და არის მაღალი გალავანით შემოვლებული ნაგებობა, რომ თავი დაეცვათ ყაჩაღ-თავდამსხმელებისაგან. შესასვლელი ჭიშ-კარი არის თავისებური "ნემსის-ყუნწი", ისე დაბალი,რომ შესვლისას უნდა დაიღუნო. ეკლესია, მშვენიერი გუმბათით, იმ ხის ადგილას

უნდა იყოს აგებული, სადაც მოჭრეს ქრისტეს ჯვარცმის ხე. ერთი ვერცხლის მრგვალი რგოლი მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც იდგა ის ხე. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ძველი ფრესკები ეკლესიაში."

ესაა ყველაფერი, პატივცემული მსმენელებო, ჯვარის მონასტრის შესახებ, რაც აღნიშნულია "იერუსალიმის" ღირსშესანიშნაობათა სახელმძღვანელო-წიგნში. აქ საერთოდ მოხსენებულიც კი არ არის, რომ ჯვარის მონასტერი ქართული მონასტერია, და ისიც კი არ არის აღნიშნული, რომ ამ მონასტრის ტაძრის კედლები უკვე, როგორც გაცნობეთ, თითქმის მთლიანად ჩამოფხეკილია ქვებამდე, ე.ი. განადგურებულია. ჯვარის მონასტრის მთავარი ეკლესიის იატაკის შუა-ადგას ჩასმული ლითონის დისკო წარწერით "სდექით მტკიცედ და შეურყევლად", სრულიად მივიწყებულია. იმ იმედით ვტოვებ იერუსალიმს, რომ ბერი ნარცისოსი, ჯვარის მონასტრის წინამძღვარი, შეასრულებს თავის შეპირებას და აღნიშნულ ლითონის დისკოს ისევ ჩასვამს მის ადგილას, როგორც ეს იყო საუკუნეების განმავლობაში.

## XIII.

პალესტინაში-ისრაელში, სხვა მრავალ ღირსშესანიშნაობათა შორის, მსურს ავღნიშნო - თავისებური -"აკრო-პოლის", მთა-ციხესიმაგრე, მკვდარი ზღვის დასავლეთ ნაპირზე და ბიბლიური ქალაქი იერიქო, რომლებიც დავათვალიერე 1983 წლის 29 სექტემბერს, ხუთშაბათს. დილის ხუთ საათზე, იერუსალიმიდან გავემგზავრეთ, სულ ცხრა ტურისტი გიდით, პატარა ავტობუსით იერიქოსაკენ მიმავალი გზით მკვდარის ზღვისაკენ, რომლის დროს იერიქოს ასფალტირებული გზით გავიარეთ კიდრონის ხეობა, და მრავალი ხრიოკი მთა-ხეობა, რომლის დროს არაერთხელ შევეყარეთ მთის ზეგანებზე მიმოფანტულ თხების ფარებს, რომლებიც, როგორც გიდმა განმარტა, მომთაბარე "ბედუინების", უმთავრესად არაბების, ერთადერთი ცხოვრების წყაროა. მთის ფერდობებზე, აქა-იქ, დავინახეთ აგრეთვე კარავები და წყლის მილები თუ ბოჭკები, რომლებშიც ცხოვრობენ ეს მომთაბარე მწყემსები. როდესაც მკვდარ ზღვას დაუახლოვდით, ჩვენ დავადექით გზაჯვარედინზე სამხრეთით მიმავალ, მკვდარი

ზღვის დასავლეთით-მდებარე სანაპირო ასფალტირებულ გზას,რომელიც - როგორც გიდმა აგვიხსნა - ისრაელის სახელმწიფოს შექმნის, ე.ი. 1948 წლის შემდეგ იქნა გაყვანილი. მკვდარი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო კი იორდანიის ტერიტორიაა, და იმ მხარეს საავტომობილო სანაპირო გზა არ ყოფილა. მივდიოდით რა ამ გზით,არსად ტყე-ბუჩქნარი არ მოსჩანდა, რაც "ამ-ქვეყნიურ" შთაბეჭდილებას არ უქმნის ევროპიდან ჩასულ ტურისტს. აქა-იქ, მკვდარი ზღვის სანაპიროზე, გამოჩნდება ხოლმე პალმების ბაღნარიც, რაც ოდნავ აცოცხლებს ამ მზისსხივებისაგან ასე დამწვარ ხრიოკ ადგილებს. ასე გავიარეთ კიბუცი "მიცპე-შალემი", შემდეგ რამდენიმე სახლისაგან შემდგარი ზღვისპირა დაბა "აინ გოდი" და შემდეგ შევუხვიეთ მარჯვნივ და მივადექით მასადას გორს=მთას-"აკრო-პოლისს". მასადა მდებარეობს 441 მეტრზე მკვდარი ზღვის დონედან. მასადას პლატოს სიგრძეა,ყველაზე უფრო დაშორებული პუნქტებიდან,საახლოებით 600 მეტრი,სიგანე კი 300 მეტრი. მასადას ისტორიული მნიშვნელობა გამოიხატება არა იმაში, რომ ის,ასე ვთქვათ, ჭიშკარია პალესტინის-იერუსალიმისათვის, არამედ იმაში, რომ აქედან შესაძლებელია მთელი მკვდარი ზღვისა და ამ არეს მიმოხვლის თვალყურის დევნება, რომ დროულად საშიშროება ეცნობოს აქედან დაახლოებით 100 კილომეტრით დაშორებულ იერუსალიმს. პირველი ტაძარი მასადაზე აშენებული ყოფილა მეათე-მეშვიდე საუკუნეებში ქრისტეს დაბადების წინ.

იუდეას სამეფოს დროს კი, მასადა იყო იუდეას უდაბნოში ერთერთი ციხე-სიმაგრე, რომელიც წარმოადგენდა არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ჭიშკარს. როცა იუდეას მოსახლეობა უცხო დაპყრობლების საშიშროებას მოელოდა, თავს აფარებდენ იუდეას უდაბნოში მდებარე ციხე-სიმაგრეებს, და მათ შორის მასადას ციხესიმაგრესაც. მასადა ყველაზე უფრო ცნობილი გახდა ზელოტების დროს, ჩვენი წელთაღრიცხვის 60-იან წლებში. ჰეროდეს ხანაში აშენებულ-გამშვენიერებული მასადას ციხე-სიმაგრე, მისი სიკვდილის შემდეგ, რომაელების ხელში მოექცა, რასაც 66-ს წელს, ქრისტეს დაბა-

ლების შემდეგ, მოყვა ებრაელთა აჯანყება რომაელების წინააღმდეგ, რომლის დროს ებრაელმა აჯანყებულებმა მასადას ციხე-სიმაგრიდან დიდი ზიანი მიაყენეს რომაელ ლეგიონერებს. მაგრამ – გაუთავებელი ალყისა და ბრძოლების შემდეგ – რომაელებმა შესძლეს მასადას აღება,თუმცა სანამ ისინი მასადას დაეპატრონებოდენ მასადას დამცველმა ზელოტებმა მასადას უფსკრულში გადაიჩეხეს თავიანთი ცოლშვილითურთ.ამგვარად, ებრაელთა ხუთწლიანი აჯანყების დროს მასადა არასოდეს არ ყოფილა, ასე ვთქვათ, ფრონტის ხაზი, მაგრამ მას თავი შეაფარეს ებრაელ ექსტრემისტ-ზელოტებმა ოჯახებით. მაგრამ რომაელმა სარდალმა ტიტუსმა იერუსალიმი დაიპყრო 70 წელს, და მასადა ორი წლის შემდეგ 72 წელს, ე.ი.ებრაელთა 66-72 წლების აჯანყება მარცხით დამთავრდა, და ამ დღიდან იწყება ებრაელთა განდევნა პალესტინიდან,ე.ი."აღთქმულ მიწიდან". მასადაზე ბატონობდენ აგრეთვე ბიზანტიელები თუ ჯვაროსნები.

მასადას ისევ-"აღმოჩენა",ე.ი. მისი ადგილმდებარეობის გაწმენდა დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, მაგრამ მასადას დღევანდელი სახით გაწმენდა და ტურისტებისათვის ათვისება დაიწყო ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ,ე.ი. 1948 წლიდან, ხოლო მასადას ნაგებობათა აღრიცხვა და მეტ-ნაკლებად წესრიგში მოყვანა მოხდა 1955-1956 წლებში,რომლებშიც განსაკუთრებული ენთუზიაზმი გამოიჩინა ებრაელმა ახალგაზრდობამ. ისრაელელი პოეტის ი.ლამდანის სიტყვები – "მასადა ისევ არასოდეს არ უნდა დაეცეს", გახდა იმის საბაბი, რომ ისრაელის არმიის ახალწვეულები ფიცს დებულობენ მასადას ციხე-სიმაგრეში იმავე სიტყვებით:"მასადა ისევ არასოდეს არ უნდა დაეცეს!"

მასადაის დათვალიერებისას, მნახველზე ბუნებრივი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ყოველი მხრიდან უფსკრულით შემოვლებული კლდოვანი მთა-პლატო,არამედ მის ჩრდილოეთის-მდებარე სამი – დაბლა, შუაში და მაღლა-მდებარე სასახლე-ტერასები, ცისტერნებით-წყალ-საცავებით და შესანიშნავი ბალკონებით,რომლებიც მასადის კლდის

სორდმეშია შეშენებული, მთის თითქმის შუა-სიმაღლეზე დასული სამი ტერასის ფორმით, რომელთაგან დაბლა, კლდის ძირისკენ გადახედვა "შიშის ზარს" ჰგვრის დამთვალიერებელს. მასადაზე ასვლა-ჩამოსვლისათვის უკვე საბაგირო გზაა გაყვანილი, თუმცა მსურველს ფეხითაც შეუძლია ასვლა.

XIV.

მასადას დათვალიერების შემდეგ, ცოტა ხანს შევჩერდით მკვდარი ზღვის ნაპირთან-მდებარე "ტალახის-აბანოსთან", აინ გედის-თან ახლოს, სადაც განცვიფრებას იწვევს განსაკუთრებით მკვდარ ზღვა-ში ბანაობა, რომლის დროს "ცურვა" საერთოდ არ არის საჭირო, ვინაიდან მკვდარი ზღვის წყალი იმდენად მარილიანია, რომ ადამიანი ხელგაუნძრევლადაც წყლის ზედაპირზე რჩება. მარილიანი ზღვის წყალი კი, გასაგებია, ტანზე არ უნდა შეშრეს, არც თვალებში უნდა მოხვდეს, რის გამო ბანაობის შემდეგ შხაპით ტანის დაბანაა საჭირო.

სადილომდე, გიდის გეგმის თანახმად, უნდა ვყოფილიყავით იერიქოში, რის გამო როგორც ზსადის, ისევე მკვდარ ზღვაში ბანაობაც მართლაც "ექს-კურსით","ჩქარი ტემპით" მოხდა, და სადილობისას, ნაშუადღევის 2 საათზე, უკვე იერიქოში ვიყავით, სადაც, დღევანდელი ცხოვრებიდან, ჩემი ყურადღება მიიპყრო იერიქოს, ამ იორდანის მდინარეს შესართავთან მდებარე ქალაქის,"ოაზის"სახემ. გარშემო მთები, ველები, ყველგან ხრიოკია, ხოლო თვით იერიქო მწვანეში, განსაკუთრებით პალ-მების მწვანეშია გახვეული; პალმებისა, რომლებიც ე.წ-ლი "დატელის პალმებია".

ქალაქი იერიქო მდებარეობს 250 მეტრი ზღვის დონეს დაბლა. გათხრებმა ნათელი გახადა, რომ აქ მერვე ათასწლეულში, ქრისტეს წინ, ქალაქი არსებობდა. კანაანელთა ქალაქი იერიქო იყო ისრაელთა ტომების მთავარი დასახლების ადგილი, მდინარე იორდანზე გადასვლის შემდეგ, 1200 წელს ქრისტეს დაბადების წინ. რომაელების დროს, მარკუს ან-ტონიუსმა იერიქო აჩუქა კლეოპატრას, შემდეგ კი იჯარით გადასცა ჰეროდე დიდს. "ოაზის ქალაქ" იერიქოს ბიბლია უწოდებს "პალმების ქალაქს"; აქ მთელი წლის განმავლობაში ყველაფერი ყვავის-იფურჩქ-ნება.

"ძველ იერიქოში" კი მზის სინათლეზეა გამოტანილი 11-ი ერთიმეორეზე

დამენებულ ნაგებობათა ფენები, ქრისტეს დაბადების წინა პერიოდიდან. ქრისტიანული რელიგიის წმინდა ადგილებია აქ იესო ქრისტეს მონათვლის ადგილი მდინარე იორდანში,და აგრეთვე "ცდუნების მთა". როგორც ახალ აღთქმაშია ნათქვამი, სულმა იესო წაიყვანა უდაბნოში, რათა ეშმაკს ეცდუნებინა. ორმოც დღეს და ორმოც ღამეს იმარხულა. ამ ადგილას ახლა, მთის შუა სიმაღლეზე, აგებულია ბერძნული მართლმადიდებლური მონასტერი. ამ 1874-1902 წლებში აშენებული მონასტრიდან მოჩანს იერიქოს მთელი პანორამა. იესო ქრისტეს მარხვის ადგილად კი მიჩნეულია იქვე-მდებარე გამოქვაბული. მაგრამ ვინ ჩამოთვლის, როგორც უკვე არაერთხელ ავღნიშნე, ყველა იმ ღირშესანიშნავ ადგილს, რომლებსაც არა მარტო რელიგიური მნიშვნელობა აქვს სამი მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიის - იუდაიზმის, ქრისტიანიზმის თუ ისლამისათვის.

## XV.

სხვათა შორის, იერიქოში სადილობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ჩვენ,ე.ი.ტურისტები, რომ ისრაელში მოგზაურობა, სასმელ-საჭმელი,პოტელი თუ მომსახურებაუფრო ძვირია, ვიდრე ევროპის რომელიმე ქვეყანაში, რაც გაკვირვებას იწვევს. თუმცა განსაკვირვებელი არაფერია, ვინაიდან ისრაელის ახალგაზრდა სახელმწიფო, დაწყებული ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, სულ ომის მდგომარეობაშია და ომი, რომ"ძვირია", ეს საერთოდ ცნობილია.

ერთი ეპიზოდი კიდევ, რომელიც შემემთხვა იერუსალიმში,როცა ჯვარის მონასტრისაკენ ფეხით მივდიოდი: ჯვარის მონასტრის დასავლეთით მდებარე ქალაქის მივარდნილ ვიწრო ქუჩათა ერთ ჯვარედინზე იჯდა ტროტუარზე ერთი შავებში ჩაცმული ხნიერი ქალი და ყიდდა,ალბათ, მის ბაღში მოკრეფილ ლეღვს. ლეღვის ყიდვა მაინცდამაინც არ მინდოდა, მაგრამ,გავიფიქრე, ეს ქალი,ალბათ, აქ, ამ მივარდნილ ადაგას,ლეღვს საერთოდ ვერ გაყიდის და არაფერი არ დაშავდება თუ ერთ კილო ლეღვს ვიყიდი მისგან და ამით განსაზღვრულ სიამოვნებას მოვგვრი ამ მოხუც ქალს. და მართლაც, როგორც იქნა, გავაგებინე მას, რომ ერთი კილო ლეღვი მომყიდოს, რაც მან აწონა ხელის სასწორზე,მაგრამ,ვფიქრობ, ერთ კილოზე მეტი. მივეცი 500-ი შეკელი; ესაა,დაახლოებით, ათი

მანეთი...და ქალი ხურდას არ იძლევა!.. ამასობაში ჩამოიარა ერთმა კაცმა,რომელმაც შეატყო რა რომ ჩვენ ერთმანეთთან ლაპარაკი გვიჭირს, ჩაერია საუბარში და როგორც იქნა სამასი შეკელი დამიბრუნა,ხოლო ორასი დაიტოვა ერთი კილო ლეღვისათვის. მე,ასე ვთქვათ, "შემცხვა" ამ ქალთან ასეთი კამათი,რის შედეგად ლეღვიც მას დავუტოვე და ის ორასი შეკელიც. განვაგრძე გზა ჯვარის მონასტრისაკენ და გამახსენდა დონკიხოტი, რომელმაც ტუსაღები გაანთავისუფლა, მაგრამ   ტუსაღებმა შემდეგ ის იმიტომ ჩაქოლეს, რომ რატომ გაგვანთავისუფლე!.. როგორც ხჩანს,"კეთილი განზრახვა" ადამიანს ხშირად ხდის დონკიხოტად!..

კიდევ ერთი შემთხვევა:

მივედი რა იერუსალიმის გარეთ-მდებარე პოტელ "დიპლომატში",როგორც წესი, მისაღებში მივეცი ჩემი (დასავლეთ)გერმანიაში გამოცემული უცხოელის პასპორტი,რის გასინჯვის შემდეგ, ისევ ცნობილი შეკითხვა: "ვინ ბრძანდებით თქვენ ეროვნებით?" ჩემი პასუხი,რომ მე ქართველი ვარ და გერმანიაში ვცხოვრობ, მისთვის გაუგებარი დარჩა,ვინაიდან ვინ იცნობს უცხოეთში ქართველს?.. "მოიცადეთ!" მითხრა, და გაუსინჯა პასპორტი ჩემს გვერდზე მდგომ, ინტელიგენტის ტიპისა და ჩაცმულობის ზანგს, რომელიც კენიელი დიპლომატი გამოდგა ორი თანმხლებლით,რომლებიც შესაფერისი პატივისცემით გააცილა მიმღებმა,ალბათ, მათ ბინამდე. ცოტახნის შემდეგ მოვიდა, მოიყვანა მისი უფროსი, გასინჯეს ჩემი ოთახის შეკვეთის ქაღალდები,ნახეს, რომ ოთახის ქირა უკვე გერმანიაშია გადახდილი(სხვათა შორის, დღე-ღამე ღირდა 200 გერმანული მარკა,ე.ი.დაახლოებით 80 მანეთი,რაც მეტად ძვირია, და ასეთი რამ, როგორც,"პლებეის" სრულიადაც არ მომწონს)და,მიუხედავათ იმისა, რომ მათ ჩემი ვინაობა საკმარისად ვერ გაიგეს,"ჩამთვალეს" გერმანელად და - გაცილების გარეშე - გამიშვეს ჩემი ოთახისაკენ. რას იზამს კაცი?!..სახელმწიფო,რომელიც საერთაშორისო არენაზე გამოსული არ არის, და ასეთია საქართველო, ვინ სცემს მას პატივს?.. არავინ. ამის შედეგი რომ უცხოეთში ხან "რუსად" მასაღებენ და ხან"გერმანელად"!..ესაა სამართალი?..

კარლო ინასარიძე

# იმერიონი

## 1983

„ადამიანმა უნდა იცოცხლოს სულ ცოტა
ხუთასი წელიწადი, რომ შეიცნოს სი-
ცოცხლის ხანმოკლეობა".

რადიოდოკუმენტაცია
მიუნხენი 1984 წელი

XVI.

## "ჯვარის"მონასტრიდან"ივერიონის"მონასტრამდე:

შაბათს, 1983 წლის 1-ლ ოქტომბერს, დიდი დავიდარაბით, დავტოვე იერუსალიმი; "დიდი დავიდარაბითი", ვამბობ იმიტომ, რომ შაბათი ისრაელის სახელმწიფოში დასვენების დღეა,ე.ი."კვირაა",მაგრამ უფრო ღრმა რელიგიური შთაგონებით, ვიდრე ეს ხდება ქრისტიანულ ქვეყნებში. შაბათი მართლაც "ღვთის დღეა" ისრაელში, რის შედეგად, ჩემ სასტუმრო "დიპლომატიდან", ე.ი.იერუსალიმის გარეუბნიდან ტელ-ავივის აეროდრომზე წასვლა, პრობლემა გახდა ტრანსპორტის დასვენების გამო. არც ტაქსი, არც ავტობუსი ტელ-ავისისაკენ არ მიდიოდა ამ დღეს, რის შედეგად ერთი უშველებელი - რვაკიციანი - ტაქსის დაქირავება დამჭირდა, რომ ტელ-ავივის აეროდრომზე მივსულიყავი,რაც შესაბამისად ძვირი დამიჯდა. მაგრამ რა უნდა მექმნა? - ამ დღეს გავიგე,რომ თუ ვინმეს სურს ისრაელში მოგზაურობა, შაბათს სახლში დარჩეს, ე.ი.ყოველგვარ მოგზაურობაზე ხელი აიღოს, რაც დამსვენებლისათვის მართლაც დასვენება იქნება,ვინაიდან თითქმის მთელი ქვეყანა ამ დღეს ისვენებს.

ტელ-ავივის საერთაშორისო აეროდრომზე კი ისევ იგივე პროცედურა პასპორტების თუ ბარგის გაჩხრეკისა, რომ ტერორიზმი თავიდან იქნას აცილებული. მართალია, ამდენი გაჩხრეკა-გასინჯვა მომაბეზრებელია, მაგრამ ყოველი მგზავრი ამგვარ კონტროლს ადვილად იტანს, ვინაიდან ვის სურს ტერორიზმის მსხვერპლი გახდეს თვითმფრინავში თუ აეროდრომზე?..

დილის ხუთ საათზე გამოვედი იერუსალიმიდან, შვიდ საათზე ვიყავი ტელ-ავივის აეროდრომზე და 8 საათსა და 50 წუთზე გავფრინდი ათენისაკენ. "ოლიმპიური საჰაერო ხაზის"="ოლიმპიკ ერვეი-ს", ე.ი.საბერძნეთის ავიაკავშანიის თვითმფრინავით, და 10 საათსა და 45 წუთზე დავეშვით ათენის აეროდრომზე, სადაც - პასპორტის ჩვეულებრივი კონტროლის დროს - აღმოჩნდა, რომ მე ვიზა არ მქონდა,თუმცა დარწმუნებული ვიყავით, რომ "საერთო ბაზრის" ქვეყნებში ჩემთვის

ვიზა საჭირო არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ საკონტროლო ცენტრში ამიხსნეს, რომ საბერძნეთი"საერთო ბაზრის" ორგანიზაციის ახალი წევრია და ვიზა საჭიროა, რაც იქვე მომცეს და, ვინაიდან მე კიდევ ბერძნული ფული არ მქონდა, - ვიზის გადასახადი 10-ი დრახმა, დაახლოებით 10 კაპიკი, თვით კონტროლიორმა გადაიხადა ჩემთვის, რის უკან დაბრუნებაზე შემდეგ ღიმილით უარი მითხრა. და ამ ფაქტს ავღნიშნავ იმიტომ, რომ მიმოსვლა ევროპაში და,ვიტყოდი, მთელს არაკომუნისტურ ქვეყნებში ყოველგვარი ჯებირების გარეშე ხდება, რა თქმა უნდა, ტერორისტების თუ სხვა ბოროტმოქმედთა გამოკლებით, რომელთა კონტროლი, დემოკრატიული თავისუფლების პირობებში, არც ისე ადვილი საქმეა.

ათენიდან კი 14 საათსა და 30 წუთზე გავფრინდი თე-სალონიკისაკენ და უკვე 15 საათსა და 20 წუთზე დავეშვით თესალონიკის აეროდრომზე. აეროდრომიდან ავტობუსმა მიგვიყვანა ქალაქში,სადაც, უკვე ჩვეულებისამებრ, დავბინავდი ჰოტელ "კონტინენტალში", ქალაქის ცენტრში. სამწუხაროთ, მთელი ერთი დღე, 1983 წლის 2 ოქტომბერი, კვირა, "დაკარგული"დღე გამოდგა,ვინაიდან მთელი ქალაქი,თითქოს,დაცარიელებული იყო ხალხისაგან,როგორც ყოველ კვირადღეს. მაგრამ, რა უნდა მექმნა?.. ათონის მთაზე წასვლის ნებართვას სწორედ თესალონიკში იძლევიან და კვირას ყველაფერი დაკეტილია. ასე იყო თუ ისე, ორშაბათს დილით, 9 საათზე, მივადექი "ჩრდილოეთი საბერძნეთის სამინისტროს" თესალონიკში, მაგრამ მუშაობას თურმე მხოლოდ 10 საათიდან იწყებენ. ეს ერთი საათიც ვიცადე, და ათ საათზე უკვე ვიყავი ათონის მთის ვიზის განყოფილებაში, სადაც, სრულიად მოულოდნელად, გერმანიის საკონსულოს ნებართვა მომთხოვეს, რომ,საერთოდ, ვიზა მომცენ. საჩქაროთ,ტაქსით,გავეშურე გერმანიის საკონსულოსაკენ თესალონიკში, მომცეს სათანადო მოწმობა ყოველგვარი სიძნელეების გარეშე,ისევ ტაქსით მივადექი "ჩრდილოეთი საბერძნეთის სამინისტროს" შენობას და - გერმანიის საკონსულოს მოწმობის საფუძველზე - მომცეს ათონის მთაზე წასვლის ვიზა, რომლის დასადასტურებლად საჭირო გახდა თესალონიკის პოლიციაში წასვლა. იქაც,ყო-

ველგვარი სიძნელეების გარეშე, მომცეს ორი კონვერტი,რომელთაგან ერთი იყო მიმართული ათონის მთის პოლიციის, ხოლო მეორე ათონის მთის,ასე ვთქვათ,"მთავრობისადმი".

ამ ორი კონვერტით, ე.ი. ათონის მთაზე წასვლის ნებართვით აღჭურვილი, დაუყონებლივ წავედი სასტუმროში, ავიღე ბარგი და გავე-შურე ავტობუსის სადგურზე,საიდანაც შეიძლება ურანოპოლისში,ე.ი. ათონის მთის სასაზღვრო ქალაქ-დაბაში წასვლა. 13 საათსა და 30 წუთზე უკვე ვიჯექი ავტობუსში და მივეშურებოდი ურანოპოლისისაკენ,ე.ი. ათონის მთისაკენ. შევნიშნავ აგრეთვე, რომ "თესალონიკის ვიზის" განყოფილება დღიურადაძლევს მხოლოდ ათ კაცს ათონის მთაზე წასვლის ნებართვას. ეს არის საერთო წესი, ვინაიდან ათონის მთის თეოკრატიულ რესპუბლიკას სურს თავიდან აიცილოს ის, რომ ათონი გახდეს მასობრივი ტურიზმის ადგილი. ისიც მსურს ავღნიშნო, რომ თესალონი-კიდან ურანოპოლისამდე მოგზაურობისას, ზოგჯერ, თავი საქართველოში მეგონა, ვინაიდან აქაური ბუნებრივი პირობები, სოფლის მეურნეობა, ადამიანები მეტად წააგავს საქართველოს, რის შედეგია ის, რომ როგორც საბერძნეთში, ისევე იტალიაში და თვით ესპანეთშიც კი თითქმის ყველა მელაპარაკებოდა მშობლიურ ენაზე და უკვირდათ, რომ მე მათი ენა არ ვიცოდი. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ქვეყნებში კიდევ უფრო მეტმა ადამიანებმა იციან თუ რა არის საქარ-თველო,ქართველი ერი, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში, რაც,ალბათ, ქართველი ერის ამ ქვეყნებთან ძველი კავშირებით აიხსნება.

გზაში, თესალონიკიდან ურანოპოლისამდე, თვალში მომხვდა აგრეთვე გაუთავებელი კომერციული რეკლამები შარაგზების გასწვრივ, რაც გავრცელებულია აგრეთვე იტალია-ესპანეთშიც, და ამ ქვეყნე-ბის ბუნებრივ სილამაზეს უკარგავს იერს. მაგრამ,ალბათ, ძნელია ევროპის "ლათინურ" ქვეყნებში ისეთივე წესრიგის დამყარება,როგო-რიც არსებობს ევროპის "გერმანიკულ" ქვეყნებში,სადაც რეკლამები შარაგზების თუ ავტოსტრადების გასწვრივ აკრძალულია, და ამით ბუნების სილამაზე "დანაგვიანებული" არ არის. მაგრამ ეს,სხვათა-შორის.

## XVII.

1983 წლის 3 ოქტომბერს, ორშაბათს, 16 საათზე უკვე მივედით ავტობუსით ათონის მთის სასაზღვრო ქალაქ-დაბა ურანოპოლისში, და რაც უცბათ თვაში მეცა იყო ის, რომ უკვე ტურისტული სეზონი თითქმის დამთავრებული იყო და მთელი ქალაქი თითქმის ცარიელი. დავბინავდი ჰოტელში, და იმავე წუთში წავედი იქითკენ, სადაც - როცა აქ ვიყავი ორი წლის წინათ,ე.ი.1981 წლის აგვისტოში - მეგულვებოდა ლეღვის "ბაღნარი". მაშინ, მახსოვს, ხილის მაღაზიაში ვიკითხე თუ მას ლეღვი აქვს და მითხრეს ღიმილით, ლეღვი თუ გსურთ მაღაზიაში რას კითხულობთ, წადით ასი მეტრით აქედან და ყოველ გორაკზეა სავსე ლეღვის ხეებიო. მართლაც, მაშინაც წავედი ამ მაღაზიიდან დაახლოებით ასი მეტრით, ავედი მაღლობზე და ხუთი ძირი ლეღვი იყო დაყურსული მწიფე ლეღვით, რომელთაგან ნახევარი თითქმის დამპალი იყო. რა თქმა უნდა, იგივეს გამეორება მსურდა ორი წლის შემდეგ, 1983 წლის 3 ოქტომბერსაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ლეღვის სეზონი დამთავრებული აღმოჩნდა და ერთი ცალი ლეღვიც კი ვერ ვიშოვე ვერსად, რაც მეტად მეწყინა,ვინაიდან ლეღვი ჩემი საყვარელი ხილია. ესეც სხვათა შორის.

დავბრუნდი ჰოტელში; შემდეგ ვივახშმე სასადილოში,ზღვის პირას, რომლის დროს მეტად მომეწონა შავი ღვინო "ახაია კლაუს-ი". გავეცნო ერთი კანადიელი ახალგაზრდა კაცი,რომელიც ათონის მთაზე მიდიოდა, მაგრამ ბევრი არაფერი იცოდა თვით ათონის მთის შესახებ. შემდეგ მაღაზიებში ვიყიდე დამატებით წიგნები და ღია ბარათები ათონის მთისა და განსაკუთრებით ივერიონის მონასტრის შესახებ; და ასე ვემზადებოდით ათონის მთაზე ასასვლელად.

## XVIII.

4 ოქტომბერს, სამშაბათს, 1983 წელს, ცოტა მოგვიანებით ავდექი,ვინაიდან, თესალონიკში მიღებული ვიზის თანახმად, მე ათონის მთაზე წასვლა შემეძლო მხოლოდ 5-თ ოქტომბერს, ოთხშაბათს. მაგრამ, საუზმის შემდეგ, როცა ათონის მთისაკენ მიმავალი ნავი ჩამოდგა, რომელთან მისვლა და მასში ჩაჯდომა მხოლოდ ვიზის მქონე ადამიანებს შეუძლიათ,მეც მივედი იქ და,სხვათა შორის, ვკითხე თუ შემიძლია მეც წამოვიდე დღეს ამ ნავით მეთქი. პოლიციელმა შეხედა ჩემს ვიზას,

და მითხრა რატომ არაო!.. მე,რა თქმა უნდა, არ მივუთითე აღნიშნულ
თარიღზე და პოლიციელის ხელმოწერით თანხმობის შემდეგ, გავიქეცი ჰოტელში
ავიღე ჩემი ბარგის მხოლოდ ნაწილი,რომელიც ცალკე მქონდა შეკრული
"ხურჯინში", ჩამოდანი დავტოვე ჰოტელში და სირბილით,როგორც იქნა,
მივუსწარი ურანოპოლისიდან დაფნისში,ათონის მთის ნავსადგურისაკენ,
მიმავალ ნავს, და - ორიოდე ნამცხვარის ყიდვის შემდეგ,რომელსაც
იქვე ყიდდენ, - ავედი ნავზე,რომელსაც ზეიძლება "პატარა გემი" ეწოდოს,
ვინაიდან,ვფიქრობ, ას მგზავრამდე იტევს ეს ხავი.
ამგვარად, დილის 9 საათსა და 55 წუთზე გავედი ურანოპოლისიდან
და გავემგზავრე დაფნისაკენ. ეს მგზავრობაც ისეთივე შთამბეჭდავი
იყო, როგორც ყოველი მგზავრობა ათონის მთისაკენ: გზაში, ყოველთვის
ნავს თითქოს "აცილებენ" დელფინები, რომლებიც ათასგვარ "ცირკულ"
ხტომებს აკეთებენ ნავის გვერდზე თუ უკან, რომლის დროს,თითქოს,
თვით დელფინებსაც უხარიათ, რომ ადამიანები მათ ასეთ ყურადღებას
აქცევენ,რის შედეგად მათ "თამაშს" საზღვარი არა აქვს. თვით ათონის
მთის დასავლეთი ნაწილი,სანაპირო, სადაც მდებარეობს ნავსადგური,ან,
უფრო სწორად, ნავის მისადგომი დაფნი, თვალწარმტაცია. ნავი, ათონის
მთის დასავლეთი სანაპიროს გასწვრივ,დაახლოებით, ასი მეტრის დაშო-
რებით, მიდის დაფნისაკენ,რაც მეტად სასიამოვნოა. აქ თით-
ქმის ყოველთვის მზიანი ამინდია, - ათონის მთლის აღმოსავლეთ სა-
ნაპიროდან განსხვავებით, სადაც ივერიონის მონასტერიც მდებარეობს, -
ზღვის
დასავლეთის სანაპირო ყოველთვის "წყნარია", ღელვა იშვიათი მოვლე-
ნაა, და ყველაფერი ეს მართლაც "დამშვიდებულ" შთაბეჭდილებას ნერ-
გავს მლოცველში.

ურანოპოლისიდან დაფნამდე, ათონის მთის დასავლეთ სანაპიროზე,
სულ რამდენიმე დიდი მონასტერი მოსჩანს, რომელთაგან თვით ზღვის
პირასაა მონასტერი დოხიარიუ, მონასტერი ქსენოფონტოს, მონასტერი
პანტელეიმონოს(ეს რუსული მონასტერია), მონასტერი ქსიროპოტამუს,
რომელიც უფრო ზეგანზეა აგებული;და შემდეგ მოდის აღნიშნული ნავ-
სადგური დაფნი.

ახე მიველით დაფნიში, სადაც ნაპირზე გადასვლისას არავითარი კონცროლი არ არსებობს, ვინაიდან კონცროლი მგზავრებისა, როგორც აღვნიშნე, მოხდა ურანოპოლისში, სადაც პოლიციელმა ყველა მგზავრს პასპორცები ჩამოგვართვა და თვითონ შეინახა, რომელთა მიღება მხოლოდ ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიესში შეიძლება, იქაურ პოლიციაში გამოცხადების დროს.

დაფნიში იგივე პროცედურა: უკვე ავცობუსი უცდის მგზავრებს, ავცობუსი, რომელიც ამჯერად, უფრო "მოდერნული", ე.ი. ისე "დამცვრეული" არ მომეჩვენა, როგორც ეს იყო ამ ორი წლის წინათ, 1981 წელს. ჩავჯექით ავცობუსში, რომელიც გაცენილი იყო არა მარცო მლოცველებით, არამედ ათონის მთაზე მცხოვრები ბერებით; და გავუდექით მიხვეულ-მოხვეული, არა-ასფალცირებული გზით კარიესაკენ, რომლის დროს საკმარისად მაღალი, ასე ვთქვათ, უღელცეხილი უნდა იქნას გარდალახული. გზაში თვალში მეცა გაუთავებელი წაბლარის ცყეები, რომელთაგან ჩამოცვენილი წაბლით გზები იყო სავსე, რასაც ისიც მოყვა, რომ როცა ავცობუსი ზეგანზე აგებულ მონასცერ ქსიროპოცამუს მისასვლელ გზასთან შეჩერდა, მგზავრთა ერთი ჯგუფი გამოვიდა ავცობუსიდან და დაიწყეს მწიფე წაბლის აკრეფა და, რა თქმა უნდა, ჭამა. "უღელცეხილის" გარდალახვის შემდეგ, დაბლა გამოჩნდა ათონის მთის მთავარი ქალაქი კარიეს, რომელიც მართლაც შესანიშნავ ადგილას, შუა-ადგილასაა განლაგებული და დაბის მთაბეჭდილებას ქმნის მნახველში. შევედით თუ არა კარიესში, მაშინვე გავუდექით გზას კარიეს პოლიციისაკენ, სადაც გადმოგვცეს ჩვენი პასცორცები და მოწმობა, რომელიც უნდა წარუდგინოთ კარიეს თეოკრაციული რესპუბლიკის მმართველობას, რომელიც საბოლოოდ იძლევა ათონის მთაზე მიმოსვლის და მონასცრებში ღამის გათევის უფლებას. პოლიციაში მომცეს ჩემი პასპორცი და წერილი, რომლითაც წაველი იქვე, ახლოსმდებარე ათონის მთის "მთავრობის" შენობაში, სადაც ბიუროში მომცეს ნებართვა იმისა, რომ ოთხი დღე შემიძლია ათონის წმინდა მთაზე დარჩენა და ყოველ მონასცერში შესვლა, სასმელ-საჭმელის და ღამის გათევის მიღების უფლება, და ყველაფერი ეს უფასოდ. ამ ნებართვის შინაარსი კი ასეთია:

ათონის წმინდა მთის
მონასტერთა კრება

21 სექტემბერი, 1983 წელი

## ს ტ უ მ რ ო ბ ი ს   ნ ე ბ ა რ თ ვ ა

ოცი წმინდა და დალოცვილი მონასტრისა ათონის წმინდა მთაზე

---

მქონებელი ამ წერილისა, რომელიც ბეჭედდარტყმულია წმინდა ლერბით, და ხელმოწერილია ჩვენდამი

დოქტორ კარლო ინამასრიძეს
გერმანიიდან

ამლევს უფლებას დარჰყოს ათონის მთაზე (4) ოთხი დღე, რომ ესტუმროს წმინდა მონასტრებსა და თაყვანი სცეს წმინდანებსა და წამებულებს რწმენისათვის.

გთხოვთ ამ ნებართვის მქონე მიიღოთ მეგობრულად და გამოიჩინოთ მისდამი ყოველგვარი შესაძლებელი სტუმართმოყვარეობა და მზრუნველობა, რომ განახორციელოს მისი ეს სურვილი.

ჩვენ ამას გთხოვთ ძმურად, ძმებო ქრისტეში.

წმინდა მთა ათონის წმინდა ერთობის
მმართველები:

იერომონახ ქრისოსტომ
იერონ ევლოიოს
იერომონახ სოფრონიუს
იერონ ანტონიოს

ΚΑΡΥΑΙ. ΤΗ 21.9 198 3

ΙΕΡΑ ΕΠΙΣΤΑΣΙΑ
ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ
ΑΘΩ

Α/Α 95[illegible]

ΙΕΡΑΣ ΚΟΙΝΟΤΗΤΟΣ ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ

# ΔΙΑΜΟΝΗΤΗΡΙΟΝ

ΠΡΟΣ
ΤΑΣ ΕΙΚΟΣΙΝ ΙΕΡΑΣ ΚΑΙ ΣΕΒΑΣΜΙΑΣ ΜΟΝΑΣ
ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ
ΑΘΩ

Ὁ κομιστὴς τοῦ παρόντος Ἱεροκοινοσφραγίστου καὶ ἐνυπογράφου γράμματος ἡμῶν Dr. Imasaridze Karlo

Γερμανίας

συνιστώμενος ἡμῖν ὑπὸ τοῦ ..........

.......... μὲ ἄδειαν παραμονῆς ἡμερῶν (4) τεσσάρων

ἀφίκετο πρὸς ἐπίσκεψιν τῶν Ἱερῶν σκηνωμάτων καὶ προσκύνησιν τῶν ἐν Αὐτοῖς ἀποκειμένων Ἱερῶν καὶ Ὁσίων τῆς Πίστεως ἡμῶν.

Παρακαλεῖσθε ὅθεν, ὅπως παράσχητε αὐτῷ, πρὸς τῇ φιλόφρονι ὑποδοχῇ καὶ πᾶσαν ἅμα δυνατὴν φιλοξενίαν καὶ περιποίησιν πρὸς ἐκπλήρωσιν τοῦ δι' ὃν ἔρχεται αὐτόσε σκοποῦ.

Ἐφ' ᾧ διατελοῦμεν λίαν φιλαδέλφως ἐν Χριστῷ ἀδελφοί

ΟΙ ΕΠΙΣΤΑΤΑΙ ΤΗΣ ΙΕΡΑΣ ΚΟΙΝΟΤΗΤΟΣ ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ ΑΘΩ

Ο ΧΙΛΙΑΝΔΑΡΙΟΥ ΠΡΩΤΕΠΙΣΤΑΤΗΣ Ἱερομ. Χρυσόστομος

Ο ΞΗΡΟΠΟΤΑΜΟΥ ΕΠΙΣΤΑΤΗΣ Γέρων Εὐλόγιος

Ο ΑΓΙΟΥ ΠΑΥΛΟΥ Ἱερομ. Σωφρόνιος

Ο ΟΣΙΟΥ ΓΡΗΓΟΡΙΟΥ Γέρων Ἀντώνιος

21/9/1983

The Monastic Parliament
Of the Holy Mountain
Of Athos

Residence Permit
for
The twenty Holy and Blessed Monasteries
of the Holy Mountain
of Athos

---

The bearer of this letter, sealed with the Holy Seal, and signed by us

Dr. Karlo Inasaridse
from Germany

is granted permission to stay on Athos for four (4) days to visit the Holy Monasteries and venerate the Saints and Martyrs of our Faith.
You are requested to grant the bearer a friendly reception and every possible hospitality and care to enable him to fulfill this purpose.
This we command fraternally, brothers in Christ

The Governors of the Holy Community of the Holy Mountain Athos

Signatures follow

## XX.

და აქვე მსურს,პატივცემულო მსმენელებო, ორიოდე ამონაჭერი გაგაცნოთ ბერი ანდრია აგიორიტის დასურათებულ წიგნიდან, რომლის სათაურია "წმინდა მთა ათონის სახელმძღვანელო",რომელიც ვიყიდე კარიესში, გერმანულ ენაზე. ამ წიგნში,სხვათა შორის, ვკითხულობთ:

"ჩვენი წინაპრები ამბობდნენ:"დაზოგეთ დრო". დრო მართლაც არის მეტად ძვირფასი რამ, და სახელდობრ ჩვენი ცხოვრების ხანგრძლივობა, როგორც მდინარე შეუწყვეტლივ მიედინება, შემოუბრუნებლად. ყველა,რომლებსაც სურთ დროს შეჩერება, ჰგვანან ადამიანებს, რომლებსაც სურთ ქარის დაჭერა. დრო,რომელიც გაუგებარი სიჩქარით მიჰქრის, მიალეკავს ყველაფერს და აქრობს, რაც ადამიანურმა მედიდურობამ თავმომწონე და ფუყე შეხედულებათა საფუძველზე ააგო. დანგრეულია ქალაქები, რომლებიც ერთ დროს ცნობილი იყვნენ, მარმარილოს სასახლეები , მტკიცე კარიპჭეები და შეუპოვარი ციხესიმაგრეები , ქმნილებანი , რომლებიც დიადი და ცნობილნი იყვნენ. ყველაფერი ქრება დროის დინებაში, მიწისაგან პირისა, ან დგანან დღეს ჩვენს წინაშე, როგორც უშნო ჩონჩხი, რომელიც წარსულ დიდებასა და გამქრალ სიამ: ყუს მოგვაგონებს. ამიტომ თქვა ბრძენმა სოლომონმა:"თავმომწონეობათა თავმოწონება, და ყველა თავმომწონეა, რაც სიკვდილის შემდეგ არ არსებობს".(ეკკლ.ა,2).

"ერთერთი პირველი ადგილი,სადაც ღვთის სიყვარული წმინდა გახდა და დროს ყოველგვარი გავლენისაგან უვნებელი დარჩა, არის ზეციური ათონი, წმინდა სახელის დალოცვილი მთა, უმშვენიერესი და სასიამოვნო სურნელების "ღვთისმშობლის ბაღი".

"ამ წმინდა ადგილას დრო გარდაასხულ იქნა; წარსული, აწმყო და მომავალი ხვდებიან ერთმანეთს ცხოვრების ზეციურ ჰარმონიაში..."

"ამგვარად, კურთხეული ქრისტიანებო და ძმებო, ღვთის ნამდვილო შვილებო, რომლებსაც გსურთ ღვთის უზენაესობა დედამიწაზე დაინახოთ და განიცადოთ - მოდით. მაგრამ ვინაიდან ჩვენი ცხოვრების ხანგრძლივობა მეტად ხანმოკლეა, ერთმა ბრძენმა ადამიანმა თქვა:

"ადამიანმა,მისი ცხოვრების ხანმოკლეობა რომ შეიგრძნოს,უნდა იცხოვროს, სულ ცოტა,ხუთასი(500) წელი". ამიტომ მობრაძანდით ღვთის მთაზე, რომ ჩვენთან ერთად წმინდა მთის ღვთაებათა ტაძრები ნახოთ".

"დაე, ვნახოთ მართლმადიდებლობის აკროპოლისი, როგორც საუკუნეების განმავლობაში ზღვის მუქურები..."

"ჩვენ გვსურს ვნახოთ ცენტრი ზერთა უნიკალური ერთოგისა მთელს მართ-მადიდებლურ მსოფლიოში , რომელიც ქრისტიანული რწმენის შეურყეველ ქვაზე დგას, რომელზედაც მატერიალიზმის, კომუნიზმის, ათეიზმის, ულმერთოების და ყველა სხვა სიზოროტისა და სატანის ტალღები იმსხვრევა."

"ეს წიგნი მე დავწერე 1971 წელს, იანვარში, წმინდა მთის კარიესში(ესე-იგი,"შუა-ადგილას"). ანდრეას ბერი თეოფილოპულოსი, მღივანი წმინდა ერთობისა და მასწავლებელი ბიზანტიური მუსიკისა."

ამონაწერები ბერი ანდრიას დასურათებულ წიგნიდან "წმინდა მთა ათონის სახელმძღვანელო".

## XXI.

ახლა,პატივცემულო მსმენელებო, გავეცნოთ ლევან მენაბდეს საგულისხმიერო ნარკვევს "ივერიონის" ქართული მონასტრის შესახებ,რომელიც ავტორმა გამოსცა თბილისში. ლევან მენაბდე წერს:

# ქართული კულტურის კერა ათონზე

ქართული კულტურა ინტენსიურად ვითარდებოდა როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ქართველმა მოღვაწეებმა ნაყოფიერი კულტურულ-აღმშენებლობითი და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გაშალეს სამშობლოში, სირია-პალესტინაში, ბიზანტიაში, რუსეთში. ქართველთა სამოღვაწეო პუნქტებში — ჩვენში თუ უცხოეთში — იქმნებოდა ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის ღირსეული ნიმუშები, ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნული კულტურის საგანძური.

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების მნიშვნელობა საკმაოდ ცნობილი და აღიარებულია. „ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებული არა ერთი და ორი [სავანე] დღესაც პალადებს ათონის მთაზედ, სინაზედ, სირიაში, იერუსალიმის ახლომახლო, რომ ქართველთა თავგამომეტებით და დიდის მხნეობით უღვაწნიათ თავისი ქვეყნის გარეთაც" (ი. ჭავჭავაძე).

ი. ჯავახიშვილი წერდა: „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო. ამ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განძეულობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი რაც კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა: საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე".

ამ სიტყვებში ისე ამომწურავადაა დახასიათებული და წარმოჩენილი ქართული საზღვარგარეთული კერების მნიშვნელობა და როლი ეროვნული კულტურის განვითარებაში, რომ ძნელია რამე დაუმატოთ, მართლაც, ამ კერების მეშვეობით ქართველობა თვალს ადევნებდა განათლებული წრეების საქმიანობას, ეცნობოდა მათ წარმატებას, ითვისებდა და თარგმნიდა ყოველივე კარგსა და საყურადღებოს, ქმნიდა წანამძღვრებს ეროვნული ლიტერატურის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

ქართველებს ადრეული ხანიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან. ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფრად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა უკვე IV—V საუკუნეებში მიაშურეს ამ ქვეყნების სავანეებს.

ეგვიპტეში უკვე IV საუკუნეში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტოელი, ხოლო V საუკუნეში იქაურ უდაბნოში ქართული ბაზილიკაც აშენდა.

კიდევ უფრო მრავლად ჩანან ქართველები პალესტინაში (იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებში), სინის მთაზე, შავ მთაზე (სირიაში).

საუკუნეთა მანძილზე ახლო აღმოსავლეთი ქრისტიანული მწერლობის მძლავრი ცენტრი და გამოჩენილ მწიგნობართა სამოღვაწეო ასპარეზი იყო. იერუსალიმი, საბაწმიდა, პალავრა, სინა, ანტიოქია, შავი მთა — ამ მწერლობის სახელგანთქმული ცენტრებია. ქართველი მოღვაწეები, იჩენდნენ რა დიდ ინტერესს ქრისტიანული მწერლობისადმი, განსაკუთრებით ეტანებოდნენ ამ მწერლობის ცენტრებს; მათ ჯერ სხვათა სადგომებს მიაშურეს, ხოლო შემდეგ ქართული კოლონიები დააარსეს, საკუთარი სავანეები შექმნეს და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაც გაშალეს.

თუ ადრე ქართველები ახლო აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქაურ ასკეტურსა და სამწერლო ასპარეზზე, IX საუკუნიდან მათ დასავლეთისაკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გაძლიერებისა. დროთა განმავლობაში ქართველ მოღვაწეთა დასახლებამ ბიზანტიაში ფართო ხასიათი მიიღო და ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაცხოველების შედეგად სულ უფრო შესამჩნევი ხდება.

ქართველთა სამეფოს სამხრეთ-დასავლეთით საუკუნეთა მანძილზე ესაზღვრებოდა მძლავრი ფეოდალური სახელმწიფო — ბიზანტიის იმპერია, რომელთანაც ჩვენს წინაპრებს მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ — სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, საეკლესიო-სარწმუნოებრივი, კულტურულ-ლიტერატურული.

ბიზანტია, — ვითარცა ძლიერი სახელმწიფო, — ხშირად ცდილობდა ჩვენი მიწების მიტაცებასა და მითვისებას, ქართველთა ძლევასა და დამორჩილებას. ისე რომ, არცთუ იშვიათად იგი გამოდიოდა ჩვენი უშუალო მტრისა და მოწინააღმდეგის როლში; ერთმორწმუნეობაც მას სრულიადაც არ უშლიდა ხელს ჩვენი ქვეყნის მიმართ მტაცებლური ზრახვების განხორციელების ცდაში. ასეთ დროს ქართველები ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ მოძალებულ ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და თავგამოდებით იცავდნენ სამშობლოს ეროვნულ-პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ზოგჯერ ისეთი პოლიტიკური სიტუაცია იქმნებოდა, რომ ბიზანტია არა მარტო ანგარიშს გვიწევდა, არამედ ჩვენთან კავშირის დამყარება-განმტკიცებას ცდილობდა, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოგვიწოდებდა, მისი ინტერესების დაცვას გვთხოვდა. საგულისხმოა, რომ ბევრი ქართველი აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სამხედრო ოპერაციებში.

ბიზანტიასთან ურთიერთობა ქართველთათვის ერთობ რთულ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან ამ ურთიერთობის ისტორია დრამატიზმით იყო დამძიმებული. მაგრამ, — მიუხედავად ამისა, — ერთმორწმუნე ქვეყანასთან დაახლოებას მაჰმადიანთაგან შევიწროებული საქართველოსათვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე, ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კავშირის განმტკიცებას შესაბამისად სდევდა ურთიერთობის გაშლა კულტურულ-ლიტერატურულ სფეროში.

ბევრი რამ გვაკავშირებდა ბიზანტიასთან საეკლესიო-სარწმუნოებრივ სფეროშიც. ამ ერთმორწმუნე ქვეყანასთან ერთად გვიხდებოდა ბრძოლა ქრისტიანობის მოწინააღმდეგე რელიგიებთან, აგრეთვე, საკუთრივ ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებულ სხვადასხვა მიმდინარეობასთან. მართლმადიდებლური ეკლესიის პრინციპების დაცვა-განმტკიცება ქართულ-ბიზანტიური ეკლესიების ერთობლივ საზრუნავს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც მაჰმადიანურ გარემოცვაში მომწყვდეულმა იერუსალიმმა დაკარგა ძველი მნიშვნელობა და კონსტანტინოპოლის ეკლესიამ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, ქართული ეკლესიის სწრაფვა დასავლეთისაკენ საყოველთაოდ შესამჩნევი გახდა.

IX—X საუკუნეებში აღმავლობის გზას ადგა ბიზანტიური კულტურა. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ბიზანტიურმა ლიტერატურამ. შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდნენ გამოჩენილი მწერლები, რომელთაც ეპოქა შექმნეს არა მარტო ბიზანტიური, არამედ საერთოდ ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაში. მათი მრავალმხრივი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობის შედეგად ბიზანტიურმა ლიტერატურამ მსოფლიო სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა, ბიზანტია ქრისტიანული მწერლობის ცენტრად იქცა. მალე ბიზანტიაში შესამჩნევად ამაღლდა განათლების დონეც, განვითარდა ფილოსოფიური აზროვნება, აყვავდა ფილოლოგიური სკოლა, თანდათანობით მომზადდა ის ნიადაგი, რომელიც ერთ-ერთი საფუძვლად იქცა ევროპული რენესანსისა.

ყოველივე ამას ხედავდნენ, ამჩნევდნენ და აფასებდნენ ქართველები. ბიზანტია, — ვითარცა ქრისტიანობის ბურჯი და მწიგნობრობის ცენტრი, — ანდამატურად იზიდავდა ქართველ მოღვაწეებს, რომლებმაც აუცილებლად მიიჩნიეს ბიზანტიური კულტურის საფუძვლიანი გაცნობა, გულდასმით შესწავლა, შემოქმედებით ათვისება, ქართულ სინამდვილეში გადმონერგვაც. მათ საჭიროდ მიიჩნიეს ბიზანტიის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში (თუ მათ ახლოს) დასახლება, რათა იქიდან კარგად ედევნებინათ თვალი ბიზანტიელთა შემოქმედებითი მუშაობისათვის და ნიადაგ ყოფილიყვნენ საქმის კურსში, რათა შეძლებოდათ ყოველგვარი სიახლის დროულად გაცნობა-ათვისება. ამიტომაც IX—XI საუკუნეებში ბიზანტიის სხვადასხვა პუნქტში (ოლიმპზე, ათონზე, პეტრიწონში და სხვ.) საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის ცენტრებს, ზოგან ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურული სკოლები, რომლებიც თავისებურად მიუდგნენ ბიზანტიური კულტურის ათვისების საკითხს.

თავისებური მიდგომა კი აუცილებელი იყო, რადგან ბიზანტიელებს პირველობის პრეტენზია ჰქონდათ, მათი ქედმაღლობა ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. ქართველებს ესმოდათ, რომ საჭირო იყო ბიზანტიური კულტურის ათვისება, მაგრამ არა მონური ქედმოხრა და ბრმა მიბაძვა, არამედ შემოქმედებითი მიდგომა — თავის შე-

კავშა წამლეკავი გავლენისაგან, მექანიკური გამეორებისაგან და თავისთავადი სახის შენარჩუნება. ქართველებმა გააჩაღეს მრავალმხრივი მუშაობა ბიზანტიური კულტურის შემოქმედებითი ათვისებისათვის, ყოველივე კარგის გადმონერგვისათვის, ეროვნული ლიტერატურის გამდიდრებისათვის. ყოველივე ეს კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნიშნით კეთდებოდა. ამასთანავე, ამიერიდან ბერძნულ-ქრისტიანული მწერლობის ქართულად გადმოღება არა მარტო კულტურული, არამედ მეტად დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური ღონისძიებაც იყო, რამეთუ იგი ხელს უწყობდა საქართველოს დაწინაურებას ახლო აღმოსავლეთში.

ბიზანტიაში ქართველთა მომრავლებას და ქართული კოლონიების დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. კონსტანტინოპოლის, ათონის, პეტრიწონისა თუ სხვა სავანეთა ქართველობას ახლო კავშირი ჰქონდა ბიზანტიური კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, მას შეეძლო თვალი მიედევნებინა ბიზანტიური მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისათვის და კვალდაკვალ მისყოლოდა მას, ქართული ლიტერატურა გაემდიდრებინა ახალი ორიგინალური შრომებითა თუ ბერძნულიდან თარგმნილი წიგნებით და ეროვნული მწერლობა აემაღლებინა ზოგადქრისტიანული ლიტერატურის დონემდე.

დასავლეთში აღმოცენებულმა ქართულმა კოლონიებმა ღირსეულად გაართვეს თავი რთულ ამოცანას; მათ მიერ შექმნილ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისათვის. ამასთანავე, დასავლეთში მოღვაწე ქართველმა მწერლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საკუთრივ ბიზანტიური ლიტერატურის განვითარებაშიც.

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერათა შორის ეროვნული მწერლობის განვითარებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის სავანეს, „რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უძლიერესად განვითარდა XI—XII საუკუნეებში, ეს ივერთა მონასტრის მეოხებითაც. სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მოზრდილი ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. უამისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“ (კ. კეკელიძე).

ათონის სავანე მდებარეობს საბერძნეთში, ქალკიდონის ნახევარკუნძულის (ბერძნული ქალკიდიკის) აღმოსავლეთ მხარეზე — ათონ-ორისის (მთაწმიდის), ათონის, ვიწრო, გრძელი და მთაგორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ძირას და კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას. კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და შესანიშნავი მცენარეული საფარით (ზეთისხილის ბაღებით, ფოთლოვანი ტყეებით და ა. შ.) იგი ძველთაგანვე იზიდავდა მოწესეებს. ადრე, — ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, — იქ იკრიბებოდნენ მორწმუნენი და თავიანთ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს თუ სწირავდნენ შესაწირავს, ხოლო შემდგომ ათონი ქრისტიანთა სამლოცველო ადგილად იქცა.

პირველი ქრისტიანი მოწესენი ათონზე VIII—IX საუკუნეებიდან ჩანან, ხოლო X საუკუნის ბოლოსათვის იქ ბერძნული მონასტრების ცენტრმაც გადაინაცვლა; 870 წელს იოანე კოლოვემ დააარსა პირველი სავანე, ხოლო მომდევნო ხანაში სამონასტრო მშენებლობა ისე შესამჩნევად გაიზარდა, ერთიმეორის მიყოლებით იმდენი მნიშვნელოვანი სავანე აღმოცენდა, რომ მალე ათონის მთას მთაწმიდა ეწოდა. რადგან ათონზე ბევრ ხალხს ჰქონდა თავისი სათვისტომო, ბუნებრივი იქნებოდა იქ ქართველებსაც დაედოთ ბინა. მართლაც, მას შემდეგ რაც საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა გაცხოველდა და ქართველები მომრავლდნენ ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ თუ საეკლესიო-სამონასტრო ასპარეზზე, მათ ათონზე დასახლებაც დაიწყეს — ჯერ ბერძენთა სადგომს შეაფარეს თავი, ხოლო შემდეგ ქართული სავანეც დააარსეს (მართალია, ქართველნი X საუკუნის შუა წლებში, — 50-იან, განსაკუთრებით 60-იან წლებში, — ჩანან ათონის მთაზე — ათის სავანეში, კლემენტის მონასტერში, ათანასეს ლავრაში. მაგრამ მათ ჯერ ეროვნული მონასტერი კიდევ არ ჰქონდათ).

965 წელს ათონის მთას ეწვია გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე, რომელსაც ახლდნენ ვაჟიშვილი ექვთიმე და მოწაფეები. მათ ათანასე ათონელის (920—1000) ლავრას მიაშურეს, ათანასეს ახლოს დასახლდნენ. მალე მათ შეუერთდა ცნობილი სარდალი თორნიკე.

ათონელ ქართველთა საქმიანობა გახმაურდა; „განითქუა სახელი მათი“ და თანამემამულეებმა მათ სამყოფს მიაშურეს. მოწესეთა მომრავლების გამო იოანემ და მისმა ახლობლებმა ათანასეს ლავრაში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნიეს და სხვა ადგილას ცხოვრება ირჩიეს, „ლავრისაგან განშორებულად, უდაბნოსა შუენიერსა წმიდისა იოანე მახარებელისა ეკლესიაი აღაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფოდეს მრავალ ჟამ“.

ამ პერიოდში ბიზანტიის მცირეწლოვან უფლისწულებს ბასილის და კონსტანტინეს აუჯანყდა მცირეაზიელი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი. მეამბოხეთა ლაშქარმა თითქმის მთელი მცირე აზია იგდო ხელთ და ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას საფრთხე შეუქმნა. საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის ერთგულ დიდებულებს მიმართა. მან გადაწყვიტა დავით კურაპალატისათვის (961—1001) მიემართა და დახმარება-შუამავლობა ათონელ ქართველებს სთხოვა. იოანემ ეს საქმე თორნიკეს მიანდო. ბიზანტიელებმა თორნიკეს ხელით დავით კურაპალატს წერილი გაუგზავნეს და დახმარება სთხოვეს. დავითმა 12000 რჩეული მხედარი გამოყო და სარდლად თორნიკე მიუჩინა. ბიზანტიელთა და ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მეამბოხეთა მხედრობა (979 წ.).

თორნიკემ დიდძალი ალაფი იგდო ხელთ. იგი გამარჯვებული და ხელდამშვენებული დაბრუნდა ათონზე. იქაურმა ქართველებმა ახალი, ეროვნული სავანის დაარსება განიზრახეს (მათ უკვე ჰქონდათ საამისო მატერიალური შესაძლებლობა); მალე (980 წელს) ქართული მონასტრის მშენებლობა დაიწყეს და 983 წელს დაასრულეს კიდეც. ასე დაარსდა ათონის ივერთა (ქართველთა) მონასტერი, ივირონი, რომელსაც ჩვენი წინაპრები ასე იხსენიებდნენ: „ლავრაი დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული“ (გიორგი ათონელი), „დიდი ლავრაი“ (გიორგი მცირე), „დიდი ლავრაი ქართველთაი“ (ეზრა ათონელი), „ლავრაი დიდებული“ (ზოსიმე მონაზონი) და ა. შ.

ათონის ივერთა მონასტერს თავდაპირველად იოანე ხელმძღვანელობდა. მან ენერგიულად იზრუნა ქართული სავანის განმტკიცება-გაძლიერებაზე; შეიძინა მამულები, მონასტერი უზრუნველყო შემოსავლით, თანამემამულეები ჩააბა როგორც საეკლესიო-სამონასტრო, ისე საერო საქმიანობაში და ა. შ.

იოანესა და თორნიკეს მცდელობით, ბიზანტიელთა დახმარებითა და ათონელ ქართველთა ენერგიული მოქმედებით ივირონი 985 წლისათვის საკმაოდ დასრულებულ, ჩამოყალიბებულ ფეოდალურ-საეკლესიო სენიორიად იქცა. იოანემ და თორნიკემ როგორც ბიზანტიელთა, ისე თანამოღვაწე ქართველთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. მონასტრის მშენებელთა ღვაწლის აღიარებას მოწმობს ათონელთა „ცხოვრების“ შექმნა ქართულ-ბერძნულ ენებზე, ბერძნული ეპიგრამა, რომელიც იოანე ქართველს მიუძღვნა ადრეულ საუკუნეებში, და სხვ.

როდესაც იოანე და თორნიკე მონასტერს აარსებდნენ, მათ, რასაკვირველია, სურდათ ქართველ მოღვაწეთათვის ეროვნული სავანე შეექმნათ, მაგრამ მათი აღმშენებლობითი საქმიანობა მხოლოდ ქართველ მოწესეთა ბედზე ზრუნვით არ შეიძლება აიხსნას. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის ბიზანტიური კულტურის გაცნობას, მწერლობისა და მეცნიერების ცენტრებთან ახლოს ყოფნას, ბიზანტიურ მწიგნობრობასთან კავშირ-ურთიერთობას. ამიტომაც იოანემ და თორნიკემ თავიდანვე ინტერესი გამოიჩინეს ბიზანტიური ლიტერატურისადმი და დაიწყეს ზრუნვა მშობლიური მწერლობის ზრდა-განვითარებაზე. მათ გარკვეული ყურადღება მიაქციეს ქართული მწიგნობრობის განვითარებას და შესამჩნევი წვლილი შეიტანეს ეროვნული წერილობითი კულტურის გამდიდრების საქმეში. იოანესა და თორნიკეს ინიციატივით ათონის ივერთა მონასტერში საკმაოდ ადრე, ყოველ შემთხვევაში, X საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც ფართოდ გაიშალა მუშაობა ხელნაწერთა გამრავლების, ძვირფასი წიგნების დამზადების მიზნით. მათი დავალებით მუშაობდა ქართველ მწიგნობართა მთელი ჯგუფი. მათი თაოსნობით დამზადდა არაერთი ძვირფასი ხელნაწერი. იოანე გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ბიზანტიური მწერლობის წინსვლას, ინტერესით ეცნობოდა ბერძნულენოვან ტექსტებს, არჩევდა სათარგმნელ მასალას. იგი გრძნობდა ხარვეზს, რომელიც ზოგიერთი მნიშვნელოვანი ბიზანტიური ძეგლის ქართული თარგმანის

არსებობით იყო გამოწვეული და ენერგიულად იღვწოდა მდგომარეობის გამოსწორებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იოანეს მოწოდებით გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე მისი ვაჟი ექვთიმე, რომელსაც წილად ხვდა დიდი პატივი ათონის ლიტერატურული სკოლის დაარსებისა. არსებითად მის სახელთანაა დაკავშირებული ამ სკოლის ჩამოყალიბება და მისი საქმიანობის წარმართვა, ბიზანტიურ კულტურასთან ქართული მწერლობის შემდგომი დაახლოება და ეროვნული საგანძურის გამდიდრება, ბიზანტიური ლიტერატურული ტრადიციების გადმონერგვა ჩვენს სინამდვილეში და მშობლიური მწერლობის მსოფლიო სარბიელზე გაყვანა.

იოანეს გარდაცვალების შემდეგ — 14 წლის განმავლობაში (1005—1019),—ქართველთა მონასტერს ექვთიმე ათონელი ხელმძღვანელობდა. იგი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, — იოანეს ავადმყოფობის გამო, — უძღვებოდა ქართული სავანის მთელ საქმიანობას — საეკლესიო-სამონასტროს, სამეურნეო-ადმინისტრაციულსა და სხვ., აქტიურად იყო ჩაბმული ათონელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა თანამემამულეთა მრავალრიცხოვან ჯგუფს. ასეთივე დატვირთვით მუშაობდა ექვთიმე მამის გარდაცვალების შემდეგაც, როდესაც წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა. ამასთანავე, იგი არა მხოლოდ ქართული მონასტრის საქმეებს განაგებდა, არამედ დიდად ირჯებოდა საერთოდ ათონის მთის მონასტრებისათვის.

ექვთიმე ათონელი მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა. სახელდობრ, ძველი საბუთების გამოყენებითა და ხელისუფალთა მხარდაჭერით განამტკიცებდა ივირონის ძლიერებას და აუმჯობესებდა მის მატერიალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ყიდულობდა მამულებს და ზრუნავდა მათ შეუვალობასა და გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე, გულმოდგინედ იღვწოდა მოწესეთა შორის კეთილგანწყობილებისა და კარგი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის, მონაწილეობდა ათონის მთის ბინადართა საადგილმამულო დავის მშვიდობიან გადაჭრაში, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავის თანამოღვაწეთა და მოწაფეთა ცხოვრების პირობებს და მათ კეთილდღეობასაც უზრუნველყოფდა. იგი არა მხოლოდ თვით ეწეოდა აღმშენებლობით საქმიანობას და ახალ ეკლესიებს აგებდა, არამედ არაქართველ მოღვაწეებსაც ეხმარებოდა და არაქართული სავანეების დაარსებაზეც ზრუნავდა.

მიუხედავად ამისა, ექვთიმე ათონელის ღრმაშინაარსიან ცხოვრება-მოღვაწეობაში მთავარი და არსებითი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა იყო. სწორედ მისი თაოსნობით იქცა ათონის სავანე არა მხოლოდ დასავლეთში მყოფ ქართველთა ძირითად საეკლესიო-სამონასტრო ცენტრად, არამედ ქართული კულტურის მძლავრ კერადაც. მართალია, ექვთიმე ათონელს მუშაობაში შესამჩნევად უშლიდა ხელს სხვა საქმეებით გადატვირთვა და დღენიადაგ მოუცლელობა, მაგრამ ამან ხელი ვერ აალებინა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე (ვინაიდან ხშირად დღისით ვერ პოულობდა დროს, ღამით მუშაობდა და თავდადებით იღვწოდა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის). მისი ბიოგრაფის სიტყვით, ექვთიმე მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობის „თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცალებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ ყოვლადვე იჳრჳინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროისნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა“.

როგორც აღვნიშნეთ, მწიგნობრული ინტერესი ქართველთა სავანეში ადრევე შეინიშნებოდა, ცნობილია მონასტრის პირველ მოღვაწეთა — იოანესა და თორნიკეს თაოსნობით დამზადებული წიგნები, მაგრამ იქ გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, იქაური ლიტერატურული სკოლის ფუძემდებელი და მამამთავარი იყო ექვთიმე ათონელი. არ დარჩენილა ქართული საეკლესიო-სასულიერო მწერლობის არც ერთი დარგი, რომ მის განვითარება-გამდიდრებაში ექვთიმეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. იგი წერდა ორიგინალურ თხზულებებს ქართულად და ბერძნულად, ეწეოდა ორმხრივ მთარგმნელობით მუშაობას. საკმარისია მოვიხსენიოთ ცნობილი აგიოგრაფიულ-მორალური და ასკეტიკურ-დოგმატიკური თხზულება, შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სულთამარგებელი რომანი „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც მან ქართულიდან თარგმნა ბერძნულ ენაზე (მალე გაჩნდა ლათინური თარგმანი, ხოლო შემდეგ ითარგმნა მრავალ ევროპულ ენაზე).

ექვთიმე ათონელმა თავის მთავარ მიზნად ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაძლიერება და ქართული მწერლობის საგანძურის ბერძნული ენიდან თარგმნილი თხზულებებით გამდიდრება დაისახა. იგი ხელმძღვანელობდა საგანგებოდ შემუშავებული მთარგმნელობითი პრინციპებით, გულდასმით არჩევდა სათარგმნ მასალას, ითვალისწინებდა ქართველ მკითხველთა მომზადების დონეს და მოთხოვნილებას, საჭიროებისდა მიხედვით ცვლიდა ტექსტს და იძლეოდა განსხვავებულ რედაქციას.

ექვთიმე ათონელის საქმიანობამ საყოველთაო აღიარება პოვა. მადლიერი თანამემამულენი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ექვთიმემ „განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაჲ ჩუენი“ (გიორგი ათონელი), „განავრცელა და განანათლა ქართველთა ენაჲ“ (სვიმეონ ღვალი) და სხვ. დავით კურაპალატმა მას „ახალი ოქროპირი“ უწოდა. ქართველებს განსაკუთრებით ის ეამაყებოდათ, რომ ექვთიმეს „სახელი და ღირსებაჲ არა ხოლო საქართველოსა ოდენ განეფინა, არამედ საბერძნეთსაცა“. სწორედ ამის შეგნებამ აღავსო ისინი კანონიერი სიამაყის გრძნობით და ათქმევინა (ექვთიმეზე) შემდეგი სიტყვები: „ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“. ექვთიმე ათონელის დამსახურების აღიარებას მოწმობს მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცლად აღწერა, მისი „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციები, მის სახელზე დაწერილი საგალობლები, რომელთაგანაც ზოგიერთი ბერძნულ სადღესასწაულოშიც კი შევიდა, ათონელთა მიერ დადებული აღაპები და ა. შ.

ექვთიმე ათონელს გარს ეხვია თანამოღვაწეთა და თანამშრომელთა დასი (იოანე გრძელისძე, არსენ ნინოწმიდელი, იოანე ხახულელი, ზაქარია მირდატისძე და სხვ.), რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული წიგნადი ფონდის გამდიდრებასა და ათონის ლიტერატურული სკოლის განვითარების საქმეში.

ათონის ქართველთა მონასტერი არა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს სიცოცხლეში გამოირჩეოდა, არამედ მომდევნო პერიოდშიც კარგა ხანს წარმოადგენდა ქართული კულტურის მძლავრ კერას, იქ გრძელდებოდა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა, რომელშიც მონაწილეობდა ქართველ მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი (გრიგოლ მთაწმიდელი, სტეფანე ხარტულარი, მიქაელი და სხვ.). ეს მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა, როდესაც იქ დამკვიდრდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე გიორგი ათონელი (1009—1065) რომელმაც განაგრძო, განავითარა და გააღრმავა ექვთიმეს მიერ წამოწყებული საქმიანობა. იგი 1044—1056 წლებში ივირონის წინამძღვარი იყო, მრავალმხრივ პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა და ენერგიულად ხელმძღვანელობდა ქართული სავანის ბინადართა საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებას. საქართველოს სამეფო კარის ხელშეწყობითა და დახმარებით მან ათონის ქართველთა მონასტერი გაამდიდრა, განამტკიცა და გააძლიერა, აღმშენებლობითი სამუშაოც ჩაატარა და მამულებიც შემოიმატა-შემოიმტკიცა.

გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში, მის მოღვაწეობაში მთავარი და ძირითადი მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა იყო. თავისი შემოქმედებითი მუშაობით, ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობითა და პრაქტიკული მოღვაწეობით მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული სულიერი კულტურის საგანძურში. იგი თავგამოდებით იბრძოდა ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და სარწმუნოებრივი სიწმინდისათვის, მშობლიური მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის.

გიორგი ათონელის მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“ — ძვირფასი საისტორიო წყარო, რომელიც არა მხოლოდ პირველ ქართველ ათონელთა თავგადასავალს გვაცნობს, არამედ მონასტრის ქართველთადმი კუთვნილებასაც ადასტურებს. ბერძენ ბერთა მოძალებამ, ქართველთა მდგომარეობის გართულებამ, ჩვენი უფლებების დაცვის აუცილებლობამ დააწერინა ავტორს წიგნი, რომელიც ემყარება რა სარწმუნო წერილობით წყაროებსა და ზეპირგადმოცემებს, მოგვითხრობს ქართული სავანის აღმოცენების ისტორიას, ასახავს მონასტრის შინაგან წყობილებას, წარმოაჩენს იქ გაჩაღებულ კულტურულ-შემოქმედებით მუშაობას.

გიორგი ათონელმა, ერთი მხრივ, მაღალმხატვრული და ღრმაიდეური თხზულების სახით დიდებული ძეგლი აუგო ივერთა მონასტრის დამაარსებელთ, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი მოღვაწეობით წინ წასწია, ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნება.

გიორგი ათონელის ცხოვრება-მოღვაწეობის პერიოდში ათონის ქართულ სავანეში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა. გიორგი, — ვითარცა მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობის მესვეური და მთელი ინტელექტუალური ცხოვრების ხელმძღვანელი, — თავისი პირადი მაგალითით — თავ-

დებული შრომითა და შემოქმედებითი წვით, — სტიმულს აძლევდა თანამოღვაწეთ და მწიგნობრულ ინტერესს უღვივებდა, შთააგონებდა და მუშაობისაკენ მოუწოდებდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიხსენიოთ გიორგი ათონელის მოწაფე და თანამოღვაწე გიორგი მცირე, რომელიც ყველგან თან ახლდა თავის სასახელო მოძღვარს და ყველაზე უკეთ იცნობდა მის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობასა თუ ლიტერატურულ მოღვაწეობას. სწორედ ამიტომ აღწერა მან ასე დაწვრილებით გიორგი ათონელის თავგადასავალი („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ") და საკმაოდ სრულად წარმოაჩინა მისი დამსახურება მშობელი ხალხისა და ეროვნული კულტურის წინაშე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ სხვა ქართველი მწიგნობრებიც — არსენ ნინოწმინდელი, იაკობი, იოანე ხარტულარი, ჰიმნოგრაფი ეზრა, სტეფანე ათონელი, ბასილი და ა. შ.

მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა ათონის ქართველთა მონასტერში გრძელდებოდა გიორგი ათონელის მომდევნო წინამძღვრების — თეოდორესა და, განსაკუთრებით, გიორგი ოლთისარის დროსაც. სწორედ მაშინ მოღვაწეობდა იქ მოზრდილი ჯგუფი (ევსტრატი დეკანოზი, ზოსიმე მონაზონი, კვირიკე დიაკონი, სვიმეონ თავმიშველი, იაკობ დეკანოზი, მიქაელ დალალისინელი და ა. შ.), რომელმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანა ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიაში.

ქართული სავანის საკეთილდღეოდ თავგამოდებით . იღვწოდნენ როგორც დასახელებული, ასე სხვა წინამძღვრებიც (არსენ თარსმანყოფილი, ევგენი, ვასილი, იოანე ბუქაისძე და ა. შ.), მაგრამ ივირონის მდგომარეობა მაინც გართულდა და იქაურ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა შესუსტდა; ისინი მეტწილად ხელნაწერების დამზადებით კმაყოფილდებოდნენ და მხოლოდ ახალი ნუსხებით ამდიდრებდნენ იმ წიგნსაცავს, რომელიც დღესაც ათონის ფასდაუდებელი საგანძურია და ნათლად წარმოაჩენს ათონელ ქართველთა ...ოდ მეცნიერულ-ლიტერატურულ ინტერესსა და გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვეს.

ათონის ქართველთა მონასტერში შემოქმედებითი ცეცხლის გა...ლება და ბოლოს ჩაქრობა შემთხვევითი არ ყოფილა; ეს ბუნებრი... შედეგი იყო იმ დევნა-შევიწროებისა, რომელსაც ჩვენი წინაპრე... განიცდიდნენ ათონზე ჯერ კიდევ XI საუკუნიდან.

უკვე ექვთიმე ათონელის მომდევნო წინამძღვრის გიორგის (1019—1029) დროს დაიწყო ივირონში ქართველთა შევიწროება-შემცი...ება და ბერძენთა მომრავლება. მართალია, გიორგიმ ერთგვარად ...ამეხრუკა ბერძენთა მოძალება და ხელი შეუშალა მათ მტაცებლური განზრახვის შესრულებაში, მაგრამ მალე ბიზანტიელებმა დრო ...ოვეს და ქართველთათვის მონასტრის წართმევა მოინდომეს. ...თონელმა ქართველებმა საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნიეს მტკი...ედ შეკავშირება და შემჭიდროება, სათანადო საბუთების დაძებნა ...ა ახალი დოკუმენტების შედგენა და მათი მეოხებით თავიანთი ...ფლებების დაცვა-განმტკიცება. მათ საგანგებოდ შეადგინეს „მოსახსენებელი" ქართველ-ბერძენთა ურთიერთობისა ათონის ...თაზე, ხაზგასმით აღნიშნეს მონასტრის ქართველთადმი კუთვნილე...ა, აღწერეს მისი აღმოცენებისა და განვითარების ისტორია, წარმო...ჩინეს იოანეს, თორნიკესა და ექვთიმეს ღვაწლი სავანის წინაშე, ...აგმეს და გაკიცხეს ქართველთა უფლებების ხელმყოფელი და ქარ...თული მონასტრის მიტაცების მსურველი ბიზანტიელები.

რასაკვირველია, „მოსახსენებელმა" ვერ შეაჩერა ბიზანტიელთა ...მეტევა, მომდევნო ხანაში მათი იერიში კიდევ უფრო საშიში გახ...და. აქტიურად იღვწოდნენ ათონელი ქართველები, ენერგიულად მოქ...ედებდნენ ივირონის მესვეურები, უხვად ეხმარებოდნენ მათ ქარ...თველი მეფე-დიდებულები თუ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი (ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე; გრიგოლ და ...აბაზ ბაკურიანისძენი, იოანე მწიგნობართუხუცესი; ნიკოლოზ გულაბერისძე, პავლე ქუთათელი და ა. შ.), მაგრამ მოძალებულ ბიზან...ტიელებთან გამკლავება თანდათან უფრო ძნელდებოდა. ამას ერთო...და გარეშე მტრების ხშირი თავდასხმაც, რამაც შესამჩნევად დაასუს...ტა ქართველთა სავანე.

1259 წელს ათონის ნახევარკუნძულს, კერძოდ, იქაური მონას...ტრები დაარბიეს ჯვაროსნებმა. მტერს ვერც ივირონი გადაურჩა. ...ამავე საუკუნის 80-იან წლებში ათონი ერთხელ კიდევ დაარბიეს მომხდურებმა, რომელთაც ბერებს კათოლიკობის შეწყნარება და რომის პაპის უზენაესობის აღიარება მოსთხოვეს. ათონელები არ დაეთანხმნენ მოძალადეთა წინადადებას, რის გამოც სასტიკად დაისაჯნენ.

XIV საუკუნის დამდეგს ათონი რამდენჯერმე იქცა მტრის სათარეშო არენად. 1304 წელს იქაური მონასტრები დაარბიეს ლეინებმა, 1306 წელს — კატალონიელებმა, 1308 წელს — არაბებმა. რასაკვირველია, არც ქართველებს დაუდგებოდათ კარგი დღე. მართალიც, არაბმა პირატებმა უმოწყალოდ გაძარცვეს ქართული სავანე და მთავარი ტაძრის დანგრევაც კი განიზრახეს, მაგრამ მარმარილოს სვეტები ადგილიდან ვერ დაძრეს და გუმბათიანი ნაგებობის ...ცვა ვერ მოახერხეს.

1320—1324 წლებში თურქი პირატები არბევდნენ და ძარცვავდნენ ათონის სავანეებს.

მომხდური ლაშქრის თარეშმა შეარყია ივირონის ძლიერება, საგრძნობლად დაასუსტა ქართველთა კრებული. მონასტერში მდგომარეობა გართულდა, ბერძენ-ქართველთა ურთიერთობა გამწვავდა, ბერძენთა მტაცებლური ტენდენცია სულ უფრო შესამჩნევი გახდა. დროთა განმავლობაში ქართველთა რიცხვმა, — განსაკუთრებით XIII საუკუნიდან, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერება დაეცა, — საგრძნობლად იკლო. მომრავლებული ბერძნები აქტიურად ამოქმედდნენ, ივერთა მონასტრის მთავარი ტაძრისათვის ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია. მოძალადეებმა მიიმხრეს არა მარტო ათონის მონასტრების საბჭოს თავკაცები, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქი კალისტე პირველი (1350—1363), რომელმაც დააკმაყოფილა ბერძენთა პრეტენზიები და საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

კალისტემ ქართველთა კანონიერი უფლებები უგულებელყო, დამსახურება და ღვაწლი დაივიწყა და მათ ერთგვარი ბრალდებებიც კი წაუყენა. მისი მტკიცებით, ქართველები უსაფუძვლოდ იჩემებდნენ პირველობას, დაუმსახურებლად ავიწროებდნენ ბერძნებს და თვით კი არ შეეძლოთ მონასტრის მართვა, სამისოდ ძალა არ შესწევდათ. მისი დასკვნით, სულიერად ამაღლებულსა და რიცხობრივად გამრავლებულ ბერძენ მოწესეთა რაზმს უფრო შეეფერებოდა სავანის მესვეურობა; ამიტომ მან ქართველებს ჩამოართვა მთავარი საკრებულო ტაძარი, აუკრძალა მონასტერში პასუხსაგებ თანამდებობათა დაკავება და სამოღვაწეოდ პატარა ეკლესია მიუჩინა. ვერ ვიტყვით, რომ ამის შემდეგ ქართველები კვლავ ფაქტობრივი ბატონპატრონნი იყვნენ სავანისა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ იყო.

ბერძენთა მიერ ქართული სავანის ხელში ჩაგდება ერთბაშად არ მომხდარა და კალისტეს გადაწყვეტილებით არ დაგვირგვინებულა. ბერძნები თანდათან ეუფლებოდნენ მას და მხოლოდ გვიან მიაღწიეს საბოლოო გამარჯვებას. ამჯერად — XIV საუკუნის შუა წლებში — მათ მხოლოდ დროებითი წარმატება მოიპოვეს, მაგრამ, როგორც ჩანს, კალისტეს გადაწყვეტილება ბოლომდე არც მაშინ განხორციელებულა. ეს არცაა გასაკვირი: მონასტერი პატრიარქს არ ექვემდებარებოდა, ეს ქართველთათვის და, ბუნებრივია, არც ჩამორთმევის უფლება ჰქონდა. მართალია, აქ ბერძნები ჭარბობდნენ, მაგრამ ფაქტობრივად იგი მაინც საქართველოს კუთვნილებად იგულისხმებოდა და ნომინალურად ასეც ითვლებოდა.

წინააღმდეგ კალისტეს გადაწყვეტილებისა, ქართველები გვიან ხანაშიც (1363 წ., 1399 წ., 1513 წ. და სხვ.) ჩანან მონასტრის წინამძღვრებად; მონასტრის ქართველთადმი კუთვნილებით აიხსნება ისიც, რომ გაჭირვების დროს იქაური ქართველები თანამემამულეებს მიმართავდნენ და ქართველი მეფე-დიდებულებიც (კვარკვარე და ქაიხოსრო ათაბაგები, ლევან კახთა მეფე, ამათთან მუხრანბატონი ერეკლე მეორე და სხვ.) შეძლებისდაგვარად მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ; არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ გვიანი ხანის ქართველი მოღვაწენი (ამბროსი სამცხელი, ფილიპე მაჭარაშვილი და სხვ.) ივერთა სავანეს „ჩვენ მონასტრად" იხსენიებდნენ. ასე რომ, კალისტეს ტენდენციურმა გადაწყვეტილებამ ბერძნებს საბოლოო გამარჯვება ვერ მოუტანა და ქართველებს თავიანთ ძველ სავანეზე ხელი ვერ აღებინა.

1453 წელს დაეცა ბიზანტიის იმპერია. თურქებმა ხელთ იგდეს კონსტანტინოპოლი, დაიპყრეს ათონის ნახევარკუნძული და დაარბიეს იქაური სავანეები; მთაწმიდა, სადაც ქალებს ძველთაგან ეკრძალებოდათ ფეხის დადგმა, სულთნის ღვთის საკუთრებად გამოცხადდა. გასაგებია, რომ ამიერიდან ათონზე მისახლე ქართველთა ცხოვრება კიდევ უფრო გაძნელდა, ხოლო XV საუკუნის უკანასკნელ წლებში აუტანელი გახდა. მტრის მრავალგზისმა თავდასხმამ, უმოწყალო ძარცვამ და დაუნდობელმა რბევამ სავანე დაასუსტა და დაუძლურა. ცხადი გახდა, რომ სამშობლოდან დახმარების მიუღებლად ათონელი ქართველების ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება და გაპარტახებული სავანის აღდგენა შეუძლებელი იყ...

რადგან სხვა გზა არ ჩანდა, ქართველმა მოღვაწეებმა თანამემამულეებს მომართეს და დახმარების სათხოვნელად საქართველოში წარმომადგენლები გამოგზავნეს. ათონელთა თხოვნამ მალე გამოიღო სასურველი შედეგი, მათ დამხმარე ხელი გაუწოდეს სამცხელმა ათაბაგებმა — ყვარყვარე მეორემ (1451—1498) და მზეჭაბუკმა (1500—1515).

ქართველთა დახმარებამ და შეწირულებამ XVI საუკუნის დამდეგისათვის რამდენადმე შეცვალა ათონელთა მდგომარეობა; გაჩაღდა აღმშენებლობითი საქმიანობა და დანგრეულ ნაგებობათა აღდგენა-განახლება, რასაც ბუნებრივად მოჰყვა მოღვაწეთა რიცხვის ზრდაც.

XVI საუკუნის დასასრულიდან ათონის ისტორიაში შესამჩნევია ერთი გარემოება: რუსეთის საერო თუ სასულიერო ხელისუფლება მეტ ყურადღებას უთმობს ათონის სავანეებს. ამ დროისათვის რუსეთის ხელისუფალთ შეუმუშავდათ აზრი, რომ ისინი იყვნენ ბერძნების მემკვიდრენი და მათ ევალებოდათ აღმოსავლეთში ქრისტიანობის დაცვა-მფარველობა. სწორედ ამის გამო დაეხმარნენ რუსთა მეფეები ივირონს 1584—1586 წლებში. მაგრამ ასეთმა ეპიზოდურმა დახმარებამ მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა. მას შემდეგ, რაც სულთან სელიმმა ათონის ყველა მონასტერს ჩამოართვა მამულები, ბერმონაზონთა მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე და აუტანელი გახდა. „დიდსა გაჭირვებასა და ვიწროებასა შინა" იყო ქართველთა მონასტერიც, რომელიც „მრავალსა ვალსა შეეყენა აგარიანთაგან". იგი ამჯერადაც საქართველოდან მისულმა შეწირულებამ იხსნა დიდი ვალისაგან.

XVII საუკუნიდან ათონელებს კვლავ ეხმარებოდნენ თანამემამულენი (თეიმურაზ პირველი, მარიამ დედოფალი, აშოთან მუხრანბატონი, გიორგი მეთერთმეტე და სხვ.), ივერთა მონასტერში გრძელდებოდა აღდგენით-აღმშენებლობითი სამუშაოები, იქ ხშირად მიდიოდნენ ქართველი პილიგრიმები (მაგალითად, 1622 წელს იქ იყო ტიმოთე იკორთელი, 1630 წელს — პავლე დორიაული, 1640 წელს — ელისე საგინაშვილი და სხვ.).

XVIII საუკუნეში ათონს ეწვია არაერთი მოღვაწე, რომელთაგან ზოგიერთმა აღწერა ქართველთა ძველი სავანე. სახელდობრ, 1701 წელს იქ იყო ი. კომნინი, 1709 წელს — ი. ეიმენსკი. პირველად 1725 წელს, ხოლო მეორედ 1744 წელს ათონის მთაზე იყო ცნობილი რუსი მოგზაური ვასილ გრიგოროვიჩ-ბარსკი (1701—1747), რომელმაც აღწერა იქაური მონასტრები, სათანადო ადგილი დაუთმო ივერთა მონასტერს — სხვადასხვა ხასიათის წყაროების გამოყენებით მიმოიხილა მისი ისტორია და ქართველთა აღმშენებლობითი საქმიანობა, აღტაცება გამოთქვა მთავარი ტაძრის მშვენიერების გამო, ყურადღებით გაეცნო ბიბლიოთეკას, რომელიც, მისი სიტყვით, უმდიდრესი იყო ათონზე.

XVIII საუკუნის შუა წლებში ათონზე რამდენჯერმე იყო გამოჩენილი მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი (გარდ. 1764 წ.). მან შეისწავლა ათონის სიძველენი, გამოიკითხა ზეპირი ტრადიციული ცნობები, გამოიყენა წერილობითი წყაროები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქართულ მონასტერს (მატერიალური კულტურის ძეგლებს, ხელნაწერებს და ა. შ.), ვრცლად აღწერა დიდი ტაძარი, ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის ნიმუშები დაათვალიერა და შეაფასა ისტორიკოსის თვალით და ა. შ. მან დაგვიტოვა მოგზაურობის აღწერილობა — უაღრესად მნიშვნელოვანი თხზულება, რომელშიც უხვადაა მოცემული ავტორის შთაბეჭდილებანი, მეცნიერული დაკვირვებანი, ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები.

ტ. გაბაშვილმა სწორად გაიგო და გაიაზრა ათონის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, ათონელთა მიერ ეროვნული მწიგნობრობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილი. მისი სიტყვით, ათონის ქართველთა მონასტრის მეშვეობით „განათლდა საქართველო წიგნთა თარგმანებითა".

ტ. გაბაშვილმა შემოგვინახა მრავალი საინტერესო ცნობა ათონის ქართულ სავანესა და იქაურ სიძველეებზე, ქართველთა კულტურულ-აღმშენებლობითისა და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე. მისი თხზულება — „მიმოსლვა", — რომელიც მხატვრულ-დოკუმენტური პროზისა და მეცნიერულ-ისტორიული ნაშრომის შერწყმას წარმოადგენს, — ადგილზე მოპოვებული კონკრეტულ-ფაქტობრივი მასალით, სისტორიო წყაროებში დაძებნილი ცნობებით და განსწავლული მოგზაურის შთაბეჭდილებათა სიუხვით დღესაც ცხოველ ინტერესს იწვევს.

ათონზე ყოფნისას ტ. გაბაშვილი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. მოღწეულია „მიმოსლვის" უძველესი ავტოგრაფი, რომლის უდიდესი ნაწილი ათონზეა დაწერილი. იქვე დაუწერია ტ. გაბაშვილს ორი „სწავლა", აგრეთვე, „მიმოსლვის" ტექსტში ჩართული „ირიოკო მთაწმიდისა და იამბიკო მსოფლიო", რომლის უკანასკნელი სტროფები თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის ქებას წარმოადგენს.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ათონზე იყო მწერალ-მოგზაური იონა გედევანიშვილი (1737—1821), რომელმაც საინტერესო ცნობები შემოგვინახა ქართულ სიძველეებზე. მისი სიტყვით, „მონასტერი ესე ივერონისა, რომელ არს საქართველოისა, არს მშვენიერი და მდიდარი ყოველთა მთაწმიდისათა უმჯობესი".

XVIII საუკუნეში — საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო — ქართველებმა ათონისადმი დახმარება შესამჩნევად შეამცირეს, მაგრამ, რასაკვირველია, სულ არ დაუვიწყებიათ ძველი სავანე: ძღვენით, ყმა-მამულის შეწირვით, ძველი მამულების დამტკიცებითა და ადრინდელი უფლებების აღდგენით მას დაეხმარნენ თეიმურაზ მეორე (1746 წ.), სოლომონ პირველი (1757 წ.), ერეკლე მეორე (1769 წ., 1791 წ.) და ა. შ.

XIX საუკუნის დამდეგიდან ქართველთა მდგომარეობა ათონზე კიდევ უფრო გართულდა. მას შემდეგ, რაც ივერთა მონასტერმა დაკარგა მფარველ-შემწენი ქართველ მეფეთა სახით, ხოლო ქართულმა ეკლესიამ — დამოუკიდებლობა, ბერძნებმა ათონელი ქართველები უფრო მეტად შეავიწროვეს, სულ განდევნეს ძველი სავანიდან და მთლიანად დაეპატრონნენ მას. ამიერიდან რუსეთი უნდა დახმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველობას, მაგრამ დასავლეთის ამბებმა, მძაფრმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, სამამულო ომმა მისი ყურადღება ჩამოაშორა ათონს. ამით ისარგებლეს ბერძნებმა და მტკიცედ დამკვიდრდნენ ივერთა მონასტერში.

მალე ბერძნებსაც ცუდად წაუვიდათ საქმე. 1821—1830 წლებში ათონის ნახევარკუნძულს თურქები ფლობდნენ. ბერძნები, რომლებიც დასუსტებულ ქართველებს ამდენ ხანს ჯიქურ უტევდნენ, ახლა დაფრთხნენ და გაიფანტნენ, ხოლო ქართველთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი მოღვაწენი (ბესარიონ ქიტიშვილი, ილარიონ ყანჩიშვილი და სხვ.), რომლებიც არ შეუშინდნენ მოძალებულ მაჰმადიანებს, დარჩნენ მონასტერში, გაამხნევეს თანამოძმენი, ერთგვარი გავლენაც მოახდინეს თურქთა ჯარის უფროსზე ლაბუტ-ფაშაზე (რომელიც წარმოშობით ქართველი იყო), იხსნეს ივერთა სავანე და ზოგიერთი სხვა მონასტერიც.

თურქეთ-საბერძნეთის ომის დამთავრების შემდეგ ათონს კვლავ ბერძნები დაეპატრონნენ (1830 წ.). ისინი დაბრუნდნენ ივერთა მონასტერში და თანდათან შეავიწროვეს ქართველთა მცირერიცხოვანი კრებული; ჯერ დიდი ტაძარი იგდეს ხელთ, ხოლო შემდეგ ქართველები სულ გამოაძევეს მონასტრიდან და საცხოვრებლად ილიას სენაკი მიუჩინეს. ბ. ქიტიშვილი და მისი მოწაფეები იქ გადასახლდნენ, ხოლო ი. ყანჩიშვილი სულ განმარტოებით ცხოვრობდა („სამხილეში") და იქ განაგრძობდა მწიგნობრულ-ლიტერატურულ საქმიანობას. სხვათა შორის, 1836 წელს ი. ყანჩიშვილმა შეადგინა კატალოგი — „ქართული წიგნების სახელები ივერთის მონასტრისა შინა მდებარეთა მთაწმიდას", — რომელშიც მოყვანილია ცნობები იქაურ ბიბლიოთეკაში დაცული რამდენიმე ათეული ქართული ხელნაწერის შესახებ. რადგან ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია მძიმე მდგომარეობაში იყო, ბევრი ძვირფასი ხელნაწერი „მოშლილი და ჰპისაგან განრყვნილი და სიძველისაგან" დაზიანებული იყო და წაკითხვა ჭირდა, ი. ყანჩიშვილმა მხოლოდ ნაწილობრივ გაართვა თავი რთულ საქმეს, მაგრამ მისი კატალოგი მაინც მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ი. ყანჩიშვილი არსებითად პირველი მწიგნობარია, რომელმაც შედარებით სრული ცნობები შემოგვინახა ათონზე დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაზე.

1845 და მომდევნო წლებში ათონში რამდენჯერმე იყო რუსი მკვლევარი პორფირი უსპენსკი (1804—1885). მან შეკრიბა გადმოცემები, ძველ წყაროებში დაძებნა საყურადღებო ცნობები, შეისწავლა იქაურ ბიბლიოთეკაში დაცული მასალები, გამოავლინა ქართველთა მოღვაწეობის საინტერესო ფაქტები, მიმოიხილა ქართული სავანის ისტორია.

1849 წელს ათონზე იყო ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი (1809—1875). მან აღწერა ათონელთა იმდროინდელი მოღვაწეობა, შეისწავლა ქართული სიძველენი, ნაყოფიერად იმუშავა წიგნსაცავში. სახელდობრ, გაეცნო ბევრი ქართული ხელნაწერი, გადმოიწერა ზოგიერთი ძეგლი, შეადგინა აღწერილობა რამდენიმე ხელნაწერისა და ა. შ.

ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია ადრე

ხელის ანაბარა იყო მიტოვებული. პ. იოსელიანმა მიმართა ხელისუფლების ორგანოებს და რამდენადმე გააუმჯობესებინა წიგნსაცავის მდგომარეობა.

პ. იოსელიანის მისვლამ ივერთა მონასტერში გამოაცოცხლა იქაური მოღვაწენი. მათ წერილობით მიმართეს სტუმარს და რუსეთის ეგზარქოსს შუამდგომლობა და ისტორიული უფლებების დასაბუთება-დაბრუნება სთხოვეს. მაგრამ ქართველთა მდგომარეობა არც ამჯერად გამოსწორდა. იგი კიდევ უფრო მძიმე გახდა 60-იანი წლებიდან. თუ ადრე ათონელი ქართველები ულევად ბერძნებს აეთლებდნენ, საქართველოდან მისულთ კრებულში ჩარიცხვა შეეძლოთ და სტუმრად მისულ ქართველ პილიგრიმებს საზრდო და სადგომიც ეძლეოდათ, ქართველ მოღვაწეთა მეთაურის ბ. ქიტიაშვილის გარდაცვალების (1861 წ.) შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და საგრძნობლად გაუარესდა. ბერძნებმა იერიში გააძლიერეს, ქართველ პილიგრიმებს აღარ იღებდნენ და ძმობაში ქართველთა ჩარიცხვაც აკრძალეს. ბ. ქიტიაშვილის დარჩენილ ოთხ მოწაფეს ნება დართეს გარდაცვალებამდე მონასტრიდან ულუფის მიღებისა, მაგრამ საერთოდ ქართველთა უფლებები ივერთა მონასტერზე საბოლოოდ დაარღვიეს. ამ დროს მივიდა იქ ვახტანგ ბარკალაია (1834—1911) და ბერად აღკვეცის სურვილი განაცხადა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. საქართველოში დაბრუნებულმა მიიღო ბერობა (ბენედიქტეს სახელით), შეკრიბა შეწირულება და თორმეტი ბერის თანხლებით მიაშურა ათონს. იქ მან შეიძინა (1870 წ.) დანგრეული სავანე და მის აღდგენა-განახლებას შეუდგა, მაგრამ ბერძნების წინააღმდეგობას წააწყდა. ბერძნებმა უარი უთხრეს საშენებლო მასალის მიყიდვაზე, სანახევროდ რესტავრირებული ტაძრის დანგრევაც კი დაუპირეს, მაგრამ ბ. ბარკალაიამ მიზანს მაინც მიაღწია — ივერთა მონასტრის ახლოს ქართველთა ახალი სავანე — იოანე ღვთისმეტყველის სავანე დააარსა და იქ შეკრიბა ათონის მთაზე მიმოფანტული ქართველობა.

ახალი სავანის წინამძღვარი ბ. ბარკალაია შემდეგაც აქტიურად მოქმედებდა — მიმართავდა რუს ხელისუფალთ და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს და დახმარებას სთხოვდა, ბეჭდავდა წერილებს, რომლებშიც წარმოაჩენდა ქართველთა დამსახურებას ივერთა სავანის დაარსება-განვითარებაში, ამხელდა ბერძენ სამღვდელო პირთა მიმტაცებლობასა და ძალმომრეობას, ითხოვდა ქართველთა კანონიერი უფლებების აღდგენას, თანამემამულეებს მოუწოდებდა ენერგიული მოქმედებისა და ქართული მონასტრის დახსნისაკენ.

მიუხედავად ამისა, ქართველთა მდგომარეობა ათონზე კიდევ უფრო გაუარესდა. ბერძენთა მოძალება და ქართველთა შევიწროება ყოველგვარ ზღვარს გასცილდა. ქართველი საზოგადოებრიობისა თუ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მხარდაჭერამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ბერძნები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და ქართველთა ნაკვალევის მოსპობა-განადგურებას შეუდგნენ. ერთი ათონური ხელნაწერის ცნობით, 1883 წელს „ბერძნებმა მონასტერში დახატული ქართველი მეფის და დედოფლების სახელი ამოხოცეს და ბერძნის დაწერეს, კითომც მათი მეფეები ყოფილიყოს. თორნიკეც ამოხოცეს".

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ივირონის წიგნსაცავის გულდასმითი გაცნობა, ხელნაწერთა კოლექციის მეცნიერული შესწავლა და ქართული მასალების გამოვლენა. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ქართული წერილობითი ძეგლების თავდადებული მოჭირნახულე პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929), რომელიც 1883 წელს ეწვია ათონს. მან განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ათონის ქართული ხელნაწერებისადმი, რომელიც დიდი გულისყურით გაიცნო, შეისწავლა და აღწერა. მის მიერ შედგენილი კატალოგი ივირონის ქართული ხელნაწერებისა ათონის ქართულ ხელნაწერთა პირველი მეცნიერული აღწერილობაა. ა. ცაგარელმა გამოავლინა ორიგინალური და თარგმნილი თხზულებანი, ავტორები და მთარგმნელები, კალიგრაფები და მკაზმავები, დაახასიათა და წარმოაჩინა ათონის როლი ქართული კულტურის ისტორიაში.

მომდევნო ხანაში რამდენიმე ქართველმა მეცნიერმა გაიცნო ათონის ქართული ხელნაწერები. სახელდობრ, ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ (1888 წ.), აკადემიკოსმა ნიკო მარმა (1898 წ.), პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა (1902 წ.).

დ. ბაქრაძემ (1826—1890) გამოავლინა ზოგიერთი უცნობი ხელნაწერი, ნ. მარმა (1864—1934) შეადგინა რამდენიმე ხელნაწერის დეტალური აღწერილობა და გამოსცა ათონურ ხელნაწერებში შემონახული თხზულებანი, ა. ხახანაშვილმა (1866—1917) დაამზადებინა იქაური ხელნაწერთა პირები, რომელთა საფუძველზე გამოაქვეყნა არაერთი ძველი ტექსტი.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ წლებში ათონს კვლავ ნახულობდნენ ქართველი პილიგრიმები, იქ კვლავ ამრავლებდნენ ხელნაწერებს ქართველი მწიგნობრები.

1899 წლის ივნის-ივლისში ათონზე იყო პეტრე კონჭოშვილი (1836—1909), რომელმაც ვრცლად აღწერა ივირონი, ყურადღება დაუთმო ახალ სავანეს — იოანე ღვთისმეტყველის სახელზე აგებულ ტაძარსა და იქაურ მოღვაწეებს. მან ჩაიწერა გადმოცემები ათონზე, მოგვაწოდა ცნობები ათონის ადრინდელ ისტორიაზე, ქართველ ქტიტორთა და მწიგნობართა საქმიანობაზე, იქაურ წიგნსაცავზე, გამოთქვა გულისწყრომა ბერძენთა ძალმომრეობის გამო („ყოველგან მოესპოთ ნიშნები და კვალნი ქართველთა მამათა აქ მოღვაწეობისა", „მაგიერ ჩვენის დიდებულის სასახლის თორნიკისა მისჩანან ახლა ნიკიფორე, ბერძენთა კეისარი").

პ. კონჭოშვილის ათონზე ყოფნისა და მომდევნო პერიოდში იოანე ღვთისმეტყველის სავანეში ნაყოფიერად მუშაობდა და გადმოგვიწერა მრავლობით ხელნაწერებს ალექსი ბაქრაძე. იღბალ გამან იქვე ამზადებდნენ ახალ ნუსხებს ილია ფანცულაია, პიმენ ასათიანი და სხვ. პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის შემდეგ ქართველი მოღვაწენი იოანე ღვთისმეტყველის სავანიდანაც გამოაძევეს.

1931 წელს ათონის სიძველენი გაიცნო, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია საფუძვლიანად შეისწავლა და ვრცლად აღწერა ამერიკელმა ქართველოლოგმა, პროფესორმა რობერტ ბლეიქმა (1886—1950), რომელმაც თავისი კატალოგი ფრანგულად დაბეჭდა პარიზში. ამ კატალოგის გამოქვეყნება ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენს კულტურულ-მეცნიერულ ცხოვრებაში — გამოვლინდა არაერთი მთარგმნელი და კალიგრაფი, ცნობილი გახდა ბევრი ძვირფასი ხელნაწერი.

1972 წელს საბერძნეთის მთავრობამ გააუქმა ათონის მთის ათასწლოვანი ავტონომია და იგი თავის ინტერესებს დაუმორჩილა. რამდენიმე წლის შემდეგ — საბერძნეთში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემდეგ — ათონი კვლავ ავტონომიურ სამონასტრო რესპუბლიკად იქცა.

უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირისა და საბერძნეთის შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა, რის შედეგად ქართველ და ბერძენ მოღვაწეთა მეცნიერულ-ლიტერატურული თანამშრომლობის კონტურებიც მოიხაზა. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ათონის ივერთა მონასტრის ქართულ სიძველეთა შესასწავლად.

1977 წელს საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის კინოექსპედიციამ (რეჟისორი გურამ პატარაია, ოპერატორი არჩილ ინოფრიშვილი) გაიცნო ათონის ქართული სიძველენი და გადაიღო სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, რომლითაც ქართველმა საზოგადოებრიობამ ნათლად გაიგო, თუ რა ურიცხვი საგანძური ინახება ათონის მთაზე.

1979 წელს ათონს ეწვია პროფესორი ალექსანდრე ალექსიძე, რომელმაც ბერძენ კოლეგებთან ერთად განიხილა ქართულ ხელნაწერთა საფუძვლიანი შესწავლისა და მიკროფილმირების შესაძლებლობანი. მანვე მოგვცა ივირონის მოკლე აღწერილობა, რომელსაც ვთარგი ბიბლიოგრაფიული ცნობას, შემოკლებული სახით აქვე ვიმოწმებთ: „საუკუნეთა მანძილზე მტერთაგან დაცვის საჭიროებამ ივერთა მონასტერი გარეგნულად ციხესიმაგრეს დაამსგავსა. პირველი, რასაც ხედავთ ივირონთან მიახლოებისას, არის ნავსადგურთან აღმართული საგუშაგო კოშკის და სათოფურებიანი ნაგებობის ნანგრევები.

ივირონის ციტადელი ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ოთხკუთხედი გალავანი მის კედლებში მოთავსებული ოთახებითა და სენაკებით, გარედან გადმოკიდებული, ვაზის ფოთლებით დაჩრდილული აივნებით. გალავნის შიგნით, მწვანე ბაღებით დაფარულ ფართო ეზოში განლაგებულია მთავარი ნაგებობანი, მათ შორის ფუძემდებელთადროინდელი ღვთისმშობლის მიძინებისა და იოანე ნათლისმცემლის ტაძრები, XVI საუკუნეში ქაიხოსრო და მზეჭაბუკ ჯაყელების მიერ აგებული პატარა ეკლესია ღვთისმშობლის ცნობილი ხატისათვის.

არქიტექტურა, განსაკუთრებით ცენტრალური, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა მეტად ეკლექტურია, დამძიმებული სხვადასხვა სტილის და ესთეტიკური მოტივით ნაკარნახევი, მიშენებული და დაშენებული ნაწილებით.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი გარდაქმნებისა, პროფესიული არქიტექტურული ანალიზის შედეგად უთუოდ შესაძლოა ნაგებო-

ბათა პირვანდელი გეგმის, ადრინდელი ფენებისა და დეტალების გამოვლენა. ასეთი ელემენტები უთუოდ მოჩანს ორივე ტაძრის მოზაიკაში, კედლის ჩუქურთმებიან ფილებში, მარმარილოს სვეტთა ორნამენტებში".

უკანასკნელ წლებში ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და შესწავლას. რესპუბლიკაში გაშლილი მრავალმხრივი მუშაობა და ჩვენი წარსულით საერთო-სახალხო დაინტერესება გვიმტკიცებს რწმენას, რომ ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების, კერძოდ, ათონის ივერთა მონასტრის სიძველეებზე ზრუნვა და მისი შესწავლა საპატიო ადგილს დაიჭერს ქართველი სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოებრიობის საქმიანობაში. ივირონის, — ამ უდიდესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მწიგნობრულ-ლიტერატურული კერის, — კომპლექსური შესწავლა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. ვიმედოვნებთ, ათონის ქართული საგანძის ხელნაწერთა კოლექცია, რომლის მიკროფილმები ახლახან მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, დიდად შეუწყობს ხელს ამ ამოცანის გადაჭრას.

ლევან მენაბდე

ქართული კულტურის კერა ათონზე 3
Очаг грузинской культуры на Афоне 30
Seat of Georgian Culture on Athos 57

In 1977 a filming expedition (director: G. Pataraia, cameraman: L. Onoprishvili) of the Georgian Television Film Studio visited Mount Athos and made a TV documentary film of its Georgian antiquities, clearly showing the Georgian public the national treasure-house preserved on the mountain.

Recently the state and political situation in Greece has changed and the relations between our two countries have improved. Antecedents have been created for the cooperation of Greek and Soviet researchers. Steps have been taken towards studying the Georgian antiquities of the Iviron monastery on Mount Athos.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

## XXII.

უკვე ნაშუადღევის ორი საათი იყო, როცა კარიადან ფეხით გავუდექი გზას ივერიონის მონასტრისაკენ. წავედი არა საავტომობილო უასფალტო შარაგზით, არამედ ბილიკით, რომ გზაში წაბლი შემეგროვებინა, თუმცა ეს მეტად ადვილი საქმე გამოდგა, ვინაიდან - გავმორდი თუ არა კარიეხის ავტობუსის სადგომ მოედანს - იქვე ახლოს უკვე სავსე იყო ბილიკი ჩამოცვენილი წაბლებით. ავკრიფე დაახლოებით ერთი გირვანქა, ჩავიყარე ჩანთაში, გავუდექი გზას. მაგრამ წაბლი ისეთი გემრიელი არ გამოდგა, როგორც ამას ჩვენ მიჩვეული ვართ საქართველოში, რაც იმას არ ნიშნავს, რომ ათონის მთაზე უფრო ნაკლები ხარისხის წაბლი იყოს. ჩემს მიერ აკრეფილი წაბლი, ალბათ, დიდი ხანი ეყარა უკვე მიწაზე და, შეიძლება, გემოც დაკარგა, მით უმეტეს, რომ - როგორც ათონის მთაზე მითხრეს - ჩემს იქ მისვლამდე სამი დღით ადრე, დიდ წვიმებს ჰქონია ადგილი, რამაც, ალბათ, მიწაზე დაცვენილ წაბლსაც დაუკარგა გემო.

დაახლოებით ნახევარი საათის სვლის შემდეგ, რომლის დროს გზის ნაპირიდან რამდენიმე დანგრეულ-გაპარტახებული ეზო-ეკლესია, მაგრამ ამავე დროს, კარგად მოვლილი სახლები და სამლოცველოები დავინახე, დავისვენე ერთ გამვლელთათვის სპეციალურად დადგმულ სკამზე, რომლის კუთხეში ხილი - ვაშლი, ქლიავი და წაბლი ეწყო, გასაგებია, გამვლელ-დამსვენებლებისათვის, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ გამვლელ-გამომვლელთა რიცხვი თითო-ოროლა პირით თუ განისაზღვრება. დავაწყვე ჩემი ბარგი ამ გრძელი სკამის მისაყრდენზე; გავამზადე ჩემი ფოტოაპარატი და მაგნეტოფონი ამ გზისმოსახვევთან მშვენივრად განლაგებული სკამის, ჭიშკარის ოპტიკურ-აკუსტიკური აღბეჭდვისათვის. გზიდან ჭისკრის მიღმა, ეშვებოდა ზეგანი, რომლის შუაში, დაახლოებით 30 მეტრით დაშორებით ჭიშკრიდან, დგას დიდი ნალიას ფორმის სახლი, რომლის ერთ მხარეს მოსჩანს გუმბათის-მსგავსი ამაღლებული სამლოცველო-თავზე ჯვარით. ამ სახლის წინ დავინახე ერთი ბერი, რომელსაც შორიდან, დამახების გარეშე, მივესალმე, და საპასუხოთ მანაც მომესალმა,და შემდეგ მიიმალა სახლის სარდაფში. ჩემს უბის წიგნაკში, ყველაფერი ეს ჩავიწერე სტენოგრაფიული სტილით, გადავიღე ფოტოსურათები და ჩემს მაგნეტოფონის ფირზე წავიწერე შემდეგი:

(ფირი...."ივერიონის"გზაზე...)

ამ მშვენირ ადგილზე დასვენების შემდეგ, საიდანაც კარგად მოსჩანს "ივერიონის" მონასტრის გარემო, ზღვის ოდნავ შემოწეული უბით, ისევ ავიკიდე ჩემი ბარგი და გავუდექი გზას, რომლის დროს ზოგჯერ მომესმოდა შორიდან მამლის ყივილი, რაც იმას მოწმობს, რომ ათონის მთაზე, აქა-იქ, უკვე ჰყავდათ ქათმები, რაც ჩემი პირველი და მეორე მოგზაურობის დროს ათონის მთაზე, ე.ი.1967-სა და 1981 წელს არ შემიმჩნევია.

XXIII.

მივედი კარიედან მიმავალი გზის იმ ადგილავს, სადაც გზაჯვარედინია: ერთი გზა მიდის სტავრონიკიტას მონასტრისაკენ, მარცხნივ, ხოლო მეორე გზა, უფრო ფართე, მიემართება ჩვენი ივერიონის მონასტრი-

საკენ. რა თქმა უნდა, მე აქაც შევჩერდი, გადავავლე თვალი ამ გზაჯვარედინიდან თვალწამრტაც ბუნებასა და მონასტერ სტავრონიკიტას ციხე-სიმაგრის-მსგავს, ცაში აშოლტილ "გუმბათს" და გავნაგრძე გზა ივერიონისაკენ, მაგრამ არა საავტომობილო უასფალტო შარაგზით, არამედ ამ გზის მარჯვნივ განლაგებული ბილიკით, რომელიც ისე დაკლაკნილი და ძნელად სავალი გამოდგა, რომ უკან დაბრუნებაზეც კი ვიფიქრე, რომ ისევ შარაგზით მივსულიყავი ივერიონში, მაგრამ "სიძნელეების" გადალახვისა და "უცნობის" განცდის სურვილმა დამძლია და "ალპინისტური" სიძნელეების გადალახვის შემდეგ, ოფლში გაწურული მივადექი ივერიონის მონასტრის გარე მდგომ რამდენიმე ნაგებობას    ათონის მთის მხრიდან, საიდანაც უკვე გამოჩნდა ივერიონის მონასტერიც და მის იქეთ ეგეის ზღვის სანაპიროც. ამ გზა-ბილიკის კუთხიდან, რა თქმა უნდა, ისევ გადავიღე ფოტოსურათები, ერთი ვაშლიც კი მოვწყვიტე იქვე მდგომ ერთი ვაშლის სისაგან,რომელიც, თუ არა ვცდები, ერთ დროს,ალბათ, "ველური ვაშლი" იყო, ვინაიდან ნაყოფს        არასასიამოვნო გემო ჰქონდა. აქ უკვე დასვენების სურვილი გადალახა ცნობისმოყვარეობის სურვილმა, და ასე მივადექი ივერიონის მონასტრის მთავარ სვეტებიან ფასადს, რომლის მარცხენა სვეტებს-შუა განლაგებულია მონასტერში          მთავარი და ერთადერთი შესასვლელი, სადაც ყოველთვის ერთი ბერი "მეჭიშკრე" - დგას.

ივერიონის მონასტრის ამ სვეტებიანი ფასადის გასწვრივ,შიგნით, განლაგებულია გრძელი ქვის სკამი, რომელზედაც უკვე ეწყო რამდენიმე მლოცველი-სტუმარის ბარგი, და მეც ერთ ადგილას დავაწყვე ჩემი ბარგი; მოვამზადე ფოტოაპარატი და მაგნეტოფონი და შევედი მონასტრის ეზოში, რომლის დროს, გასაგებია, მივესალმე "მეჭიშკრე" ბერს, რომელიც ისე გართული იყო მეორე ბერთან საუბრით,რომ არც კი შემოუხედავს ჩემთვის, თუმცა მე მაინც განზრახული არ მქონდა მეთქვა მისთვის, რომ მე ქართველი ვარ.

შევედი მონასტრის ეზოში და, როგორც ჩემი პირველი, და მეორე ყოფნის დროს ივერიონში, მივედი მთავარი ეკლესიის "კათოლიკონის"

მარცხენა შესასვლელთან, სადაც მეგულვებოდა ქართული ხატი, რომელიც, როცა პირველად ვიყავი ივერიონის მონასტერში და ივერიონის ბიბლიოთეკის გამგეს ვუთხარი, რომ ქართველი ვარ მეთქი, მიმიყვანა ამ ხატთან და მითხრა ამ ხატს აქვს ქართული წარწერაო. ეს იყო 1967 წლის იანვარში. მეორეჯერ, როცა ისევ ივერიონს ვესტუმრე, ეს იყო 1981 წლის სექტემბერში, მაშინაც პირველად ამ ხატთან მივედი, და ახლაც, როცა მესამეჯერ მივედი ივერიონში - 1983 წლის ოქტომბერში - მიუახლოვედი ამ პატარა ფორმატის ხატს, რომელიც, როგორც ავღნიშნე, ივერიონის მთავარი ეკლესიის შესასვლელთანაა ყველასათვის კარგად დასანახავ დასვენებული, და ისევ წავიკითხე ამ ხატის წარწერა:

"დედა ღვთისა იესო ქრისტე წიუ იოანე ნათლი მც."

ესე-იგი,"დედა ღვთისა   იესო ქრისტე წმინდა იოანე ნათლისმცემელი", რაც,გასაგებია, გამოხატულია ამ ხატზე. მაგრამ მარტო ეს როდის მიუთითებს დღეს ივერიონის     მონასტრის ქართულ საწყისებზე?!!..
ივერიონის მონასტრის მთავარი შესასვლელი, რომელზედაც მე გელაპარაკეთ, ამ მონასტრის თავისებური"მუზეუმია", ვინაიდან ამ ფართე და დაახლოებით ოცი მეტრისა და ათი მეტრის სიგანის მაღალი შესასვლელის კედლებზე მრავალი ხატი-სურათი-დიაგრამის-მსგავსი გამოხატულებაა გამოფენილი, რომლებიც აღიარებენ ამ მონასტრის ქართულ რაობას, თუმცა ის დღეს სრულიად ბერძენი ბერების ხელშია.
შესასვლელის მარცხენა მხარეს, მაგალითად, მონასტერში შესვლისას, გამოფენილია დიდი ფორმატის ხატი, რომელზედაც გამოსახულია  იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, რომელთაგან შუაშია ივერიონის მონასტრის დამაარსებელი იოანე მთაწმინდელი და ხელში უჭირავს ამ მონასტრის მაშინდელი მთავარი ეკლესიის მაკეტი. ამ ხატის გვერდით, მარჯვნივ გამოფენილია დიდი ფორმატის ხატი, რომელზედაც გამოსახულია ფონზე მთელი ათონის მთა "ივერიონის", მონასტრის მხრიდან, ზღვის პორიზონტზე; წინაპლანზე კი მოსჩანს ღვთისმშობლის სასწაულმომქმედი ხატი, ზღვის ზედაპირზე, ზომელიც გაშუქებულია ზეციდან დაშვებული

სვეცისფორმის სხივით, ხოლო ხატის წინ დგას დაჩოქილი ბერი ზღვის ზედაპირზე.

("კავკასიონი",1964,ნომ.IX.):

ბერი ათანასე მოგვითხრობს ლეგენდას სასწაულმოქმედ ღვთისმშობლის ხატის შესახებ. ამ ხატს ბერძნები უწოდებენ: პორტაიტისა-ს, ე. ი. კარის ღვთისმშობლის ხატი. ეს პორტაიტისა დიდად ცნობილი ხატია; მისი თავგადასავალი აღწერილია ათონის წიგნებში; იგი აღწერა ტიმოთე გაბაშვილმაც თავის „მიმოსლვა"-ში; ფრანგმა მოგზაურმა რანდოლ კოალმა და ბევრმა სხვამაც. დაახლოებით ყველა ერთსა და იმავე ლეგენდას მოგვითხრობს:

ბიზანტიის იმპერატორ თეოფილეს დროს (829—842) ატყდა დიდი დავა ხატის თაყვანისმცემელთა და ხატის მოწინააღმდეგეთა შორის. ესენი ხატებს უარსა ჰყოფდნენ. იტაცებდნენ, სწვავდნენ, ვითარცა კერპთთაყვანისმცემლობის ნიშანს. მათ მიემხრო თვით იმპერატორიც და ბრძოლა დიდად გამწვავდა. მეფის ერთი მოხელე ქალაქ ნიკეაში, შესულა ერთი დედაკაცის ბინაში ხატის წასაღებად; მოხელეს გადამალული ღვთისმშობლის ხატი აღმოუჩენია და გაჯავრებულს ხატისათვის ხმალი დაურტყამს. ნახმალევზე ხატს სისხლი გამოსვლია. ამ სანახაობით შეშინებული მოხელე გიჟივით გაქცეულა, ხოლო შეშინებულ დედაკაცს ეს ხატი ზღვაში გადაუგდია. ზღვის ზვირთებს ეს ხატი მიუცურებია ათონის მთასთან ახლოს. ღამღამობით ხატზე ზეცით შუქი ანათებდა ხოლმე. წმიდა მამებს გადაუწყვეტიათ ამ უცნაური ხატის გამოტანა და ნავით მისულან, მაგრამ ყოველი მიახლოვებისას, ხატი მათ შორდებოდა და იგი ტალღებს შორის მიჰქროდა. ამის გამო ბერები დიდად შეწუხებული ყოფილან. მაგრამ ერთ დღეს მათ მოესმათ ხმა ციდან: ხატის გამოყვანის ღირსი არისო მხოლოდ ქართველი ბერი გაბრიელი. ბერები მივიდნენ ქართველთა მონასტერში და იკითხეს ბერი გაბრიელი. იგი მონასტერში არ აღმოჩნდა. ძებნის შემდეგ მიაკვლიეს: იგი თურმე დაყუდებული ბერი ყოფილა მიყრუებულ ადგილზე, მთაში.

გაბრიელ ბერს აუხსნეს საქმის ვითარება, მაგრამ მან ნავში ჩაჯდომაზე უარი განაცხადა; იგი ფეხით გაეიდა ზღვაზე და ხატი მას მიუახლოვდა. შემდეგ ეს ხატი დაასვენეს ქართულ მონასტერში, „ივერიონ"-ში.

ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით, აშოთან მუხრანბატონს აუშენებია ამ ხატისათვის მონასტრის კართან გუმბათიანი პატარა ეკლესია, სადაც ეს ხატი დაუსვენებიათ. აქედან არის მისი ბერძნული სახელი პორტაიტისა, ანუ კარისა. როგორც იქვე ტიმოთე გაბაშვილი ამბობს, ყვარყვარე ათაბაგს ეს ხატი მოუჭედინებია და მდიდრულად შეუმკვია.

ივერიონის მონასტრის მთავარი შესასვლელის მარჯვენა კედელზეც გამოფენილია სხვა ხატებიც, რომლებიც მოგვითხრობენ ამ დიდი მონასტრის წარსულზე, რომელთა ცენტრში, გასაგებია, ყოველთვის დგას ღვთისმშობელი, როგორც ათონის წმინდა მთის მფარველი .

შევედი რა ივერიონის მონასტრის ეზოში, მარჯვენა მხარეს, ბიბლიოთეკის ქვის მასიური ერთსართულიანი შენობის წინ, სკამთან, დავინახე ივერიონის მონასტრის ბიბლიოთეკარი, რომელიც ესაუბრებოდა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ერთ ინგლისელ პროფესორს, რომელსაც

ერთი ბერძენი თარჯიმანი თანახლდა, და საუბრობდენ ივერიონის მონასტრის შესახებ. მეც მივეკედლე მათ, და შეყვევი ბიბლიოთეკაში, რომელიც ბიბლიოთეკარმა გააღო და,ახსნა-განმარტებით, სტუმრებს შეუძღვა. როგორც ბიბლიოთეკარის შემოხედვით ვიგრძენი, მას მაინცდამაინც არ ესიამოვნა ჩემი მათთან მიკედლება, მაგრამ არაფერი არ უთქვამს, და განაგრძო ბიბლიოთეკის ხელნაწერების, ძველი წიგნების, და სხვა განძეულობის სიმდიდრეზე ლაპარაკი, რომლის დროს მრავალ ექსპონატზედაც მიუთითა, რომლებიც უკვე მაგიდისებურ· ვიტრინებშია გამოფენილი. საყურადღებოა, რომ ბიბლიოთეკარი, მართალია, ხაზგასმით ამბობდა, რომ ივერიონის, ანუ "ივირონის" მონასტერი ქართველთა,ე.ი.ივერთა მიერ იქნა დაარსებული და ამავე დროს მოიხსენა ივერიონის მონასტრის დამაარსებელნი და მოღვაწენი იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები,მაგრამ მე არ დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ინგლისელ პროფესორს გაეგებოდა თუ ვინ უნდა ყოფილიყვენ ეს "ივირონელები". ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდეგ, ბიბლიოთეკარმა ინგლისელ სტუმარს დაათვალიერებინა მონასტრის დიდი სასადილო დარბაზი, რომელიც სამრეკლოს უკანაა. მაგრამ, როცა დიდი გასაღებით ეს სასა დილო დარბაზის მთავარი კარები გააღო, მე შიგ არ შემიშვა და კარები ისევ მიხურა. ეს მე არ გამკვირებია, ვინაიდან მე მისთვის არ მითქვამს ჩემი ვინაობა. ვინაობის ბიბლიოთეკარისათვის ცნობება ჩვეულებრივი მოვლენაა, და,ალბათ, იმიტომ არ მიმიღო მის ჯგუფში, რომ - ჯერ ერთი - ეს ინგლისელი განცალკავებული სტუმარი იყო, და - მეორე - მე ჩემი ვინაობა მას არ ვაც-

ნოზე. დავრჩი რა გარეთ ივერიონის მონასტრის ეზოში, ჩემი ფოტოაპარატით გადავიღე ეზოს ყოველი ნაგებობა თუ კუთხე, და ამავე დროს ჩავწერე ჩემი შთაბეჭდილებები მაგნეტოფონის ფირზე:

(ფირი............)

ამასობაში ბიბლიოთეკარი და მისი ინგლისელი სტუმარი თარჯიმანითურთ, გამოვიდნენ სასადილო დარბაზიდან და შემდეგ დაემშვიდობნენ ერთმანეთს. მეც იქვე ვიდექი ახლოს, და ბიბლიოთეკარი, თითქოს ბოდიშს იხდისო, მოვიდან ჩემთან და მკითხა თუ ვინ ვარ მე. როდესაც ვუპასუხე, რომ მე ქართველი ვარ მეთქი, ის შეცბა, და კიდევ შემეკითხა,თითქოს არ დაიჯერა ჩემი პასუხი; და როდესაც იგივე პასუხი მიიღო, ეს ადამიანი სრულიად შეიცვალა, ხელი გადამხვია და იქვე მდგომ სხვა ბერებს უთხრა, რომ ეს არის "ივირონელიო". მკითხა საიდან მივედი, რამდენხანს ვრჩები და როცა უთხარი, რომ ხვალ ისევ მინდა წავიდე მეთქი, მან მთხოვა კიდევ ერთი დღე დავრჩენილიყავი, რომ ყველაფერი კარგად დამეთვალიერებინა. მანვე წამიყვანა სასტუმროში და მონასტრის სასტუმროს უფროს ჩააბარა ჩემი თავი, რომ ჯერ დავბინავებულიყავი, და შემდეგ ისევ მასთან მივსულიყავი მონასტრის დათვალიერების მიზნით.

მონასტრის სასტუმროსა და სასადილოს უფროსმა-ბერმა ჯერ მომართვა ყავა ტკბილეულით, და შემდეგ წამიყვანა არა მლოცველებისათვის საერთოდ განკუთვნილ ოთახებში, არამედ,ასე ვთქვათ,"საპატიო სტუმრების" ოთახში, რომელიც მეტად სუფთად და განსაკუთრებული სიფაქიზითაა მოწყობილი. როცა ოთახში შევედი და მარჯვნივ ღუმელი დავინახე, ვიცანი ის ოთახი, რომელშიც ღამე გავათიე 1967 წლის იანვარში, როცა პირველად ვეწვიე ივერიონის მონასტერს, მაგრამ ეს მე ბერისათვის არ მითქვამს. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ეს სასტუმროს ბერი შემეკითხა თუ ვიცნობ"ავთანდილს", რომელიც კარგად ლაპარაკობს ბერძნულსო. მე ვიფიქრე,ალბათ, ეს "ავთანდილი" ისაა, რომელზედაც სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორე ილაპარაკა თავის ქადაგებაში, პარიზში, წმინდა ნინოს ქართულ ტაძარში, 1980 წლის 10 თებერვალს, ქადაგებისას, როცა თქვა ორი ქართველი სწავლობს ღვთისმეტყველებას ათენის უნივერსიტეტში და ერთი მათგანის სახელი და გვარი "ავთანდილ მიქაბერიძეაო". შემდეგ ავთანდილ მიქაბერიძეზე დიდი წერილი წავიკითხე გაზეთ "სამშობლოში", რომელიც თბილისში გამოდის; და როცა ყველაფერი ეს ელვისსისწრაფით თავში გამიარა, ამ ბერძენ ბერს ვუთხარი, რომ მე ვიცნობ ავთანილს მეთქი, რაც მან ისე გაიგო, რომ თითქოს მე პირადათ ვიცნობ მას, რაც სიმართლე არ არის. ამ ბერძენ ბერს ეს ვერ გავაგებინე - ენის უცოდინარობის გამო - და ასე დავრჩი მე მისთვის "ავთანდილის მეგობარი", რითაც მან ჩემდამი პატივისცემა კიდევ უფრო გააძლიერა, როცა მითხრა, რომ მე ყოველთვის შემიძლია მივიდე სასადილოში თუ მშია ან მწყურია, რომ ის ყოველთვის იქ არის და თუ მივალ, მას ყოველთვის გაუხარდება.

დავბინავდი რა სასტუმროში, გამოვედი ისევ ივერიონის მონასტრის ეზოში და მივედი ღვთისმშობლის სასწაულმომქმედი ხატის ეკლესიასთან. აქ, ამ ეკლესიის შესასვლელთან-მდებარე დარბაზში, მრავალი ბერი იჯდენ, და როცა ეკლესიის კარებს აღებდა ამ სასწაულმომქმედი ხატის მომვლელი, ერთმა ბერმა მითხრა, რომ მას მე ვახსოვარ, როცა აქ ვიყავი თითქმის ოცი წლის წინათ და როცა მე ვუპასუხე, რომ მე აქ ვარ უკვე მესამეჯერ მეთქი, მათ ყველას გაუხარდათ. ამასობაში ბერმა გააღო ეკლესიის კარები და ამ პატარა ეკლესიის შუა-აღაგას დავინახე ჩვენი სასწაულმომქმედი ხატი, რომლის გამომეტყველება ჩემში ქართველი დედის შთაბეჭდილებას ქმნის. მივედი ამ ხატთან, გადავიწერე პირჯვარი და მის წინ ავანთე სამი სანთელი, რომლებიც თან წაღებული მქონდა გერმანიიდან, ჩემი გარდაცვლილი მეუღლის, დედ-მამისა და მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ძმის სულის მოსახსენებლად. ჩემთან მდგომი ბერის ყურადღება კი მიიპყრო ჩემი სანთლების წითელმა ფერმა, და მკითხა თუ საიდან მაქვს ეს სანთლები. როცა აუხსენი საქმის მდგომარეობა, მან, ცოტა ნაღვლიანად, თქვა,

რომ ჩვენი           ყველა სანთელი ქარვის ფერისაო"ეს ჩამჩა გულში და გავიფიქრე, როცა გერმანიაში დავბრუნდები სანთლებს გამოვაგზავნი ივერიონში მეთქი. ღვთისმშობლის სასწაულმომქმედი ხატი კი, კიდევ ერთხელ მსურს ხაზგასმით ავღნიშნო, სრულიად "ქართველი დედის", ქართვლის დედის გამოსახულებაა, რაც იმას მოწმობს, რომ ეს ძვირფასეულობით, ოქრო-ვერცხლით შემკული ხატი, უდავოა, ქართველი მხატვრის ნამუშევარი უნდა იყოს, თუმცა უცნობია ვისი!..

XXIV.

აქვე მსურს შევნიშნო შემდეგი: "ჯვარისა" და"ივერიონის" ქართული მონასტრების დათვალიერებისას,-ვთქვათ, წარწერა შოთა რუსთაველის სურათ-ფრესკა-ხატზე "ჯვარის" მონასტერში იერუსალიმში თუ მე-10 საუკუნის "ბიბლია"-ხელნაწერი"ივერიონის"მონასტერში,- გული მომივიდა ჩემს თავზე, რომ ყველა ქართული ანბანი, გარდა მხედრულისა, არ ვიცი. და აქ მომაგონდა ერთი ამბავი, რომელიც, მგონია, წავიკითხე რომელიმე ქართულ ჟურნალში: ერთ ქართველს, ქართული ეკლესიის დათვალიერებისას კედელზე შეუნიშნავს ერთი წარწერა, ვერ წაუკითხავს, და ამავე ჯგუფში მყოფ აკაკი შანიძისათვის უკითხავს, თუ რა წერია აქ ამ კედელზეო. აკაკის უპასუხია:"აქ წერია, რომ შეარცხვინე ის ქართველი, რომელმაც ვერ წამიკითხოსო!" სამწუხაროა,მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარ"შერცხვენილ" ქართველთა, არც ისე მცირე ჯგუფს ვეკუთვნი მეც.   ვითომ დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული, რომ სკოლაში ყველა ქართული ანბანი მესწავლა?.. ეს ხომ სრულიად ადვილი საქმეა ბავშვობისას, ხოლო შემდეგ ვის აქვს იმდენი დრო, რომ ისევ ანბანის სწავლა დაიწყოს?!.. სხვათა შორის, ბევრი სიძნელეები შემხვდა ცხოვრებაში არა მარტო ყველა ქართული ანბანის უცოდინარობის გამო, რაც ქართველისათვის სამარცხვინოდ მიმაჩნია, არამედ "ძველი ენების", პირველ ყოვლისა, ბერძნულისა და ლათინურის საფუძვლების უცოდინარობის გამოც. საქართველო, ქართველი ერი ხომ ელინისტურ-ევროპული სამყაროს პირმშო შვილია, და განა ჩვენში ასე მივიწყებული უნდა იყოს ბერძნულის, ლათინურის თუ ინგლისურ-ფრანგულის სწავლა, რომ მხოლოდ შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში შესაძლებელი იყოს     ამ ენების სწავლა?..

## XXV.

სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატის მოლოცვის შემდეგ, შევედი ივერიონის მონასტრის მთავარ ეკლესიაში - კათოლიკონში -,სადაც წირვა მიმდინარეობდა. მეც დავიკავე ადგილი ერთ ბერსა და ერთ სამოქალაქო მლოცველს შორის კედლის გასწვრივ ხის გადატიხრულ სადგომში. წირვა ბერძნულად ისე მრავალფეროვანი, მელოდიური არ არის, როგორც, ვთქვათ, ქართული წირვა-ლოცვა ჩვენი შესანიშნავი გალობებით. აი, ჩავრთოთ ჩვენი მაგნეტოფონი, რომლითაც ჩავწერე გალობა ივერიონის ქართული მონასტრის მთავარ ეკლესიაში, 1983 წლის 4-ს ოქტომბერს, ნაშუადღევის 5-თ საათზე:

<u>(წირვა "ივერიონის" კათოლიკონში...)</u>

წირვა, საერთოდ, მონასტრებში დიდხანს გრძელდება, და მე გადავიწერე პირჯვარი, გამოვედი ეკლესიიდან და წავედი მონასტრის მთავარ ჭიშკრისაკენ, რომ საღამოს-ჟამს გარედან დამეთვალიერებინა ეს ჩვენი მონასტერი. მაგრამ ჩემი ეს სურვილი ვერ განვახორციელე,ვინაიდან "მზის ჩასვლისას" მონასტრის მთავარ ჭიშკარს-კარს კეტავს მონასტრის მეკარე, რომელსაც ღამე იქვე სძინავს,გვერდზე, ოთახში. ამის შემდეგ არავის არ შეუძლია მონასტრიდან გასვლა და მონასტერში შემოსვლა. თუ ვინმე გარეთ დარჩა და ისევ მონასტერში შემოსვლა სურს, ეს ძნელია, მაგრამ - საბოლოო ჯამში - შესაძლებელია ჭიშკრის ისევ-გაღება, რომ კაცი გარეთ არ დარჩეს. მაგრამ ასეთიშემთხვევამეტად იშვიათია.

ამის შემდეგ წავედი მონასტრის სასტუმრო-ოთახებისაკენ, რომელიც პირველ სართულზე(ქართულად მეორე სართული), რომლის გვერდით რამდენიმე სასადილო ოთახია. ვინაიდან "ივერიონის" მონასტერი "იდიორითმულია", ე.ი. ბერები ვალდებული არ არიან ყველამ ერთად ჭამონ ვახშამი,როგორც ეს "კოინობიტურ" მონასტრებშია, - სასადილო ოთახში მხოლოდ მლოცველები იყვნენ,რომელთაც გვემსახურებოდათ ორი ბერი. ივერიონის მონასტრის ბერების უმრავლესობა კი თავიანთ საკნებში სადილობენ თუ ვახშმობენ, ხოლო ამავე დროს, თუ მათ სურთ, შეუძლიათ სასადილოშიც მოსვლა.

სადილ-ვახშამი,-უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით,"ვახშამი",ვინაიდან

მონასტრებში უფრო ორჯერ(საუზმე-ვახშამი),ვიდრე სამჯერ ჭამენ, - მეტად უბრალოა: 1983 წლის 4 ოქტომბერს საღამოს,მაგალითად, მოგვართვეს ბერებმა ცივად გაკეთებული ბადრიჯანი, მწვანე შავი ზეთის ხილი, ერთი ნაჭერი პური და წყალი.თუ ვინმეს ეს საჭმელი არ ეყოფა, შეუძლია კიდევ მოითხოვოს, რასაც ბერები უსიტყვოთ იძლევიან. როგორც სასმელ-საჭმელი, ისევე ღამის გათევა ათონის მწინდა მთის მონასტრებში უფასოა. ეს ძველთაძველი ტრადიცია შემონახულია დღემდე, თუმცა, როგორც მლოცველთა რაოდენობას დავაკვირდი(ამ საღამოს ვიყავით ივერიონის მონასტერში,თით-ქმის, ოცდა-ათ მლოცველამდე) ეს მცირე ხარჯი არ უნდა იყოს. მაგრამ ისიც მითხრეს, რომ ათონის მთის მონასტრები არ შეიძლება ჩაითვალონ "ღარიბად", ვინაიდან მთელი ათონის მთის ეკონომიკური ათვისება - ხე-ტყე, მამულები - მათ ხელშია, ხოლო ზოგიერთ მონასტერს ათონის წმინდა მთის გარედაც ჰქონიათ ქონება(სასტუმროები თუ სხვა სახის შე-მოსავალი), რაც, როგორც ჩანს, იმდენ შესაძლებლობას მაინც აძლევს ამ მონასტერზს, რომ მლოცველებს უფასოდ გაათევიონ ღამე და მიაწოდონ არც ისე უხვი სასმელ-საჭმელი. აქვე მ სურს შევნიშნო აგრეთვე, რომ ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქში - კარიაში - 1967 წლის იანვარში, როცა პირველად მოვედი აქ, არც რესტორანი და არც ჰოტელი არ იყო. ღამის გათევა და სასმელ-საჭმლის მიღება შეიძლებოდა მხოლოდდამხოლოდ მონასტრებში. 1981 წლის აგვისტოში კი, როცა მეორეჯერ ვესტუმრე ათონის წმინდა მთას, კარიაში უკვე იყო ერთი რესტორანი,სადაც შეიძლებოდა აგრეთვეღამის გათევაც. მაგრამ აქ მლოცველს უკვე ფული უნდა გადაეხა-და. და ახლა 1983 წლის ოქტომბერში კარიაში უკვე ორი რესტორანია, რომლებშიც მლოცველს შეუძლია საჭმლის ჭამა მეტად "ზომიერ" ფასებში. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ივერიონის მონასტერს:

ვახშამის შემდეგ შევედი ჩემს საწოლ ოთახში, რომელშიც უკვე ბერს ნავთის ლამპა აენთო. საერთოდ, ათონის წმინდა მთაზე ელექტრონის სი-ნათლე არსად არ მინახავს, რაც თავისებურ ატმოსფეროს ქმნის განსა-კუთრებით მონასტრებში. შევნიშნავ აგრეთვე, რომ სასტუმროს დერეფნებში და ოთახებშიც მთელ ღამეს ანთია დაბლა დაწეული ნავთის ლამპები.

ლამპას კიდევ უფრო დავუწიე და ახლა შევნიშნე, რომ ღუმელი გამთბარი იყო, რაც მეტად სასიამოვნო სითბოს ქმნიდა ოთახში, თუმცა 4-ი ოქტომბერი ასე ცივი, ვფიქრობდი, არ უნდა ყოფილიყო.

## XXVI.

5 ოქტომბერი, 1983 წელი, ათონის მთა,მონასტერი ივერიონი:

სანამ დავიძინებდი, სასადილოში ბერს შევეკითხე თუ დილით როდის იწყება მთავარ ეკლესიაში წირვა-ლოცვა, და მითხრეს, რომ დილის ორ საათზეო. მე კი გამომეღვიძა ხუთ საათზე. კიდევ ბნელოდა. ავდექი, პირი გავიპარსე "ბრაუნის ბატარეიანი აპარატით", გამოველი დერეფანში, დავიბანე პირი და მაშინვე გავემართე მაგნეტოფონითურთ მონასტრის მთავარ ეკლესიაში, სადაც უკვე წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა. აი, ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე:

(წირვა ივერიონის მთავარ ტაძარში....)

დაახლოებით, საათ-ნახევარი გავიდა, როცა ტაძრიდან გამოველი და წავედი ჩემს ოთახში, რომ ფოტო-აპარატი წამომეღო. მივედი რა სასტუმროს კიბესთან, სასადილო-სასტუმროს უფროსმა ბერმა, რომელიც მე აღნიშნული "ავთანდილის" პირად მეგობრად მთვლიდა, დამიძახა, შემიყვანა სასადილო ოთახში და მომართვა ყავა, ტკბილეულობა, შავი ფერის მჟავე ზეთის ხილი და პური, და ამავე დროს მითხრა, რომ საუზმეს მხოლოდ მე მაძლევს, ვინაიდან მლოცველებისათვის საერთოდ საუზმე არ არის გათვალისწინებული, რაც,ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ დილით აქ, ათონის მთაზე, არასოდეს შიმშილი არ მიგრძვნია, რაც, ალბათ, აქაური მარტო ჰავით კი არა, სრულიად უჩვეულო გარემოთი აიხსნება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ თითქოს ვარ "სამყაროში", რომელიც "რეალურ"(თანამედროვე) და "არარეალურ"(ფანტაზიურ თუ რელიგიურ ) სფეროებს შუა მდებარეობს; და ასეთი

შთაბეჭდილება-გრძნობა, როგორც ჩანს, "მავიწყებდა" "ჭამის სიამოვნებას". ვფიქრობ, ასეთია ათონის მთაზე ყველა მლოცველთა განწყობილება, ვინაიდან არც მონასტრის სასადილოებში და არც კარიას აღნიშნულ ორ სასადილოში ხმა-ჭამა მეტად "მორიდებული" მომეჩვენა, რომლის დროს სასადილოც თავისებურ "სამლოცველოდ" მომეჩვენა, ისე თავდაჭერილია ყველა მლოცველი.

საუზმის შემდეგ, მადლობა გადავუხადე ჩემს მასპინძელ ბერს, და ფოტო-აპარატითა და მაგნეტოფონით მოვისურვე ფეხით შემომევლო ივერიონის მონასტრის მთელი გალავანისათვის. შემოვლა დავიწყე მონასტრის მთავარი ჭიშკრიდან:

პირველად წავედი ზღვის პირისაკენ მიმავალ ქვაფენილი გზით და მივედი ივერიონის მონასტრის ნავსადგურთან, სადაც ერთი რკინა-ბეტონის არც ისე დიდი მისადგომის გვერდით ხის მორები აწყვია, რომლებიც, როგორც შემდეგ დავინახე, მიჰქონდათ ნავით ან საბარგო ავტომობილით, რომელიც მხოლოდ პირველად 1981 წელს ვნახე ათონის მთაზე, უთუოთ, გასაყიდათ ათონის წმინდა მთის გარეთ. აქ, ამ ხის მორების ნავზე დატვირთვას, ხელმძღვანელობდა ერთი ბერი, რომელსაც გამოველაპარაკე და გამოდგა, რომ რამდენიმე წელიწადი მუშაობდა გერმანიაში, ქალაქ აახენში, სანამ ის ბერად იკურთხებოდა და, ასე თუ ისე, კარგად ლაპარაკობდა გერმანულად. ამ ბერმაც დამიწყო ლაპარაკი "ავთანდილზე", რომელიც, როგორც ავღნიშნე, რამდენიმეჯერ ყოფილა ივერიონის მონასტერში, და, როგორც დავრწმუნდი, მეტად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ივერიონის ბერებზე არა მარტო იმის გამო, რომ მას ბერძნული ენა კარგად ცოდნია.
ამ ბერმაც, ივერიონის მონასტრის ნავსადგურთან, დიდი მოკითხვა დამაბარა ავთანდილთან. როგორც ჩანს, ამ ბერსაც არ ესმის ის გარემოება, რომ გერმანიაში, ემიგრანტად მცხოვრებ ქართველს, არავითარი კავშირი არ აქვს(არც შეუძლია ჰქონდეს) საქართველოში მცხოვრებ აღნიშნულ ავთანდილთან. მაგრამ ქართველთა ამგვარი უმწეო მდგომარეობის გარკვევა არც კი მიცდია, ხოლო ბერძნები - ბერები ისინი თუ საერო პირები - მთელს მსოფლიოშია არიან მიმოფანტულიც და მათთვის ურთიერთ კავშირი,

მიმოსვლა, თვით სამშობლოში საბერძნეთში დაბრუნება და ისევ წასვლა, ესე-იგი, მიმოსვლის თავისუფლება პრობლემა არ არის, და,როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან ქართველები, უცხოეთში ცხოვრობენ ისინი თუ საქართველოში.

არ გამომშვიდობებივარ ამ ბერს, ვინაიდან კიდევ ერთი დღე ვრჩებოდი ივერიონში. ივერიონის მონასტრის ნავსადგურიდან,ზღვის პირით, გავუდექი გზას, რომ - როგორც ავღნიშნე - ფეხით შემომევლო ივერიონის მონასტრის მთელი გალავანისათვის. დაახლოებით, ორასი მეტრის გავლის შემდეგ, ზღვის ნაპირიდან გზა მიდის ათონის მთის ფერდობისაკენ, რომლის მარცხნივ, ჭალაში, ზღვის პირას, განლაგებულია ერთი,ასე ვთქვათ, ბერთა "ოჯახი": სახლი,მიდგმული პატარა სამლოცველოთი, რომელიც ივერიონის მონასტრის გარეთ, დამოუკიდებლად არსებობს, მაგრამ ივერიონის მონასტრის"მფარველობის"ქვეშაა. ეს სახლ-ეკლესია,რომელიც ქართულ ოდა-სახლს წააგავს, შემოღობილია, და შიგ შესვლა ვერ შევძელი, თუმცა იქ, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი პატარა სამლოცველო "ბერთა ოჯახია", რომლისმაგვარი ასე ბევრი მოიპოვება ათონის მთის მრავალ ადგილას. მაგრამ, როგორც ავღნიშნე, ასეთი სამლოცველოები თუ განდეგილთა საკნები - ყველა რომელიმე დიდი მონასტრის მფარველობის ქვეშაა, ხოლო ასეთი დიდი მონასტერი ათონის წმინდა მთაზე მხოლოდ ოცია, რომელთაგან, თავისი დაარსებისა და სიდიდის მიხედვით, ივერიონის მონასტერი მესამეა"მეგისტი ლავრას"="დიდი ლავრას" და "ვატოპედის" შემდეგ. სხვათა შორის, იმ დროს,როცა დიდი ლავრა ათონის წმინდა მთის სამხრეთით, უკიდურეს შორცვზეა განლაგებული, ვატოპედის მონასტერი ათონის წმინდა მთის(ნახევარკუნძულის) აღმოსავლეთ სანაპიროზეა განლაგებული უფრო ახლოს ათონის მთის ნახევარკუნძულის შემაერთებელ ყელთან,რომელიც აერთიანებს ხმელეთთან. ივერიონის მოსნატერი კი ამ ორი უძველესი მონასტრის დაახლოებით შუაში მდებარეობს, ათონის მთის აღმოსავლეთი სანაპიროს, შეიძლება, ყველაზე უფრო მშვენიერ და მდიდარ ადგილას.

ივერიონის მონასტრის ზღვიდან მარცხენა მხარეს, ჩამოდის არც ისე ფართე ღელე, რომელიც მდინარედ იქცევა ხოლმე მხოლოდ დიდი წვიმის დროს, და ახეთი დიდი წვიმა ყოფილა ათონის მთის ამ ნაწილში სამი-ოთხი დღის წინათ, ე.ი.1983 წლის პირველ-ორ ოქტომბერს, რომელსაც, როგორც ივერიონის მონასტრის გალავანთან დავინახე, საშიშროება შეუქმნია თვით ამ გალავანისათვისაც კი, რის გამო აქ უკვე ერთი მოდიდო "ექსკავატორი" იდგა, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ღელეს გაწმენდისა და მისი ნაპირების გამაგრებისათვისაა აქ. ეს ღელე კი ივერიონის მონასტერს უვლის მთის მხრიდან, სადაც ერთი ქვის ხიდია გაყვანილი, რომლითაც მონასტრის მეორე მხარე დაკავშირებულია მთასთან და ზღვის-პირთან, სადაც, როგორც აღვნიშნე, ივერიონის ნავსადგურია. გავჩერდი რა ამ ქვის ხიდზე, აქედან კარგად მოსჩანს მონასტრის უკანა ნაწილი ბაღნარით და ხიდის მეორე მხარეს მთისაკენ ზეთისხილის ხეები და ტყე, რომელიც ჯერ ხშირი, ხოლო,ათონის მთის მწვერვალისაკენ, შემდეგ თან-დათანობით მეჩხრდება; თვით ათონის მთის მწვერვალი კი უხეტყეო კლდეა.

ივერიონის მონასტრის ბოსტანში კი ჩემი ყურადღება მიიპყრო დიდმა ბადრიჯანისა და პამიდორის,შეიძლება ითქვას,"ხეებმა". განსაკუთრე-ბით პამიდორი ისეთი მაღალი იყო,სავსე მწიფე და კუხე ნაყოფით, რომ გამაკვირვა მისმა სიმაღლემ, იმიტომაც, რომ სარზე არ იყო გაკრული. ერთი სიტყვით, ივერიონის მონასტრის ბოსტანი მეტად კარგად მოვლილი და მეტად მრავალფეროვანი ბოსტნეულით იყო სავსე. ქვის ხიდიდან ზღვის პირისაკენ მიმავალი ქვით მოპირკე-თებულ ვიწრო გზის მარცხნივაც ხეხილის ბაღია, მაგრამ არც ისე კარ-გად მოვლილი, ალბათ, იმიტომ, რომ ამდენი ბოსტნეულისა და ხეხი-ლის საჭიროება არ არსებობს. თვით ეს ვიწრო გზა კი დაფარულია "ტა-ლავერით",ე.ი."გადახურულია" ხის სარებზე გაყვანილი ვაზის ლერწებით, რომლებზედაც, აქა-იქ, კიდევ შემორჩენილია მწიფე მტევნები. ყურძენი უკვე მოკრეფილი იყო, და შევეცადე დარჩენილი,ძნელად მისაწვდომი, მტევნების მოკრეფას, და როცა გავშინჯე, აღმოჩნდა, რომ ეს იყო

"ადესას" ყურძენი, რაც, როგორც ჩანს, გავრცელებულია ათონის მთაზედაც.იტალიაში, საბერძნეთში, ლიბანში თუ თვით ისრაელშიც მიყიდია ხოლმე "ადესას" ყურძენი, რაც,უთუოთ, იმას მოწმობს, რომ ამ ჯიშის ვაზი მთელს ახლო აღმოსავლეთშიცაა გავრცელებული.

ერთი          მწევანი "ადესას" ყურძნის მოწყვეტისათვის კი ავხტი მაღლა, მწევანი მოვწყვიტე, მაგრამ ჯიბიდან გადმომივარდა იაპონური "სონის" ფირმის მეტად მცირე ფორმატის, მაგრამ მეტად კარგი, მაგნეტოფონი, რომელიც მოწყდა მიკროფონის მავთულიდან და დაეცა ამ ქვით მოპირკეთებულ გზაზე. "გულის გამისკდა", რომ იტყვიან ხოლმე. თუ მაგნეტოფონი გამიფუჭდა, მაშინ ფირზე ვერ გადავიღებდი ივერიონის ზარების რეკვას, რომელიც დანიშნული იყო დღის სამი საათისათვის სპეციალურად ჩემთვის, როგორც ივერიონის მონასტრის ბიბლიოთეკარმა-ბერმა მითხრა. ავიღე მაგნეტოფონი და გამოდგა, რომ აპარატი გაფუჭებული არ იყო,ვინაიდან ჩაწერილი კასეტის მოსმენა შევძელი. მაგრამ გაწყვეტილი მიკროფონის მავთულის გაკეთება? - დავშალე შესაერთებელი და გამოდგა, რომ მავთული    მიკროფონთან და აპარატთან "შედნობილი" იყო.   როგორც უნდა გამეკეთებია ამ მავთულის ისევ-შედნობა მიკროფონთან და თვით აპარატთან?..

მივედი მონასტრის სასტუმროს ჩემს ოთახში და დავიწყე ფიქრი, თუ როგორ შეიძლებოდა ამ შემაერთებელი მავთულის "შედნობისმაგვარი" შეკეთება!..ყველაფერს უშველა გერმანული ფირმის "უჰუ-ს" საწებავმა, რომელიც,მადლობა   ღმერთს, თან მქონდა, და ამ საწებავითა და "სკოჩის" ფირმის "იზოლატორით" ისე დავაკავშირე ეს მავთული მიკროფონსა და მაგნეტოფონს, რომ ხმის ჩაწერა შესაძლებელი გახდა."ამოვითქვი სული", მაგნეტოფონი დავტოვე ჩემს ოთახში და ისევ გავედი ივერიონის მონასტრის ეზოდან, რომ ლეღვის სურათი გადამეღო, რომელიც მონასტრის შესასვლელთან - მარჯვნივ - დგას·      მიუხედავათ იმისა, რომ ოქტომბრის დასაწყისში ლეღვის სეზონი თითქმის დამთავრებულია - ამ ლეღვზე კიდევ იყო მწიფე და კუხე ლეღვი, ვინაიდან ეს ხე უმთავრე-

სად ჩრდილში დგას. ამასობაში, მონასტრის მუშებიც დაბრუნდენ სამუშაოდან, რომლებიც მოერეკებოდენ ჯორებსა და ვირებს, რომლებიც მიდენეს მონასტრის მთავარ შესასვლელთან განლაგებულ ჩიოს დასალევთან და დაალევინეს წყალი. იქვეა აგრეთვე წყაროსონკანილითონის სასმისით, რომლისგან მეც დავლიე ეს, უთუოთ, მეტად კარგი სასმელი წყალი.

ამგვარად, შემოუარე რა ივერიონის მონასტერს და გადავიღე რა ამ შესანიშნავი ნაგებობისა და გარემოს სურათები, შევედი ისევ ივერიონის მონასტრის ეზოში და დაველოდე სამი საათის მოახლოებას, რომ ივერიონის ზარების რეკვა მაგნეტოფონის ფირზე გადამეღო. მანამდე კიდევ დავიარე მონასტრის ეზო, ისევ შევედი სასწაულმომქმედი ხატის ეკლესიაში, რომლის კარები დაახლოებით ამ დროს იღება ხოლმე, და მაგნეტოფონი, რომელიც ოთახიდან მოვიტანე, გავამზადე გადასაღებად.

დღის სამ საათს გადამორდა 15-ი წუთი და დაიწყო ივერიონის მონასტრის ზარების რეკვის მთელი ცერემონია:
ჯერ გაისმა "სინანდრონ"-ის ხმა: სინანდრონია, დაახლოებით, მეტრნახევარი სიგრძის ორი ერთმანეთზე დაყრდნობილი ხის ვიწყო ფიცარი, რომელთა შუა-ალაგასაა ვიწრო სელმოსაკიდებელი, და ამ ადგილას იჭერს ბერი სინანდრონს, მის მხარზე დადებულს, და ურტყამს მასზე ხის ჩაქუჩს, რომლის - განსაზღვრული რიტმით დარტყმისას, ბერი გარს უვლის მონასტრის მთავარ ტაძარს= კათოლიკონს, და ასე იწვევს მლოცველებს ეკლესიაში წირვაზე. სინანდრონის ხმის ხანგრძლივობა, ამ დღეს, 1983 წლის 5 ოქტომბერს, უდრიდა დაახლოებით ორ-სამ წუთს. შემდეგ "სინანდრონის" ხმა გაისმის სამრეკლოდანაც, სადაც უფრო დიდი და სხვა ჟღერადობის სინანდრონი ზარების გვერდითაა დამაგრებული. აქედანაც,დაახლოებით, ორი-სამი წუთი გაგრძელდა სინანდრონის ხმა, და შემდეგ მრეკველმა დაიწყო ზარების რეკვა. ივერიონის მონასტრის სამრეკლოში სულ არის ცხრა სხვადასხვა სიდიდის ზარი, რომელთაგან ყველაზე უფრო დიდი, უთუოთ, ერთმეტრზე უფრო მეტი დიამეტრისაა. ზარების რეკვა კი,როგორც ჩანს, მრეკველის ხელოვნებაზედაცაა დამოკიდებული.

1967 წლის იანვარში პირველად ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზე

ივერიონის ზარების რეკვა. მაშინ მრეკველი იყო სხვა ბერი; და ახლა, 1983 წლის 5-თ ოქტომბერს, ამ ზარებს, თითქმის, სრულიად სხვა ჟღერადობით უკრავს სხვა ბერი. ზარების რეკვა რომ აქ, ივერიონში, ათონის მთის კალთებზე, დამატყვევებელ გავლენას ახდენს მსმენელზე, ვფიქრობ, ეს ადვილად წარმოსადგენია ყველასათვის, ვისაც კი ოდესმე ზარების რეკვა მოუსმენია. მართლაც რომ ზარების რეკვა, ზარების ჟღერადობა "ღვთიურ" შთაბეჭდილებას ნერგავს არა მარტო მლოცველებში; და რა გასაკვირია, რომ ამგვარი განცდა უფრო ძლიერია ივერიონის ქართულ მონასტერში განსაკუთრებით ქართველისათვის. ზარების რეკვა გაგრძელდა სულ, დაახლოებით, ოთხი წუთი; და ჩაწერილის ხარისხიც, როცა გავშინჯე, კარგი გამოდგა, რამაც მეტად გამახარა.

ზარების რეკვის დამთავრების შემდეგ, ივერიონის მონასტრის ბიბლიოთეკარი-ბერი მოვიდა ჩემთან და როცა ცოტა მოისმინა კიდეც ზარების ჩანაწერი, მეტად კმაყოფილი დარჩა. შემდეგ შევედი ეკლესიაში,სადაც უკვე წირვა მიმდინარეობდა, და წირვის დამთავრების შემდეგ, ბიბლიოთეკარმა-ბერმა მითხრა იქ მომეცადა, სკამთან, სადაც სამი, უკვე მოხუცი, ბერი იჯდა . ვერ გავიგე რა კარგად თუ რა მითხრა ბიბლიოთეკარმა-ბერმა, ერთერთმა მეტად სათნო მოხუცმა ბერმა სუფთა, უაქცენტო ფრანგულით მითხრა თუ რა სურდა ბიბლიოთეკარ-ბერს. როგორც ამ ბერმა მითხრა, ბიბლიოთეკარ-ბერს სურდა ჩემთვის რაღაც ეჩუქებია, და მე უნდა მომეცადა იქ, მონასტრის ბიბლიოთეკის წინ. ცოტა ხნის შემდეგ, ბიბლიოთეკარი-ბერი მოვიდა ჩემთან და მომიტანა სამი სხვადასხვა საჩუქარი:

წიგნი,ბერძნულ ენაზე, დასურათებული, სულ 64 გვერდი, ივერიონის მონასტრის შესახებ, რომელიც გამოცემულია 1980 წელს, ე.ი. ივერიონის მონასტრის დაარსების ათასი წლისთავზე.

ხატი, რომელზედაც გამოხატულია ორთავიანი არწივი,მარჯვნივ ბერძნული და, მარცხნივ ათონის მთის ალამით, შუაში,მაღლა,კი გამოხატულია გვირგვინი ჯვრით. ეს ხატიც მიძღვნილია ივერიონის მონასტრის ათასი წლისთავისადმი,შესაბამისი წარწერითა და ციფრებით"980 - 1980."

მედალი, რომლის ერთ მხარეს გამოხატულია იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ხოლო მეორე მხარეს გამოხატულია ივერიონის მონასტერი წარწერითა და ციფრებით "980 - 1980".

ამგვარმა დასაჩუქრებამ, გასაგებია, მეტად ამაღელვა და ერთი მლოცველი ბერძენის მეშვეობით, რომელსაც ცოტა ინგლისური ესმოდა, ჩემს შეკითხვაზე თუ ეს ბიბლიოთეკარი-ბერი რატომ ასე უხვად მასაჩუქრებს, მითხრა, რომ მხოლოდ იმიტომ, რომ მე ქართველი ვარ, ე.ი. ეს საჩუქარი პიროვნული არ იყო. ამიტომ მსურს ეს საჩუქრები შევწირო პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ტაძარს, თუ ამას ამ ქართული ეკლესიის მოღვარი მოისურვებს.[1)]

მთელი დღე, 1983 წლის 5 ოქტომბერი, ამგვარად ივერიონში ვიყავი, ყველაფერი დავათვალიერე, ბევრი ფოტო-სურათი გადავიღე, მაგრამ კმაყოფილი მაინც არ ვიყავი, ვინაიდან - ბერძნული ენის უცოდინარობის გამო - ბევრი რამ ვერ გავიგე, რის თქმა აქაურ ბერებს სურდათ, და მეც მათ ვერ გავაგებინე ბევრი რამ, რის თქმაც მსურდა. მე კი ყველაზე უფრო მსურდა მეკითხა მათთვის, თუ მათ სურთ, რომ ივერიონის მონასტერში ისევ მივიდნენ თითო-ოროლა ქართველი ბერები, და რომ ამ მიმართულებით თუ იყო საერთოდ ლაპარაკი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებსა და ათონის მთის ხელმძღვანელობას შორის. მე კი ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით, უთუოდ, იყო ლაპარაკი, როცა ათონის მთას და ამით ივერიონის მონასტერს ეწვიენ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები.

ეს საკითხი, უდავოა, ერთერთი დიდი მნიშვნელობის საკითხია არა მარტო საქართველოს ეკლესიისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის საერთოდ.

5 ოქტომბერ საღამოს კი ისევ მოვინდომე ივერიონის გარეთ, ზღვის პირას გასეირნება, მაგრამ მონასტრის კარები მზისჩასვლისთანავე იკეტება და,გასაგებია, ამის შემდეგ გარეთ გასვლა შეუძლებელია. ამიტომ მონასტრის ბერები და თვით სტუმარ-მლოცველები დაღამებისთანავე წვებიან, ჭრაქის ლამპის სინათლეზე ვახშმობის შემდეგ. 5 ოქტომბერსაც "ჩვეულებრივი" საუზმე-სადილი-ვახშამი იყო:

---

1).ქართული წმ.ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარმა დეკანოზმა ილიამ მირჩია, რომ "ივერიონის" ბერთა საჩუქარი ჩემს ოჯახში დავიტოვო.

საუზმე: ჩაი, შავი ზეთის ხილი მჟავე, პური.

სადილი: ლობიოს სუპი, მჟავე შავი ზეთის ხილი, პური,წყალი.

ვახშამი:ლობიოს სუპი, პური,მჟავე შავი ზეთის ხილი, წყალი.

რამდენიმე ბერმაც ივახშმა ჩვენთან ერთად, მაგრამ არ ვიცი – სტუმრები იყვნენ ესენი თუ ადგილობრივი მონასტრიდან. მონასტერი "ივერიონი" კი, როგორც ავღნიშნე, "იდიორითმული" მონასტერია, ე.ი. ბერები ლოცულობენ, მუშაობენ და ცხოვრობენ უფრო ლიბერალური წესრიგით, ვიდრე "კოინობიტური" მონასტრების ბერები, რომლებიც მეტად მკაცრი რეჟიმის ქვეშ იმყოფებიან. ამიტომ, ვფიქრობ, ივერიონის მონასტრის ბერების სმა-ჭამა, მართალია, მეტად ერთფეროვანია განსაკუთრებით ხორცეულობის უქონლობის გამო,მაგრამ მაინც უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე სასმელ-საჭმელი ამ მონასტრის სასადილოში,რომელიც,არსებითად, სტუმარ-მლოცველებისათვის უნდა იყოს განკუთვნილი. ალბათ, ყველა თუ არა ზოგიერთი ბერი ახერხებს,სულ ცოტა, ყველის თუ სხვა სურსათ-სანოვაგის მიღებას სამოქალაქო მუშებისაგან, რომელთა დიდი უმრავლესობა სამუშაოთ მიდიან ათონის მთაზე, ხოლო ცხოვრობენ ათონის მთის გარეთ, ახლომახლო ადგილებში.

ვახშმობის შემდეგ, ერთი კანადიელი ტურისტი-მლოცველი გამომელაპარაკა, რომელიც მოგზაურობდა ევროპაში, და,როგორც მითხრა, დიდი კმაყოფილი არ იყო ათონის მთაზე სტუმრობით, ვინაიდან, როგორც სჩანს, ის ტურისტულ ატმოსფეროს უფრო მოელოდა,ვიდრე ათონის მთაზე არსებულ წყნარ და ამით მეტად შთამაგონებელ ატმოსფეროს. მისთვის არ მიკითხავს, მაგრამ,როგორც სჩანს, ის საერთოდ მართლმადიდებელი არ იყო, თორემ მაშინ უფრო კმაყოფილი იქნებოდა ათონის მთის "შუასაუკუნოვანი" ატმოსფეროთი, ელექტრონის სინათლისა და სხვა ცივილიზაციური მომსახურების გარეშე. დავემშვიდობე რა ამ კანადიელ-ტურისტ-მლოცველს, შევედი ჩემს ოთახში, სადაც უკვე დაწეული ჭრაქის ლამპა ენთო. მხურდა თანწაღებული წიგნების წაკითხვა, ვინაიდან არ მეძინებოდა, მაგრამ ჭრაქის ლამპის სინათლეზე წაკითხვა, ელექტრონის სინათლის შემდეგ , მეტად ძნელია და ამიტომ დავწექი. გავიფიქრე:

აქ, ამ ოთახში რომ ვიწექი დაახლოებით 15-ი წლის წინათ, 1967 წლის იანვარში, მაშინ შუაღამეზე გამომაღვიძა ცურების "კივილმა" ათონის მთის მხრიდან, რაც დღემდე არ დამვიწყებია. შეიძლება ამ ღამესაც გავიგონო ცურების კივილი მეთქი,მაგრამ ჩემი ეს იმედი არ გამართლდა.

XXVII.

6 ოქტომბერი, 1983 წელი, ორშაბათი:

დილით ავდექი 6 საათზე, და ვისაუზმე, რომლის დროს ჩემმა, აწ უკვე ნაცნობმა მზარეულმა- ბერმა მითხრა, რომ მხოლოდ მე მასაუზმა, ხოლო სტუმარ-მლოცველებს საუზმეს საერთოდ არ აძლევს. მე კი, ჩემი მხრიდან, ვაჩუქე ჩემი ჯიბის ელექტრონის ლამპა, რომელიც ბატარეით კი არა, "დინამოთ" მუშაობს, ხელის მოჭერა-აშვების დროს, რის გამო ეს ჯიბის ლამპა,ასე ვთქვათ,"მარადიულია". მას მაინცდამაინც არც კი გახარებია ეს ჩემი საჩუქარი, ვინაიდან, როგორც სჩანს, ის უკვე მიჩვეულია ჭრაქის ლამპას და "ტექნიკა" არ აინტერესებს. ამავე მზარეულმა-ბერმა ორიოდე სიტყვა დაწერა ქაღალდზე და მთხოვა ეს "წერილი" გადამეცა "ავთანდილისათვის", რაც მე შევპირდი, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ მე ხსენებულ "ავთანდილს" ვერსად ვერ შევხვდებოდი. აი,ეს"წერილიც":

Χαιρετίσματα
Τήν μετάνοια μου
Στόν Πατριάρχη
Ευθύμιος
Ιερομόναχος
Ιβηρίτης

საუზმის შემდეგ გამოვემშვიდობე ნაცნობ ბერებს, გამოვედი ივერიონის მონასტრის ეზოში, და ვისაც ვიცნობდი მათაც გამოვემშვიდობე და

ასე მივედი ივერიონის მონასტრის გასასვლელთან, სადაც, როგორც აღვნიშნე, კედლებზე გამოკიდულია ხატები, ხოლო გასასვლელის მარჯვნივ, ვიტრინაში, აწყვია ზეთის ხილის ხისაგან გაკეთებული სხვადასხვა სიდიდის ქვიჯები, რომლებსაც ყიდიან ტურისტ-მლოცველებზე. ავარჩიე ვიტრინაში მომცრო სიდიდის ასეთი ქვიჯა, რომელზედაც გამოსახულია სამი წითელი ფერის ყვავილი, როგორც, ვფიქრობ, სიმბოლო -მამა-შვილი-სული წმინდა,და შევედი იქვე განლაგებულ ოთახში, რომელშიც მეჭიშკრე იყო. გამიღო ვიტრინა და ვიყიდე ხუთი ასეთი ქვიჯა: ერთი ჩემთვის, თით-თითო ჩემი ორი ბავშვისათვის, ერთი ჩემი მეგობრისათვის და ერთიც პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის ტაძრისათვის, რომლის გადაცემა განვიზრახე სხვა საჩუქრებთან ერთად, რომლებიც მე,როგორც აღვნიშნე, ივერიონის მონასტერში მაჩუქეს. თითოეული ქვიჯა ღირდა 200 დრახმა, რაც, დაახლოებით, უდრის ერთ მანეთსა და 50 კაპიკს, რაც, უდავოა, მეტად იაფია, მაგრამ ფულს საბერძნეთში უფრო მეტი მსყიდველობითი უნარიანობა გააჩნია. დავემშვიდობე მეჭიშკრე ბერს, გადავავლე თვალი ივერიონის ეზოს როგორც ძიგნით, ისევე გარეთ და გავუდექი გზას ნავსადგურისაკენ, სადაც დამხვდა ისევ ნაცნობი ბერი, რომელიც ისევ ხის მორების ნავზე დატვირთვას ხელმძღვანელობდა. ვინაიდან ეს ბერი, როგორც აღვნიშნე, გერმანულად ლაპარაკობდა, მან დაწვრილებით ამიხსნა, რომ 6 ოქტომბერს, დილით ათ საათზე ავტობუსი უნდა მოსულიყო ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიადან, მაგრამ გვითხრეს არ მოვაო; და ამიტომ მირჩია ფეხით წავსულიყავი კარიაში, რომ იქ დროზე მივესწრო ავტობუსისათვის, რომელიც იქიდან მიდის ათონის მთის მთავარ ნავსადგურ დაფნიში. მეც გავყევი სხვა ტურისტ-მლოცველებს და გავუდექი გზას ფეხით კარიასაკენ. ამ ბერმაც გულითადი მოკითხვა დამაბარა "ავთანდილთან",რაზედაც მე მადლობა გადავუხადე.

კარიადან ივერიონის მონასტერში მისვლა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ივერიონის მონასტრიდან კარიაში მისვლა, ვინაიდან კარია მთაზე მდებარეობს. გავიარე დაახლოებით ერთი კილომეტრი, და უკანიდან მოგვესმა ავტომობილის მოტორის ხმა. გამოდგა პატარა საბარგო ავტომო-

ბილი, რომელზედაც, უკან იჯდა ერთი ბერი და ერთი საეროქალაქო პირი. მათ მივემატეთ ხუთი კაცი და ასე გავუდექით გზას კარიასაკენ. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ უკვე კარიაში ვიყავით. ჩამოვედით ავტომობილიდან და,როგორც წესი, ავტომობილის მძღოლმა-ბერმა ფული არ გადაგვახდევინა. კარიაში კი მისასვლელთან იდგა ავტობუსი და ჩვენი მისვლის შემდეგ გაუდგა გზას ივერიონის მონასტრისაკენ, რაც,ცოტა არ იყოს, მეწყინა, ვინაიდან მე უკვე დაფნისაკენ გამგზავრება მსურდა. როგორც ჩანს, ავტობუსის მიმოსვლის განაწესი აქ მკაცრ ჩარჩოში არ არის მოქცეული, თუმცა ამასაც თავისებური დადებითი მხარე აქვს,როცა ადამიანი "შუასაუკუნოვან" ატმოსფეროში იმყოფება.

კარიაში ისევ ჩამოუარე სუვენირების მაღაზიებს, სასადილოებს (როგორც ავღნიშნე, ახლა ორი"სასადილოა" კარიაში), და მივადექი ერთ წარწერას, რომელიც, როგორც გავიგე, ტელეფონის ცენტრი უნდა ყოფილიყო. მაგრამ არ დავიჯერე და წავედი ფოსტისაკენ, საიდანაც ღია ბარათების გაგზავნა შეიძლება ათონის მთის ბეჭდით. გავაგზავნე რამდენიმე ღია ბარათი და ისევ დავბრუნდი"ტელეთონის ცენტრთან" და შევედი შიგ. იქ, მაგიდაზე დავინახე რამდენიმე ტელეფონის წიგნი, რომლებიც გადავშალე და ვნახე, რომ იყო ბერძნულ ენაზე. მაგრამ პირველ ორ გვერდზე წავიკითხე, ლათინური ასოებით დაწერილი, ევროპის სხვადასხვა ქალაქები რამდენიმე ნომრებით. ამასობაში ერთი კაცი გამოვიდა ბიუროდან, რომელმაც მიხვდა ჩემი გასაჭირი და,როგორც გავიგე, უთუოთ მითხრა შევსულიყავი იქვე გამოყოფილ ტელეფონის ჯიხურში, ამერჩია ქალაქის სახელწოდებასთან მიწერილი ნომერი, ცოტა მომეცადა და შემდეგ ამერჩია სასურველი ნომერი და ასე შეგიძლია ილაპარაკოთ ტელეფონითო. მე, განცვიფრებული, შევედი ჯიხუში, ავარჩიე ქალაქ მიუნხენის ნომერი, ცოტა პაუზის შემდეგ, ავარჩიე ჩემი ბავშვების ბინის ნომრები მიუნხენში და...ტელეფონში მომესმა ჩემი უმცროსი ქალიშვილის თამარას ხმა.., ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა?!.. უკვე ათონის მთაც, ეს შუასაუკუნეების ოაზისი ჩაება ევროპის ტექნოლოგიური პროცესის ფერხულში!.. ვუთხარი რა რომ ათონის

მთიდან – კარიადან ვრეკავ, თამარმა არც კი დაიჯერა ეს. და მართლაც, დაუჯერებლად მომეჩვენა მეც. მაგრამ, როგორც ჩანს, თანამედროვე ტექნიკის გავრცელების შეჩერება, მისთვის ჯებირის დადება, შეუძლებელია თვით ისეთი დიდი და ტრადიციული თეისტურ რესპუბლიკაში,როგორიცაა ათონის წმინდა მთა. 1967 წელს, როცა პირველად ვიყავი ათონის მთაზე, მაშინ მხოლოდ ერთი დაძველებული ავტობუსი მოძრაობდა ათონის მთის ნავსადგურიდან – დაფნიდან – ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიამდე; 1981 წელს კი, როცა მეორეჯერ ვიყავი ათონის მთაზე, უკვე რამდენიმე ავტობუსი დავინახე დაფნი-კარიას გზაზე და კარიადან უკვე ავტობუსი მიდიოდა ივერიონამდეც; და ახლა – 1983 წელს – კიდევ უფრო მეტი მანქანები – ავტობუსი, მსუბუქი ავტომობილი თუ ტრაქტორი – დავინახე ათონის წმინდა მთაზე. ახლა საერთაშორისო სატელეფონო კავშირებიცაა ათონის მთასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ათონის მთაც – ნებსით თუ უნებლიეთ – უნდა ჩაებას თანამედროვე ტექნიკის სფეროში, რაც, ვფიქრობ, სამწუხაროა, ვინაიდან ეს წმინდა ადგილი დაკარგავდა იმ სიმყუდროვეს, რომელიც ასე დამახასიათებელია ათონის მთისათვის. მაგრამ ვითომ შესძლებს ამგვარი სიმყუდროვის შენარჩუნებას ათონის მთა?..

დაახლოებით ათ საათზე ამოვიდა ავტობუსი ივერიონის მონასტრიდან კარიაში, და აქედან გავუდექით გზას დაფნისაკენ, გზაში ისევ შესანიშნავი პანორამა – ჯერ – ათონისმთის აღმოსავლეთი ნაწილისა ზღვისპირეთითურთ, შემდეგ, მეორე მხარეზე გადასვლის შემდეგ, ათონის მთის დასავლეთი ნაწილი ისევ ზღვისპირეთითურთ. ფერდობები კი დაფარულია ხშირი ტყეებით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ახლა, ოქტომბერში, წაბლის ხეები, რომელთა ნაყოფით,ე.ი.წაბლით სავსეა საავტობუსო გზაც კი. როგორც ჩანს, ათონის მთაზე იმდენი წაბლია, რომ მათ თავის მოყრასაც უკვე აზრი არა აქვს. ამასობაში ჩავედით დაფნიში, სადაც უკვე პატარა სიდიდის გემი იცდიდა. ჩავჯექით გემში,გავუდექით გზას ურანოპოლისისაკენ, რომლის დროს ისევ მოსჩანდა ათონის მთის დასავლეთ ნაწილზე განლაგებული მონასტრების

შესანიშნავი პანორამა, ხოლო თვით გემის ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ დელფინები გამოჩნდებოდენ ხოლმე, რომლებიც ისწრაფული ჰაერში ახტომით, თითქოს,ჩვენს გართობაზე ზრუნავდენ. ათონის მთის დასავლეთი სანაპიროს მხრიდან კი,ამ-ჯერათაც, ჩემი ყურადღება მიიპყრო რუსულმა პანტელეიმონის მონასტერმა,ვინაიდან საქართველოს, ქართველი ერის ბედი - ჯერ - 1801-ლი წლიდან 1918 წლამდე, ხოლო - შემდეგ - 1921 წლის თებერვალ-მარტიდან, როცა საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო იარაღის ძალით, - რუსეთის ხელმძღვანელობის ნებასურ-ვილზეა დამოკიდებული, ამდენად თვით რუსი ბერების მოღვაწეობაც ათონის წმინდა მთაზე - არაპირდაპირ - იმის განსჯის საშუალება-საც იძლევა, თუ რის გაკეთება შეუძლია საქართველოს, პირველ ყოვლისა,სრულიად საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ათო-ნის მთაზე - საერთოდ - და ივერიონის ქართულ მონასტერში - კერძოთ.

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წარსული და დღევანდელი კავშირების შესახებ ათონის წმინდა მთასთან, აღწერილი აქვს ერთ ნარკვევში ვერა ტოლცს, რომლის ტიტრია:"წარსული და აწმყო რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისა ათონზე"(მიუნხენი, 1984 წლის 5 ივ-ნისი. რთ-118-84). (Вера Тольц:"ПРОШЛОЕ И НАСТОЯЩЕЕ РУССКОЙ ПРАВОСЛАВНОЙ ЦЕРКВИ С АФОНОМ",РС 118/84).

ინგლისურმა კათოლიკურმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა "თებლეტ-მა" კი, თავის 1984 წლის 30 მარტის ნომერში გამოაქვეყნა ცნობა რუსული მონასტერის -წმინდა პანტელეიმონის - მდგომარეობის შესა-ხებ ათონის წმინდა მთაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ამ მონასტრის შევსება საბ-ჭოთა რუსეთიდან გამოგზავნილი ბერებით, და დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ წმინდა პანტალაიმონის რუსული მონასტერი ათონის წმინდა მთაზე ამ ახალი ბერების ხელშია, რომლებიც მზად არიან საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარი განკარგულება შეასრულონ.

თვით პირველი რუსული სამლოცველოს დაარსებას ათონის წმინდა მთაზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა წმინდა პანტელეიმონის რუსული მონასტერია, - აწერენ წმინდა ვლადიმირის, კიევის მთავრის სახას, როცა მან - 988 წელს - მონათლა ხალხი, თუმცა

არავითარი ნივთიერი საბუთი ამისა არ არსებობს.უნდა აღინიშნოს, რომ რუსული სამლოცველოს შექმნის ამბავი წამოყენებულ იქნა სერბიელი სწავლულის მიერ, რამაც აღიარება ჰპოვა საბჭოთა რუსეთში 1917 წლის შემდეგ, როცა რუსეთმა შეეცადა თავისი გავლენის გაძლიერებას ათონის წმინდა მთაზე.

რუსი ბერების რაოდენობა, რევოლუციამდელ რუსეთიდან, დიდი იყო ათონის წმინდა მთაზე, რაც შეწყდა პირველი მსოფლიო ომის დროს. ოციან-ოცდა-ათიან წლებში რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას არ გააჩნდა შესაძლებლობა ოფიციალური კავშირები დაემყარებია უცხოეთთან. მხოლოდ 1943 წლის სექტემბერში სტალინი შეხვდა ეკლესიის წარმომადგენლებს და დართო ნება საეკლესიო კრების მოწვევისა პატრიარქის ასარჩევად.

აირჩიეს რა პატრიარხად სერგი, ამას მოყვა ეკლესიის პოზიციის გარკვევაც სახელმწიფოსადმი, რაც გამოიხატება იმაში,რომ ეკლესიამ სრული ერთგულება უნდა გამოიჩინოს ხელისუფლებისადმი და მაქსიმალურად მხარი უნდა დაუჭიროს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

1947 წელს კი მოსკოვში ჩატარდა მართლმადიდებლური ეკლესიების წარმომადგენლების კონფერენცია, რომელზედაც პატრიარქმა ალექსიმ წამოაყენა მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიების კრების მოწვევის წინადადება, რითაც მან შეეცადა რუსული ეკლესიის მე-16-მე-20 საუკუნეების ტრადიციის გამოცოცხლებას, რომლის თანახმად რუსეთს ეკლესიას სურდა მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურის როლის გადაბარება. მაგრამ მსოფლიო კრება ვერ იქნა მოწვეული,ვინაიდან კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მოაგონა რუსეთის ეკლესიის პატრიარქს, რომ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიების კრების მოწვევა კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქის პრეროგატივაა. მაგრამ რუსეთის ეკლესიამ, 1948 წელს მაინც მიიწვია მოსკოვში მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიების წარმომადგენლები რუსული

მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის 500-ი წლისთავზე, თუმცა ამ კრებაზე არ გამოცხადებულან მხოლოდ პატრიარქი კონსტანტინეპოლისა და აგრეთვე ელადის(საბერძნეთის) და ანტიოქიის პატრიარქები. ისინი მხოლოდ წარმომადგენლების გაგზავნით დაკმაყოფილდენ. საყურადღებოა ის, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის ამ კრებაზე, რუსეთის რევოლუციის შემდეგ, პირველად წამოიჭრა საკითხი არაბერძენი ბერების შესახებ ათონის მწმინდა მთაზე. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოყოლია.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1926 წელს საბერძნეთის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის თანახმად ყველა ბერი ათონის მწინდა მთაზე - მიუხედავათ მათი ეროვნებისა - უნდა იყოს საბერძნეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომი. ამავე კანონით, "წმინდა კინოტმა", ე.ი.ათონის თეოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, მიიღო "ახალი წესდება",რომლის თანახმად გაფართოვდა ათონის წმინდა მთის გუბერნატორის,ე.ი.საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენლის უფლებები.

საბჭოთა რუსეთის ეკლესიამ პირველად 1965 წელს მიიღო ნებართვა ხუთი ბერი გაეგზავნა რუსულ მონასტერში ათონის მთაზე. 1970 წელს რუსულ პანტელეიმონის მონასტერში მივიდა კიდევ ორი ბერი საბჭოთა რუსეთიდან - იერომონახ ვისარიონ და არქიმანდრიტი აველი. 1975 წელს კი თვით არქიმანდრიტი აველი გახდა რუსული მართლმადიდებლური პანტელეიმონის მონასტრის ხელმძღვანელი ათონის წმინდა მთაზე. 1976 წელს კიდევ თერთმეტი რუსი ბერი მივიდა ათონის მთაზე. ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ პანტელეიმონის ძველმა ბერებმა, რომლებსაც არ სურდა მოსკოვის საპატრიარქოს გავლენის ქვეშ მოქცევა, მიატოვეს ეს მონასტერი და გადავიდენ წმინდა-ილიის სკიტში ათონის მთაზე.

ასეთია დღესდღეობით რუსული პანტელეიმონის მონასტრის მდგომარეობა ათონის წმინდა მთაზე. შევნიშნავთ აგრეთვე, რომ ანალოგიური ნაბიჯის გადადგმას, რამდენადაც ცნობილია, ე.ი.ქართველი

ბერების მიყვანის ცდას ათონის მთის "ივერიონის" მონასტერში - ადგილი არ ჰქონია. ვითომ უკვე დადგა დრო, რომ საქართველოს საპატრიარქომაც ამ მიმართულებით გადადგას ნაბიჯები, რომ ქართველი ბერები არა მარტო ათონის წმინდა მთაზე გამოჩნდენ?.. ვითომ ამგვარი იმედის მომცემია, ვთქვათ, საქართველოს ეკლესიის დელეგაციის მოგზაურობა ათონის წმინდა მთაზე 1981 წლის სექტემბერში ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსის ანანიას(ჯაფარიძე) მეთაურობით?!..

აი, ამ დელეგაციის ათონის მთაზე მოგზაურობის დღიურიც:

# ჯვარი ვაზისა

2

საქართველოს საპატრიარქო

1981

## ათონზე

### ემადლობ უფალსა ჩვენსა

ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის
ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე)

1981 წლის 19 სექტემბერს საბერძნეთში ივერთა მონასტრის მოსალოცად გაემგზავრა ჩვენი ხუთკაციანი ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე. მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი-მოსკოვი-სოფია-ათენი-თესალონიკი-ურანოპოლისი-ივერონი, ურანოპოლისიდან ათონის ნახევარკუნძულისაკენ გავემგზავრეთ პატარა გემით. ათონის ნახევარკუნძულზე, ანუ მთაწმიდაზე განლაგებულია ოცი ათეული მონასტერი. მათ შორისაა ივერონის მონასტერიც. ინტენსიური სამონასტრო ცხოვრება აქ დაწყებულა ადრეულ შუა საუკუნეებში და უწყვეტად მიმდინარეობს დღემდე. ათონის მონასტრებში დაცულია მსოფლიო მნიშვნელობის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, უამრავი ხელნაწერი, მინიატურა, ისტორიული საბუთი, მხატვრობა, მდიდარი სამონასტრო განძი, ისტორიულ პირთა მემორიალური ნივთები და წმიდანთა ნაწილები. ათონის ნახევარკუნძული ნამდვილი განძთსაცავია. ამიტომაც არავის უშვებენ სპეციალური ნებართვის გარეშე. პირველ რიგში საჭიროა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნებართვა. ამ ნებართვის საფუძველზე საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იძლევა ათონის ნახევარკუნძულზე შესასვლელ საშვს. ჩვენ

კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნებართვა თბილისშივე მივიღეთ, ხოლო ათენში ქორეპისკოპოს ქრიზოსტომოსის თავაზიანი დახმარებით მივიღეთ საშვი.

ხამშაბათს ათონის ნახევარკუნძულის პატარა ნავმისადგომ „დაფნისში“ დაგვხვდა ივერთა მონასტრის ერთ-ერთი წინამძღვარი პროიღუმენი, არქიმანდრიტი კალინიკე.

დიდი, მომქანცველი გზის გავლის შემდეგ მასპინძლის შეხვედრამ ძალზე გაგვახარა. დაფნისიდან ივერონისაკენ გავემგზავრეთ ავტობუსით. პროიღუმენმა კალინიკემ შორიდან დაგვანახა ივერონი. დიდებულია ივერთა მონასტერი.

„მამანი ჩვენნი... მოიწინეს... განმამრავლებლად ნათესავისა ჩვენისა... აღაშენეს დიდებული ესე ლავრა სამკვიდრებელად ქართველთა“ — წერს გიორგი მთაწმიდელი. საუკუნეთა მანძილზე მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები ივერონში. მათი ღვაწლის შედეგი იყო ის, რომ „შეიმკო და აღყვავდა ენა ჩვენი“, „განათლდა ქართველთ ქვეყანა და ენა“.

ივერთა მონასტრის შესასვლელ მშვენიერ კარიბჭესთან შეგვხვდნენ მონასტრის მმართველი უხუცესთა საბჭოს წევრები, ბერები. მღვდელმთავართან შეხვედრის ტრადიციული წესის შესაბამისად, მეუფე კონსტანტინეს მოახურეს მანტია, მიართვეს სამღვდელმთავრო კვერთხი, ამთხვევინეს სახარებაზე და დარეკეს ზარები. მონასტრის ეზოში შეგვიძღვა ორი ახალგაზრდა ბერი. ანთებული გრძელი სანთლებით, მასპინძლებთან ერთად, საზეიმო საგალობლით შევედით ივერთა მონასტრის მთავარ ტაძარში. უცებ სხვა სამყაროში მოვხვდით. ესაა ყავისფერ-ოქროსფერი უსასრულობა, რომელიც იწვევს სასოებისა და მოკრძალების გრძნობას. აქ სრულებით იცვლება ადამიანი. დიდებულია ტაძრის ინტერიერი — კანკელი, კედლები, დიდი ქორკანდელი, გამოქანდაკებული შანდლები, მშვენიერი უძველესი, მოოქროვილპერანგიანი, სასწაულთმოქმედი ხატები, ფრესკები, მდიდარი საეკლესიო სამკაულები.

ტაძრის გუმბათი ეყრდნობა 4 მძლავრ მარმარილოს სვეტს. მის ცენტრში გუმბათის ქვეშ დამაგრებულია „კიკლო“ — მრგვალი სპილენძის რკალი, რომელზედაც წერია: „მე დავამყარე ოთხი ბოძი და არ შეირყევა უკუნითი უკუნისამდე — გიორგი მონაზონი, ივერი ქტიტორი“*.

დიახ, ქართველებმა ავაგეთ ივერონი. ივერონი სიამაყეა ათონის წმიდა მთისა, საბერძნეთისა და მთელი მართლმადიდებლობისა. ჩვენ ივერები ვართ. ამიტომაც ვართ აქ ასეთი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ.

ივერონის მთელი მონასტერი საქართველოს ისტორიისა და ქართველი ერის კულტურის ნამდ-

* წარწერა ბერძნულია. თავდაპირველი, ქართული, არ შენახულა.



ათონი. ივერიის ღვთისმშობლის ხატი

ვილი მუზეუმია. გასაოცრად ცოცხლდება აქ ჩვენი ერის წარსული, თითქმის უწყვეტად, X ს-დან დღემდე. მონასტრის ყველა შენობა უკავშირდება რომელიმე ქართველ საეკლესიო, სახელმწიფო, ან საზოგადო მოღვაწეს.

ტაძარი, რომელშიც დასვენებულია ივერიის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი — „პორტაიტისა“, აგებულია აშოტ მუხრანბატონის მიერ. იგი ამავე ტაძარშია გამოხატული, დასავლეთის კედელზე. აქვე, კარიბჭის შესასვლელთან, ექვთიმე მთაწმიდელის ცნობილ კოშკში იწერებოდა ქართული სახარება. მთავარი ტაძარი აგებულია გიორგი მთაწმიდელის მიერ. მონასტრის ეზოში უმშვენიერესი, ძალზე დიდი კოშკი, ბიზანტიური სტილისა, აგებული ყვარყვარე ათაბაგის მიერ. მასვე აუშენებია სატრაპეზო. მესამე ტაძარი აგებულია ყველაზე უფრო ადრე, იოანე მთაწმიდელის მიერ. ქართველების აგებულია სამრეკლოც და საერთოდ, ძველი ნაგებობების უმრავლესობა. მონასტრის გარშემო არის XIX და წინა საუკუნეებში ქართველი ბერების მიერ აშენებული სამლოცველოები და „სკიტები“.

ივერონში განსაკუთრებული მოწიწებით უყვართ ამ მონასტრის დამაარსებელნი. ყოველი წირვა-

ლოცვის დროს, მონასტრის ტიპიკონის შესაბამისად, ჩამოლოცვისას აუცილებლად დღეში რამდენჯერმე მოიხსენიება იოანე, ექვთიმე, გაბრიელ, გიორგი მთაწმიდელები. მათ შესახებ ერთმანეთსა და სტუმრებს უყვებიან ძველ გადმოცემებს. ისინი არიან წმიდანები, ღირსი მამები, რომელთაც თხოვენ შველასა და დახმარებას, მეოხებას ღვთის წინაშე. სიხარულითა და სიამაყით უჩვენებენ მომლოცველებს მათ ნივთებს, თუ წერილებს. მათი ხსოვნა არა მარტო ივერონში, არამედ მთელს ათონის მთაზე ცოცხლობს.

ათასი წლის წინ მოღვაწე ჩვენი წმიდა მამები გზას გვიკვალავდნენ საბერძნეთსა და ათონზე. მაგალითად, ათონზე ერთი მონასტრის მოლოცვისას გზაზე შემოგვხვდა ბერი, რომელმაც არ იცოდა ჩვენი ვინაობა. ავუხსენით, მაგრამ ვერ გაიგო. შემდეგ ვუთხარით, რომ იმ ქვეყნიდან ვართ, საიდანაც იყვნენ იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები. მაშინვე მიხვდა. რომელ ქვეყანაზე იყო ლაპარაკი და ჩვენს მიმართ აშკარა მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალა. ივერონის მონასტრის ათასი წლის აღსანიშნავად მოჭრეს სამახსოვრო მედალი, საკმაოდ დიდი დიამეტრისა. მასზე გამოხატულნი არიან ქართველი წმიდა მამები: — იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები.

ათონზე ოცზე მეტი მონასტერია. შევძელით მოგვველოცა ათიოდე მონასტერი, სადაც ჩვენ. ივერიელ ეპისკოპოსებს, გასაოცარი სიყვარულითა და და სიხარულით. ტიპიკონის სრული დაცვით გვხვდებოდნენ. ზოგიერთ მონასტერში გაკვირვებასაც კი გამოთქვამდნენ, რატომ არ იყვნენ ივერთა მონასტერში ივერიელები, ქართველი ბერები.

მთელს ათონზე გაბნეულია ქართული წიგნები და ნივთები. მაგრამ სულ სხვაა ივერონი, ესაა ქართული კულტურის ცენტრი. უამრავი ქართული ეროვნული, ისტორიული, საეკლესიო ნივთით, შენობით. წიგნით. ძალზე საგულისხმო იყო ჩვენთვის ქართული დრო. დიახ, ივერონი მუშაობს დროის სადღეღამისო აღრიცხვის საკუთარი სისტემით, რომელსაც ქართულ დროს ეძახიან. ეს მოდის ძველთაგანვე. საერთოდ, ათონის მონასტრებში დროის აღრიცხვა განსხვავებულია საბერძნეთისა და მთელი ევროპის დროისაგან. ათონის მონასტრები მუშაობენ ბიზანტიური დროით. მათგან განსხვავებით მხოლოდ ივერონი მუშაობს, როგორც აღვნიშნეთ, დროის საკუთარი აღრიცხვით — ქართული დროით. ეს დრო, როგორც გვითხრეს, მიღებული ყოფილა ძველ საქართველოში.

ყველაფერი მნიშვნელოვანია ივერონში, უბრალო წვრილმანიც კი, მაგრამ მაინც შეუძლებელია განსაკუთრებით არ აღინიშნოს ივერონის სამი სიამაყე — ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი — „პორტაიტისა", ბიბლიოთეკა — ქართული ხელნაწერი წიგნებით და მუზეუმი — ქართული ნივთებით.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი სიყვარულით სარგებლობს ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს შორის ივერიის ღვთისმშობლის ხატი. წარმოუდგენელია ივერთა მონასტერი ამ უწმიდესი სიდიადის გარეშე. ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, თუ როგორ ამხნევებს და სულიერად აძლიერებს „პორტაიტისა" მონასტრის ბერებს. ამ ხატთან ყოველ დილით სრულდება პარაკლისი ივერიის ღვთისმშობლისა. ივერიის ღვთისმშობელი მოჭედილია. ახალი მოჭედილობის ქვეშ ჩანს ძველი ქართული მოჭედილობა. ხატზე ჩამოკიდებულია ოქროსა და ძვირფასი ლითონების ნაკეთობანი, მედალიონები, ჯვრები და სხვა. ეს შემოწირულობაა. ასე ყოფილა ძველ საქართველოშიც. ცნობილია, ხახულის ღვთისმშობლის ხატსაც სწირავდნენ ჩვენი მეფეები და მლოცველები ძვირფას ნივთებს. ძნელი აღსაწერია ის ზემოქმედება, რომელსაც ახდენს „პორტაიტისა" მთელს ივერონსა და ათონზე. როგორც ვთქვით, იგი არის სიამაყე, სიქადული, ღირსება ივერონის მონასტრისა და არა მარტო ივერონისა, შეიძლება ითქვას, მთელი საბერძნეთისა და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისა. და რაოდენ სასიხარულოა ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომ ეს ცნობილი ხატი დაკავშირებულია ქართველი ბერის — გაბრიელის და ივერონის ქართველი მამების სახელთან.

ივერონის ქართული ბიბლიოთეკა შედარებით კარგადაა ცნობილი საქართველოში. ამ ბიბლიოთეკის ხელნაწერების მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულია ჩვენი საზოგადოებრიობა. ამ ხელნაწერების მიკროფილმები ჩამოტანილია საქართველოში, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ავტორიტეტმა. ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, თუ რა დიდ პატივს სცემენ უწმიდეს ილია II. ეს ჩანდა ოფიციალურ შეხვედრებზე საბერძნეთის ეკლესიის მეთაურთან, მთავარეპისკოპოს სერაფიმესთან ათენში, თესალონიკის მიტროპოლიტ პანტელეიმონთან, ათონის წმიდა მთის მმართველ კინოტთან, საბერძნეთის ყველა მონასტერში. ეს პატივისცემა იგრძნობოდა არაოფიციალურ, შინაურ შეხვედრებზედაც. ივერონში, სტუმრების მისაღებ მთავარ დარბაზში, სადაც გამოფენილი აქვთ საბერძნეთის მეფეებისა და დედოფლების, მსოფლიო პატრიარქის, მონასტრის წინამძღვართა პორტრეტები, მოთავსებულია დიდი სურათი უწმიდეს ილია II. სწორედ ილია II პირადი თხოვნით დაუშვეს ივერონის ბიბლიოთეკაში ხელნაწერების მიკროფილმების გადასაღებად საქართველოს ტელევიზიის მუშაკები. სხვათა შორის, მთელს ათონზე კინოგადაღება აკრძალულია, მაგრამ ეს გამონაკლისი მაინც დაუშვეს. ბიბლიოთეკაში დაცულია ისტორიულ პირთა ნივთები. აქვე ინახება თორნიკე ერისთავის ჯაჭვის პერანგის ნაწილი.

ჩვენში ყველაზე ნაკლებადაა ცნობილი ივერონის მუზეუმი; პირიქით კი უნდა იყოს. აქ იმდენი

ძველი, ღირებული, მნიშვნელოვანი ქართული ნივთია. გვიჩვენეს მონასტრის სიგელები, ქართული მინაწერებით. მინაწერების უმრავლესობა ისეა გამქრალი, რომ მათი ფოტო- ან კინოფიქსაცია შეუძლებელია. მინაწერების ამოკითხვა იქვე, ადგილზე შეუძლია მხოლოდ სპეციალისტს. მაგალითად სიგელ № 8-ზე არის ქართული წინადადება; უფრო ზუსტად, წინადადების ფრაგმენტები

„ყოვლისა(?) მთისაგან(?) დაწერილი
რომელს(?) ერის ას არავინ
გარდახდებოდეს"

ასევე არის № 10 და № 11 ხელნაწერზე. ეს ხელნაწერი სიგელები ბერძნულია, მინაწერები კი ძველ ქართული. მუზეუმში გვაჩვენეს ქართული დაფარნები ქართული წარწერებით. ერთ დაფარნას აქვს წარწერა — ეპისკოპოსი ელისე. გვიჩვენეს ქართული ენქერები, ბარძიმ-ფეშხუმები ქართული წარწერებით, მოჭედილი სახარებები ასევე ქართული წარწერებით. არის ბერძნული სახარება, აგრეთვე, ალსავლის კარებზე ჩამოსაფარებელი კრეტსაბმელი, რომელზეც გამოხატულია თორნიკე ერისთავი. არის უამრავი ქართული ოქრომკედით შესრულებული სამღვდელო და სამღვდელმთავრო სამოსელი, ქართული უმშვენიერესი ჰეტრახილები, სამაჯურები და სხვა.

ქართული შესამოსლით ყოველ აღდგომის დღეს აუცილებლად უნდა შეიმოსოს მთავარ ტაძარში მწირველი მღვდელმთავარი. — ასეთია ტრადიცია. მუზეუმში ინახება ქართული წმიდა ნაწილები.

ივერონში 30-მდე ბერია. ყველაზე ახალგაზრდა ბერი, იოაკიმე, 24 წლისაა, ყველაზე მოხუცი, დამიანოსი — 90-ის. იგი ივერონში მივიდა 1910 წელს და 71 წელი გაატარა მონასტერში. იგი ამჟამადაც ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მეთაურია ივერონისა. ძალზე გამჭრიახი და ნათელი გონებისაა. მონასტერში ერიდებიან ახალგაზრდა ბერების მიღებას. მსურველმა ჯერ უნდა გაიაროს კურსი სპეციალურ სკოლაში. ასეთი სკოლა არის ათონის „დედაქალაქ" კარიესში. სკოლის დამთავრების შემდეგ გაანაწილებენ რომელიმე მონასტერში, სადაც მან მორჩილად უნდა დაჰყოს მნიშვნელოვანი დრო (1 წელი მაინც). მორჩილების ვადა დამოკიდებულია თვით მორჩილზე, მის ქცევაზე, ბერობისთვის მზადყოფნაზე. თუ მორჩილი გამოიჩენს თავს, მას ბერად აღკვეცავენ. ბერი დიდი პატივისცემით სარგებლობს. ის გამორჩეული ადამიანია. როგორც გვითხრეს, ივერონის მონასტრის ბერი ევსევიოსი თეოლოგიის პროფესორია, ბერი გენადიოსი — ენათმეცნიერების დოქტორი, ბერი გერასიმე — ფილოლოგი, ერთი ბერი ექიმია. საერთოდ, ბერები ნათელი გონების, ძალზე განვითარებული, ერუდირებული ადამიანები არიან. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი მუშაობისა და შემოქმედებისათვის; აქვთ მშვენიერი ბინები მონასტრის შენობებში, მიწის საკუთარი ნაკვეთები საცხოვრებელთან ახლოს, საკუთარი ბაღები. ისინი ცხოვრობენ ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად, მაგრამ ქმნიან ერთ მთლიან შემჭიდროებულ კოლექტივს. უმთავრესად მათ აერთიანებთ წირვა-ლოცვა, რომელსაც დღე-ღამეში დაახლოებით 8 საათი ეთმობა. დანარჩენ დროს სრულებით თავისუფლები არიან.

მონასტრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტიპიკონის მიხედვით. ტიპიკონი — ესაა მონასტერში ბერების ცხოვრების წესი. ცხადია, ბერს რომელი მონასტრის ტიპიკონიც მოსწონს, იმ მონასტრის ძმობაში შევა. მაგალითად, მონასტერ სტავრონიკიტაში უფრო მკაცრი ტიპიკონის ბერები ~~არიან, მონასტერ სიმონ-პეტრეში კი პირიქით, ნაკე-~~ ლები სიმკაცრეა. სამაგიეროდ, აქ ყურადღება გამახვილებულია სასულიერო ხელოვნების შესწავლა-განვითარებაზე.

ათონი სარგებლობს ავტონომიით. ათონის ადმინისტრაციულ ცენტრში, კარიესში, ანუ კარეაში, არის ათონის მთის გუბერნატორის რეზიდენცია, ქალაქის ხელისუფლება და ათონის წმიდა მთის მონასტრების მმართველი საბჭო — კინოტი. საბჭოს წევრებს ირჩევენ დიდი მონასტრებიდან ყოველწლიურად. 1982 წელს ამ საბჭოში უფროსი იქნება ივერონის წარმომადგენელი.

ოთხშაბათს კარეაში ვეწვიეთ წმიდა კინოტს, სადაც მოგვიწყვეს ოფიციალური, ძალზე საზეიმო შეხვედრა. გადავიხადეთ საერთო პარაკლისი „დედაქალაქის" მთავარ ტაძარ პროტატში. შემდეგ მიგვიწვიეს რეზიდენციაში. მმართველმა მოგვმართა სიტყვით. დიდი სურვილი აქვთ, უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან.

ხუთშაბათს გავემგზავრეთ დიდ, ანუ ათანასეს ლავრაში. გზად მოვილოცეთ მონასტერ კარაკალაში. მონასტერში სულ 12 ბერია, მაგრამ მათი სამონასტრო ცხოვრება და სულიერი სიმაღლე სამაგალითოა. კარაკალას შემდეგ მოვილოცეთ მონასტერი ფილოთეოსი. ეს მონასტერი საინტერესოა ქართველი კაცისათვის. შეგვხვდნენ განსაკუთრებული ზეიმითა და სიხარულით. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ეს სიხარული გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ჩვენ ვიყავით საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები. ქართველებს დიდად უმოღვაწიათ ამ მონასტრის აღდგენასა და გამშვენიერებაზე, მისი სულიერი განმტკიცება-აყვავებისათვის. პარაკლისის შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე. შევედით მშვენიერ, დიდ სატრაპეზოში. სწორედ აქ შევიტყვეთ ქართველთა ღვაწლის შესახებ. სატრაპეზოს კედელზე გამოხატულნი არიან კახეთის მეფეები: ლევანი და მისი ძე — ალექსანდრე. მათ ხელში უპყრავთ მოდელი მონასტრისა (არა ერთი ტაძრისა, არამედ მთელი სამონასტრო ანსამბლისა). ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მთელი მონასტრის აღდგენა-გამშვენებაში მიუძღვით დიდი ღვაწლი. მო-



**საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ათონზე**

ეპისკოპოსი ანანია, დეკანოზი მიხეილი (დიდენკო), პროიღუმენი მაქსიმე (ათონიდან), დეკანოზი ალექსანდრე (მათირიშვილი), მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (დელეგაციის ხელმძღვანელი)

ნასტრის თავდაპირველი მაშენებელი იყო ფილოთეოსი, რომლის სახელსაც ატარებს მონასტერი. ჩვენს კითხვაზე, იყო თუ არა ამ მონასტერში ქართული წიგნები, ან რაიმე ნივთი, გვიპასუხეს, რომ არის ერთი ქართული წიგნი, რომელშიც ჩაწერილია სია იმ პირებისა, რომელთაც იხსენიებდნენ წირვა-ლოცვის დროს. ეს წიგნი ვერ ვნახეთ, რადგან მონასტრის იღუმენი იმჟამად არ იყო მონასტერში. ჩვენც ვჩქარობდით. ყველა მათ სიტყვაში იგრძნობოდა სიყვარული საქართველოსა და ქართველების მიმართ. ხალისით გვაჩვენეს შავი ყურძენი, გვითხრეს ქართულიაო. იგი გავრცელებულია მთელს ათონზე. აქვე გამოთქვეს წუხილი ივერონში ქართველი ბერების არყოფნის გამო. „ფილოთეო" ძალზე დიდი მონასტერია. — სუფთა, მდიდარი, გამორჩეული. აქ არის 70-მდე ბერი. აქ ჩვენი მკვლევარი ძალზე ბევრს ქართულს აღმოაჩენდა და შეისწავლიდა. აუცილებლად საჭიროა ქართველი მკვლევარის მივლინება.

ათანასეს დიდი ლავრა ათონზე მთავარი ლავრაა არა სიდიდით, არამედ თავისი მნიშვნელობით. იგი წმიდა ათანასემ, ათონზე სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებელმა დააარსა. ამიტომაც ამ მონასტერს განსაკუთრებული ავტორიტეტი აქვს. როგორც გვითხრეს, წმ. ათანასეს დედა ქართველი ყოფილა, ლაზი. მისგან ჰქონდაო ათანასეს სიყვარული ქართველების მიმართ. ამით ასაბუთებენ განსაკუთრებულ მზრუნველობასა და მფარველობას, რომელსაც წმ. ათანასე იჩენდა წმ. იოანე მთაწმიდელის, „ივერონის" დამაარსებლისადმი. წმ. ათანასემ მისცა იოანეს მონასტრის აშენების ნებართვა. ეს ნებართვა ახლაც შენახულია. ათანასეს ლავრა განთქმულია თავისი ბიბლიოთეკითა და მუზეუმით. ბიბლიოთეკაში რამდენიმე ქართული ხელნაწერი გვიჩვენეს, ერთი ქართული ხელნაწერის ნომერი იყო Z'—37. ამას გარდა, სხვა ქართული ხელნაწერებიც არის. ყველა ხელნაწერის მიკროფილმია გადაღებული. ისინი ინახება სალონიკში. მუზეუმში არის ქართული ნივთები, ძალზე იშვიათნი და ძალზე საინტერესონი. ზოგიერთი გამოფენილია ვიტრინაში. მაგალითად, აქ არის XVI საუკუნის ეპიტრახილი ქართული წარწერებით. როგორც გვითხრეს, ძალზე ბევრია აქ ქართული ნივთები. მათი უმრავლესობა ჩაწყობილია ყუთებში და არაა გამოფენილი.

ათანასეს ლავრა ათონის ნახევარკუნძულის ბოლოშია, ყველაზე ძნელად მისასვლელ ადგილზე. ამჟამად იქამდე მიდის ახლად გაყვანილი მოუკირწყლავი გზა.

სამაგიეროდ, ივერონი ყველაზე კარგ ადგილზეა. აქ მიდის ყველაზე უკეთესი გზა. ახლოა ცენტრთან. ათონზე ჩამოსული სტუმარი აუცილებლად უნდა ეწვიოს ივერონს. ეს გამოწვეულია სიახლოვით და ივერონის გამორჩეული სტუმართმოყვარეობით. ივერთა მონასტრის პროიღუმენი კალინიკე ხუმრობდა — წმ. ათანასე ბერძენი იყო, ცხადია, ძუნწი და არასტუმართმოყვარე: ამიტომაც დააარსა თავისი მონასტერი ხალხისათვის ძნელად მისადგომ და ძნელადმისაგნებ ადგილზე. სამაგიეროდ, იოანე მთაწმიდელი ქართველი კაცი იყო, სტუმართმოყვარე, ამიტომაც ადვილად მისადგომ ადგილზე დააარსაო მონასტერი. ივერონში ნებისმიერი სტუმარი აუცილებლად უნდა მიიღონ, ღამე გაათევინონ და კარგად გაუმასპინძლდნენ. ასეთია საუკუნოვანი ტრადიცია. ამ ტრადიციით ეს მონასტერი განსხვავდება სხვა მონასტრებისაგან. ეს ცნობილია საყოველთაოდ.

პარაკლისში ივერონის მთავარ ტაძარში წირვა შესრულდა ქართულ ენაზე. ამავე დღეს თაყვანი ვეცით ივერონის წმიდა ნაწილებს. წმიდა ნაწილებით, საერთოდ, მდიდარია ივერონი. ისინი აქ, მთავარი ტაძრის ერთ-ერთ ოთახში, ვიტრინებშია გამოფენილი. ვიტრინებს მთელი ოთახი უკავიათ. აქ არის წმ. გიორგის ქვედა ყბა.

თითქმის ყველა წმიდანის წმიდა ნაწილი ინახება ათონზე. ნებისმიერი მონასტრის უმთავრეს სიმდიდრედ წმიდა ნაწილები ითვლება. მაგალითად, მონასტერი „ქსიროპოტამი" სახელგანთქმულია იმით, რომ აქ ინახება ცხოველმყოფელი ჯვრის (ანუ იმ ჯვრის, რომელზედაც დამსჭვალეს უფალი იესო ქრისტე) ყველაზე დიდი ნაწილი, ხოლო მონასტერი სიმონ-პეტრე ამაყობს მარიამ მაგდალინელის ხელის ნაწილით. ეს ნაწილი ხანდახან თბება. ეს მარიამ მაგდალინელის დიდი სიყვარულის სითბო არისო, გვითხრეს ბერებმა. ჩვენ გვქონდა ბედნიერება, გველოცა სულ სხვადასხვა წმიდანის წმიდა ნაწილებთან. მონასტრის მოლოცვისას სტუმარს თუ წმიდა ნაწილს აჩვენებენ, ეს ნიშნავს, რომ ის მიღებულია ძალზე საპატიო სტუმრად.

ათონელები ძალზე არიან დაინტერესებულები საქართველოში საუკუნეთა მანძილზე დაცულ წმიდა ნაწილთა ბედით. ბერები გვეკითხებოდნენ მათ შესახებ. მაგალითად, აინტერესებდათ, ამჟამად სად

ინახება ღვთისმშობლის სარტყლის ნახევარი. ამ სარტყლისათვის XIX საუკუნეში, ზუგდიდში აუშენებიათ სპეციალური ტაძარი. სარტყლის მეორე ნახევარი ამჟამად დაცულია საბერძნეთში და ქვეყნის მთავარ სიწმიდედ ითვლება. აინტერესებდათ, სად ინახება ამჟამად წმიდა საბა განწმენდელის დიდი ნაწილი, რომელიც XX ს დასაწყისში საფარის მონასტერში იყო დაცული. გვეკითხებოდნენ სხვადასხვა უამრავ ნაწილთა შესახებ. აინტერესებდათ ბედი იმ ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილისა, რომელიც ლევან კახთა მეფემ იერუსალიმიდან ჩამოასვენა ალავერდის მონასტერში, აგრეთვე, ლანგრისა, რომელიც საიდუმლო სერობის დროს იხმარეს და თომა მოციქულის თავის ქალასთან ერთად XIX ს-ში დაცული ყოფილა ქვაბთახევის მონასტერში, გვეკითხებოდნენ ფერხთა ფიცრისა და ქრისტეს სამხვეველთა შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ადრევე გაუტანიათ საქართველოდან, მაგრამ ისევ დაუბრუნებიათ ქართველთათვის. შუა საუკუნეების დროს და სხვა.

ათონის საზოგადოებრიობა ძალზეა დაინტერესებული საქართველოში დაცული წმიდა ნაწილების ბედით. შეიძლება ითქვას, დაინტერესებულია ისევე, როგორც ჩვენი, ქართული საზოგადოებრიობაა დაინტერესებული ათონზე დაცული ქართული ხელნაწერებითა და ნივთებით. ჩვენ შეგვეძლო ერთმანეთს შორის გაგვეცვალა ინფორმაცია ამ სიწმიდეთა შესახებ. ეს ჩვენთვის ძალზე სასარგებლო იქნებოდა, რადგანაც ათონზე გაბნეულია უამრავი ქართული ნივთი და ხელნაწერი წიგნი.

შაბათს მე ვწირე „პორტაიტისას" ტაძარში. ამ მცირე, აშოტ მუხრან-ბატონის მიერ აგებულ ტაძარში მართლმადიდებელ ქრისტიანთა საუნჯე — ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი არის დასვენებული. აქ უწყვეტად მიმდინარეობს წირვა-ლოცვა და პარაკლისი. თვით ის გასაოცარი ფაქტი, რომ ჩვენ ამ წმიდა ტაძარში ნება დაგვრთეს ქართული წირვისა, მეტყველებს ქართული ეკლესიის ახლანდელი დიდი ავტორიტეტის შესახებ. ეს იყო ნიშანი მოკრძალებისა და პატივისცემისა ივერიელი ქტიტორებისადმი. ჩვენ წინასწარ რამდენჯერმე გაგვაფრთხილეს, გვეწირა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე. მათ მიაჩნდათ, რომ ქართული წირვის შემდეგ იოანე, ექვთიმე, გიორგი და გაბრიელ მთაწმიდელები უფრო მეტი მეოხნი და მფარველნი იქნებოდნენ ღვთის წინაშე ივერთა მონასტრისა, რომ ქართულ მონასტერში, ქართული წირვის შემდეგ, ღმერთი უფრო მეტ მოწყალებას გაიღებდა მონასტრისადმი. ვწირე მარტო, რადგანაც საკურთხევლის სიმცირის გამო სხვების თანამონაწილეობა წირვაში უხერხულობას შექმნიდა.

მე შემმოსეს XVI საუკუნის ქართული შესამოსლით. ეს ჩემთვის იყო დიდი ბედნიერება და მოწყალება ღვთისა. ვმადლობ უფალს, რომ ღირსი გავხდი ქართულად მეწირა ივერთა ღვთისმშობლის უწმიდესი ხატის ტაძარში.

შაბათს, წირვის შემდეგ, მოვილოცეთ ათონის მონასტრები — სიმონ-პეტრე, ქსიროპოტამი, პანტელეიმონი, სტავრონიკიტა.

სიმონ-პეტრეს მონასტერი აშენებულია უზარმაზარ კლდეზე და შორიდან ციხე-ქალაქს ჰგავს. დაუვიწყარია სიმონ-პეტრეს ბერები. ყველა უმაღლესი განათლებითაა. ამით ეს მონასტერი გამორჩეულია. კეთილმოსილება, სიყვარული და სათნოება აღბეჭდილი მათ ფერმკრთალ სახეებზე. მიუხედავად განათლებისა და სულიერი სიმაღლისა, ისინი ყველანი მორჩილნი და თავმდაბალნი არიან. სიმონ-პეტრედან წასვლისას ჩვენს გასაცილებლად მონასტრიდან ბერები გამოიშალნენ. ისინი ჩვენი დელეგაციის წევრმა, მამა ალექსანდრე მათიაშვილმა შეადარა ბარტყებს მერცხლის ბუდეში. სიმონ-პეტრე მართლაც ჰგავს კლდეზე აშენებულ მერცხლის ბუდეს, ხოლო ბერები შავი შესამოსლით და საყელოზე თეთრი ზოლით — მერცხლებს. აქ 50 ბერია.

„პანტელეიმონის" რუსთა მონასტერში დიდი სიხარულით შეგვხვდნენ. ვემთხვიეთ წმიდა პანტელეიმონის ნაწილებს. ღვთისმშობლის საფარველის ტაძარში თაყვანი ვეცით იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატს. პარაკლისის შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე.

მონასტერი სტავრონიკიტა პატარა, მაგრამ ცნობილი მონასტერია. ის მდებარეობს ივერონის მონასტრის მეზობლად. ივერონელები მის ბერებს დიდ პატივს სცემენ.

კვირას ივერონის მთავარ ტაძარში ჩავატარეთ შერეული, ქართულ-ბერძნული წირვა. მწირველები ვიყავით ყველანი. შეიმოსა მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე. აგრეთვე, მე და ჩვენი დელეგაციის წევრები. ყველა ჩვენთაგანმა ვიგრძენით, როგორი გარდამოვიდა ჩვენზე მადლი ღვთისა — ეს გამოიხატა ერთმანეთის მიმართ მომეტებული სიყვარულისა და პატივისცემის შეგრძნებით. წირვის შემდეგ მიგვიწვია ივერონის უხუცესთა საბჭომ. გამოითქვა სურვილი ჩვენს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებისა. აქვე დაადგინეს, საპასუხო ვიზიტით გამოეგზავნათ ივერონის სამი ბერი საქართველოში. მართლაც, საქართველოში ჩვენი დაბრუნების შემდეგ, ჩვენს სამოციქულო ეკლესიას ეწვია სამი მეთაური — პროიღუმენი მაქსიმე, პროიღუმენი კალინიკე და საქმეთა მმართველი ანთიმოზი.

კვირა საღამოს გამოსათხოვარი ქართული პარაკლისი გავმართეთ ივერონის ღვთისმშობლის ხატთან. ჩვენ ვეთხოვებოდით დედა-ღვთისას — მფარველს და მეოხს ქართველი ერისას, ვეთხოვებოდით ივერონსა და ათონს. ამ დროს ძნელი იყო ცრემლის დამალვა. ჩვენ ცრემლით, ტირილით ვთხოვდით დედა-ღვთისას შეწევნასა და მფარველობას მისდამი წილხვედრი ივერთა მიწისა და ერისა.

ორშაბათს პროტოპრესვიტერ კალინიკეს ნავსადგურ დაფნიმდე მიგვაცილა. თესალონიკში ოფიციალური მიღება გვქონდა თესალონიკის მიტროპოლიტ პანტელეიმონთან. მან მოგვმართა სიტყვით, რომელშიც გაგვაცნო თესალონიკის ეკლესიის ახლანდელი მდგომარეობა. ის მეთაურია თესალონიკის უნივერსიტეტისა. მან გამოთქვა აზრი, რომ უნივერსიტეტში 2 ქართველი სტუდენტის მიღების სურვილი. საქართველოს ეკლესიიდან წარმოგზავნილ ორ ახალგაზრდას უნივერსიტეტში ჩვენივე ხარჯებით და სტიპენდიით მიეღებინებთ განათლებაო. მანვე გაგვაცნო გეგმა, რომლის მიხედვით გადაწყვეტილი აქვს შექმნას მართლმადიდებლობის შემსწავლელი თეოლოგიური ცენტრი თესალონიკში, ყველა ეკლესიიდან წარმომადგენლების მონაწილეობით. მან გამოთქვა სურვილი, საქართველოს ეკლესიამაც წარგზავნოს მუდმივი წარმომადგენელი ამ ცენტრშიო. საპასუხო სიტყვაში ვუსურვეთ აყვავება თესალონიკისა და საბერძნეთის ეკლესიას. მიტროპოლიტმა პანტელეიმონმა დაგვაჯილდოვა წმიდა სიმონის მედლებით.

თესალონიკში ვილოცეთ სამიტროპოლიტო და დიმიტრი თესალონიკელის უძველეს, დიდებულ ტაძარში.

ათენში დავყავით რამდენიმე დღე. ვცხოვრობდით ათენის ახლოს, პენდელის მონასტერში, ჩვენი კეთილი მასპინძელი იყო ამ მონასტრის წინამძღვარი. ელადის ეკლესიის მეთაურის ქორეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი. ის ადრე იყო სინას მთის მონასტრების იღუმენი — მეთაური. მას ხელი მიუწვდება სინას მთის ქართულ ხელნაწერებზე.

რამდენიმე დღე გვქონდა ათენის დასათვალიერებლად, მისი შემოგარენის, მონასტრებისა და ეკლესიების მოსალოცად. ათენში 1000 მოქმედი ეკლესიაა — ეკლესიები დიდებულადაა მოვლილი. ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ქალთა მონასტერმა — დაუ-პენელმა. ეს მონასტერი მეათე საუკუნემდე დაუარსებიათ ტაოდან ჩამოსულ ქართველ ბერებს — ასეთია ადგილობრივი გადმოცემა. მონასტრის მთავარი ტაძრის ერთი ნაწილი მართლაც ჰგავს ქართულ ტაძარს — ჯვრის ტიპისას. ასეთივეა ათონზე, ტყეში ჩაკარგული ერთი ტაძარი — ესაა ორმეოც მოწამეთა ეკლესია, — ახევე მსგავსი ჯვრის ტიპისა. ძალზე კარგად არის მოწყობილი სამონასტრო ცხოვრება ქალთა მონასტერ დაუ-პენდელში. აქაური მონოზვნები ხატავენ ხატებს, ქარგავენ, გამოჰყავთ მცენარეთა და ყვავილთა ნერგები, ჰყავთ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ფარები, კეთილად აწყობენ ეკლესიასა და საცხოვრებელ ბინებს. გასაოცარია მათი ლოცვა-მორჩილება. აქ დაინტერესდნენ ქალთა ქართული მონასტრების ცხოვრებით. მათ შემოგვთავაზეს ჩვენთვის ძალზე საინტერესო აზრი: გამოცდილების გასაზიარებლად მიიწვიონ საქართველოდან 2—3 მონოზონი. ეს მონოზვნები იცხოვრებენ დაუ-პენდელში, მცირე ხნით.

ათენში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით ვეწვიეთ საბერძნეთის ეკლესიის მეთაურს — ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს სერაფიმეს.

შეხვედრისა და გულითადი მოკითხვის შემდეგ მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ სიტყვით მიმართა მის უნეტარესობას, მთავარეპისკოპოს სერაფიმეს და იქ დამსწრე პირთ.

თქვენო უნეტარესობავ, ბატონო სერაფიმე, ყოვლადსამღვდელონო ეპისკოპოსნო, მღვდელნო და დიაკონნო. ჩვენ წმიდა მთიდან, ათონიდან მობრუნებულნი გეახელნით, ვინაიდან ვერ მოგვიხერხდა თქვენი ნახვა იქით წასვლისას (თქვენ თათბირებზე ბრძანდებოდით დაკავებული). ჩვენ წმიდა მთიდან მოვბრუნდით აუწერელი შთაბეჭდილებებით. „ივერონის" გარდა, მრავალი მონასტერი მოვილოცეთ და მრავალი სიწმიდის თაყვანისცემის ღირსნი გავხდით. ათონის ხილვამ კიდევ უფრო გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ჩვენი ერების ურთიერთობაზე, მის წარსულსა და აწმყოზე. ქართველ და ბერძენ ერთა მეგობრობა შორეული წარსულიდან არის გასხივოსნებული. პირველი მღვდლები, რომელთაც ხალხი მონათლეს მტკვარში, კონსტანტინე დიდმა უბოძა საქართველოს. ჩვენი წმიდა დედისა და მოციქულთა სწორის, ნინოს რჩევით, კეთილმეგობრული ურთიერთობა დაამყარა მირიან მეფემ კონსტანტინე დიდთან. ეს იყო მე-4 საუკუნის დასაწყისი.

დღეს კი, ახალმა ეკუმენურმა ურთიერთობამ კვლავ დაგვაახლოვა, კვლავ გამრთელდა ის ისტორიული ძარღვი, რომელიც დროებით შესუსტებული იყო.

ჩვენმა წარმომგზავნმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა, ილია II მოგიკითხათ ძმური, ქრისტიანული სიყვარულით და ელადის წმიდა ეკლესიას უსურვა შემდგომი აყვავება, ბერძენ ხალხს — გაძლიერება და გამრავლება... მაგრამ აქვე მინდა გამოვთქვა გულისტკივილი იმის გამო, რომ თქვენს (წინა წლების) საეკლესიო კალენდარში საქართველოს ეკლესია მოხსენიებულია არა როგორც ავტოკეფალური ეკლესია, ისე როგორც ეს მომდინარეობს ისტორიულად, V საუკუნიდან, არამედ, როგორც ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია. ამავე დროს, ხშირად არ-

ღვეენ მოხსენიების წესს: საქართველოს ეკლესიას არ იხსენიებენ თავის ადგილზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ეს და თქვენს მომავალი წლის კალენდარში შეიტანოთ შესწორება და საქართველოს ეკლესია მოიხსენიოთ, როგორც ერთ-ერთი უძველესი, ავტოკეფალური ეკლესია, რომელმაც V საუკუნის მეორე ნახევარში დიდი მეფის, ვახტანგ გორგასალის დროს, ანტიოქიის ეკლესიისაგან მიიღო ავტოკეფალია. იმედი გვაქვს, ჩვენი მეგობრული ურთიერთობა სწორი გზით განვითარდება. ჩვენ დაიმედებულნი წავალთ ჩვენს სამშობლოში იმით, რომ არა მარტო ვიხილეთ მრავალი კარგი და დიდებული რამ, არამედ ჩვენს ეკლესიებს განვუმტკიცეთ და გავუადვილეთ მომავალი საქმიანობა და მეგობრობა.

საპასუხო სიტყვაში ათენისა და სრულიად ელა-ს მთავარეპისკოპოსმა იმედი გამოთქვა, რომ მო-ალში მოხდება საქართველოსა და საბერძნეთის ესიების უფრო მეტად დაახლოება.

„ჩვენ არა მარტო შევიტანთ შესწორებას ჩვენს ენდარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფა-ის შესახებ, არამედ შევეცდებით მოვიწვიოთ თლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების თათ-ში და საქართველოს ეკლესიას განვუკუთვნოთ ეისი ადგილი, როგორც ოდითგანვე ეპყრა მას. ხარული ვიქნებით, თუ წარმოგზავნით ორ-სამ უდენტს ჩვენს უნივერსიტეტებში სასწავლებ-დ.“ უნეტარესმა იერონიმემ ილაპარაკა ახალ ემებზე, რაც მიმართულია მართლმადიდებელი ესიის გაძლიერებისაკენ. მან მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე და მე მშვენიერი პანაღიებით, ხოლო დელეგაციის დანარჩენი წევრები ჯვრებით დაგვაჯილდოვა.

ავენივე თხოვნით მიგვიღო საბჭოთა კავშირის ელჩმა ათენში, ვლადიმერ თევზაროვ... კოზიშკინმა. მიგვიღო თავის რეზიდენციაში, მოგვმართა ძალზე ღრმააზროვანი სიტყვით. გადმოგვცა საჩუქრები. შემდეგ თითოეული დავათვალიერებინა საბჭოთა საელჩოს ახალი შენობა.

მოგზაურობა დამთავრდა. შთაბეჭდილებები ღრმა და მრავალი იყო. ვმადლობ უფალს, რომ ღირსი გამხადა ათონის ივერთა მონასტრის ხილვისა და ივერიის ღვთისმშობლის წმიდა ხატის მოლოცვისა.



ა თ ო ნ ზ ე. მარცხნიდან დეკანოზი ალექსანდრე შათირიშვილი, იღუმენი იოანე (შუღლიშვილი), მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (დელეგაციის ხელმძღვანელი), ეპისკოპოსი ანანია, დეკანოზი მიხეილი (დიდენკო).

## XXVIII.

1983 წლის 6 ოქტომბრის ნაშუადღევის ორ საათსა და ათ წუთზე გემი მიადგა ურანოპოლისის ნავსადგურს. ჩამოვედი გემიდან, მივედი ჩემს სასტუმროში, გადავიხადე ფული, წამოვიღე ჩემი იქ დატოვებული ბარგი და ნაშუადღევის ოთხ საათსა და ოცდაათ წუთზე იქვე, ურანოპოლისის ერთადერთ მთავარ ქუჩაზე ჩავჯექი ავტობუსში და გავუდექი გზას თესალონიკისაკენ. გავიარეთ ისევ მრავალი დაბა-სოფელი და სამი საათისა და 30 წუთის მოგზაურობის შემდეგ, მივედით თესალონიკში, დავბინავდი ისევ კონტინენტალის სასტუმროში, და ვივახშმე მის წინმდებარე სასადილოში, რომლის დროს, "ბერძნული სალათის"(პამიდორი, კიდრი,ხახვი,ცხვრის ყველი, ზეთის ხილი და სხვა) შეკვეთისას, მომტანმა "ოლიმპიას" ფირმის ღვინოს შეკვეთა მირჩია, რაც მართლაც მეტად "შეწყობილი" გამოდგა საჭმელთან.

## XXIX.

<u>7 ოქტომბერი, 1983 წელი, ხუთშაბათი.</u>

თესალონიკიდან ცხრა საათზე გავფრინდი ათენში... და ამით, ნორმალურია, ამ ჩემი მოგზაურობის დიურიც უნდა დამთავრდეს, ვინაიდან ჩემი მიზანი "ჯვარის"(იერუსალიმი) და "ივერიონის"(ათონის მთა) მონასტრების დახვა-დათვალიერება იყო. მაგრამ ვითომ შემიძლია ანტიკური საბერძნეთის ზოგიერთ ცენტრთა გვერდის ავლას, მით უმეტეს, რომ ქართველი ერიც ელინისტური და ქრისტიანული სამყაროს პირმშო შვილად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავათ იმისა, რომ დღეს "ჩაკეტილი" ვართ ჩვენს საზღვრებში და თავისუფალი მიმოსვლის საშუალება არ გაგვაჩნია დასავლეთთან?.. ვინ იცის?!..შეიძლება, ამ მეტად საინტერესო საკითხსაც შევეხო ოდესმე!?.. ამ-ჯერად კი, ჩემი ეს მესამე მოგზაურობა იერუსალიმსა და ათონის წმინდა მთაზე მსურს დავამთავრო ასეთი (ფანტაზიური?) სურვილით: მალე დადგეს ის დრო, როცა ქართველი არა მარტო სასულიერო პირები მასობრივად იმოგზაურებენ ათონის მთაზე, პალესტინაში და,საერთოდ,

დახავლეთ ევროპაში, რომ ჩვენ, ქართველები, საქართველო, ქართველი ერი ისევ გამოვჩნდეთ საერთაშორისო ასპარეზზე, ისევ დავიკავოთ ის ადგილი მსოფლიო ქვეყნებისა და ხალხების დიდ ოჯახში, რომელიც გააჩნდა მას საუკუნეების განმავლობაში. ამის წინაპირობა კი არის ის, რომ საქართველოს ისევ უნდა გახდეს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როგორც ჩვენ ვიყავით 1918-1921 წლებში; და ვითომ ამის განხორციელება "ოცნებად" უნდა ჩაითვალოს დღეს, ატომურ ეპოქაში, როცა ათობით აფრიკის, აზიის თუ ლათინური ამერიკის ქვეყნები დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები გახდენ, რომ იტყვიან ხოლმე, "ჩვენს თვალწინ"?!.." ვითომ ახალი გვინეის პაპუასები უფრო ღირსნი არიან შექმნან დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, გახდენ გაერთიანებული ერების წევრი, ჰყავდეთ ელჩები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და სხვა, ვიდრე ქართველი ერი?.. ამას უნდა ჩავუფიქრდეთ არა მარტო ჩვენ, ქართველები, არამედ ის ერიც, რომელიც ჩვენზე ბატონობს და, ამ შემთხვევაში, იმის საშაულებასაც კი არ გვაძლევს, რომ თავისუფალი სახელმწიფოებრივი ურთიერთობა გაგვაჩნდეს ჩვენს უძველეს მეგობარ-სახელმწიფო საბერძნეთთან თუ ისრაელთან, რომლების ტერიტორიაზეა აღნიშნული "ჯვარისა" და "ივერიონის" მონასტრები.

აი, ამ "ფანტაზიური"(?) სურვილით ვამთავრებთ აწ ჩემი მეხამე მოგზაურობის დღიურს პალესტინასა და ათონის წმინდა მთაზე.

კარლო ინასარიძე

1983 წლის ოქტომბერი

ჯვარი

ივერიონი

1983



ΙΕΡΑ ΜΟΝΗ ΤΩΝ ΙΒΗΡΩΝ
ΑΓΙΟΝ ΟΡΟΣ
ΑΘΩ



~~DR.~~ KARLO INASARIDSE
SCHOENSTRASSE 7a
8000 MÜENCHEN 90
WEST-- G E R M A N Y.
*************************-

# XXX.

დავბრუნდი რა,შთაბეჭდილებებით აღსავსე, ისრაელსა და საბერძნეთში მოგზაურობიდან, ჩემი განზრახვა გამეგზავნა "ჯვარისა" და "ივერიონის" მონასტრებში სანთლები, რომლებიც ასე მოეწონათ ბერებს "ივერიონის" მონასტერში, დაუყონებლივ განვახორციელე. ქრისტეს შობის დღესასწაულის მოახლოებისას სანთლების ერთი ამანათი "ივერიონის" მონასტერში, ხოლო მეორე ამანათი "ჯვარის" მონასტერში გავაგზავნე. თანდართულ წერილში კი, სხვათა შორის, ვწერდი შემდეგს:
"გთხოვთ, აანთოთ ეს სანთლები როგორც სიმბოლო მარადიული სინათლისა ისტორიული მეგობრობის გასარღმავებლად ბერძენ და ქართულ სამოციქულო ეკლესიებსა და ერებს შორის".

პასუხი მივიღე მხოლოდ "ივერიონის" მონასტრიდან, აი,ამ წერილის შინაარსი:(<u>ინგლისური თარგმანი</u>)

21 December 1983

The Holy Monastery of the Iberians
The Holy Mountain
Athos

To Mr. Karlo Inasaridse
Schoenstrasse 72a
8000 Munich 90
West Germany

We received your letter of the 7.11.1983 and the parcel of handsome gifts which you were kind enough to send us in time for the Holy Feasts of the Birth of Christ, in remembrance of your recent visit to our Holy Monastery of the Iberians.

We would like to express to you our profound gratitude for your affection and kindness and pray that the Lord may grant your most heartfelt wish.

With great respect and fatherly love
in Christ, we remain
The Administrators of the Holy Monastery of the Iberians

Signatures follow

(ბერძნული ორიგინალი)

ΙΕΡΑ ΜΟΝΗ ΤΩΝ ΙΒΗΡΩΝ
ΑΓΙΟΝ ΟΡΟΣ
ΑΘΩ
★

'Αριθ. Πρωτ. 468 ... τῶν 'Ιβήρων τῇ 2Ι Δεκεμβρίου Ι983

Πρός
τόν κ. KARLO INASARIDSE
SCHOENSTRASSE 72a
8000 MÜNCHEN 90
WEST- GERMANY

'Εγκαίρως ἐλάβομεν τήν ἀπό 7-ΙΙ-Ι983 ἐπιστολήν Σας καθώς καί τό δέμα μέ τά ὡραῖα δῶρα, πού εἴχετε τήν εὐγενῆ θεί διάθεσιν ν'ἀποστείλητε, ἐν ὄψει τῶν 'Αγίων 'Εορτῶν τῆς Χριστοῦ Γεννήσεως, εἰς ἀνάμνησιν τῆς ἐπισκέψεώς Σας προσφάτως εἰς τήν 'Ιεράν ἡμῶν Μονήν τῶν 'Ιβήρων.-

'Εκφράζομεν πρός ὑμᾶς ἀπείρους εὐχαριστίας, διά τήν ἐκδηλωθεῖσαν ἀγάπην καί εὐγένειαν καί Σᾶς εὐχόμεθα ὁ Κύριος νά Σᾶς χαρίζῃ ὅ,τι ἐπιθυμεῖτε.-

Μετά πολλῆς τιμῆς καί πατρικῆς ἀγάπης
ἐν Χριστῷ, διατελοῦμεν,
Οἱ 'Επίτροποι τῆς 'Ιερᾶς Μονῆς τῶν 'Ιβήρων

+ Προηγ. Μάξιμος
+ Γ. Ἄνθιμος
+ Προηγ. Γερβάσιος

(ქართული თარგმანი)

იბერიელთა წმინდა მონასტერი
წმინდა ათონის მთაზე                1983 წლის 21 დეკემბერი

ბატონ კარლო ინასარიძეს
მოენშტრასე 72 ა
8000 მიუნხენი 90
დასავლეთი გერმანია

ჩვენ მივიღეთ 1983 წლის 7 ნოემბრით დათარიღებული თქვენი წერილი და ამანათი სანთლებით, რომელიც თქვენ გამოაგზავნეთ ქრისტეს შობის დღესასწაულის პერიოდში, რომ მოგვეგონებინათ თქვენი ამასწინანდელი სტუმრობა იბერიელთა წმინდა მონასტერში.

ჩვენ გვსურს გამოვთქვათ ჩვენი გულწრფელი მადლობა თქვენი ყურადღებისა და კეთილგანზრახვისათვის და ვევედრებით ღმერთს თქვენ მოგანიჭოთ თქვენი კეთილი სურვილების განხორციელების უნარიანობა.

ღრმა პატივისცემით და მამობრივი სიყვარულით ქრისტეში, ჩვენ, იბერიელთა წმინდა მონასტრის მმართველები ვრჩებით თქვენი პატივისმცემელი

პროტოიერეი მაქსიმოს
იერონ მაქსიმოს
პროტოიერეი პერვასიოს

სამება

ჯვარი

ივერიონი

1983

**ჯვარი**
1983

## ჯვრის მონასტერი — ქართული სასულიერო და კულტურული ცენტრი პალესტინაში



იერუსალიმი. ქართველი "ჯვრის" მონასტერი. "იმისი საფუძველი დიდის კონსტანტინე ბერძენთა და რომთა იმპერატორის დროს მირიან მეფეს დაუდვია". (მარი ბროსე). "იბერიის მეფეთა კულტურული მოღვაწეობა პალესტინაში განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს მას შემდეგ, რაც იქ მკვიდრდება დიდი ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი (411-491)! ი.[illegible]

**ივერიონი**
1983

## ქართული კულტურის კერა ათონზე

**The Holy Mount Athos**

**The Monastery of "IVIRON"**

**G r e e c e**

# ΑΓΙΟ ΟΡΟΣ
# MOUNT ATHOS

ΙΕΡΑ ΜΟΝΗ ΙΒΗΡΩΝ

GREECE ΕΛΛΑΔΑΣ

ΙΕΡΑ ΜΟΝΗ ΙΒΗΡΩΝ

GREECE ΕΛΛΑΔΑΣ



*Ιη. ΙΕΡΑ ΙΔΙΟΡΡΥΘΜΟΣ ΜΟΝΗ ΙΒΗΡΩΝ*

ΛΛΗΝΟΡΘΟΔΟΞΟΝ ΠΑΤΡΙΑΡΧΕΙΟΝ
ΙΕΡΟΣΟΛΥΜΩΝ
ΙΕΡΑ ΜΟΝΗ Τ. ΣΤΑΥΡΟΥ
Τηλ. 34442
Ταχ. Κιβ. 63

GREEK ORTHODOX PATRIARCHATE
OF JERUSALEM
MONASTERY OF THE H. CROSS
ISRAEL
Tel. 34442
P.O.Box 63

Dear Mr Carlo

Before two days I received the tape and your letter I thank you very much
I want to keep this tape in the archives of our Monastery and I want to write there about your visit
My best wishes to your wife and your childrens.

Sincerely yours
Rev. Joachim Meimaris
Superior of the Monastery of the Holy Cross

Jerusalem 14-5-67

ΙΕΡΑ ΜΟΝΗ Τ. ΣΤΑΥΡΟΥ
MONASTERY OF THE H. CROSS

ΕΛΛΗΝΟΡΘΟΔΟΞΟΝ ΠΑΤΡΙΑΡΧΕΙΟΝ
ΙΕΡΟΣΟΛΥΜΩΝ

ΙΕΡΑ ΜΟΝΗ Τ. ΣΤΑΥΡΟΥ

Τηλ. 34442
Ταχ. Κιβ. 63

GREEK ORTHODOX PATRIARCHATE
OF JERUSALEM

MONASTERY OF THE H. CROSS
ISRAEL

Tel. 34442
P. O. Box 63

055574

Dr.
Carlo Inasaridse
München 9
Schön str 72a
West-Germany

BY AIR MAIL
PAR AVION

Rev. Joachim Mémari
Superior of the Monastery

GREEK ORTHODOX PATRIARCHATE
JERUSALEM
MONASTERY OF THE CROSS

1967 ...

ΙΕΡΑ ΕΠΙΣΤΑΣΙΑ
ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ
ΑΘΩ

Αριθ. πρωτ. 1418

ΚΑΡΥΑΙ τῇ 13/11/1967




# ΔΙΑΜΟΝΗΤΗΡΙΟΝ

## ΠΡΟΣ
## ΤΑΣ ΕΙΚΟΣΙΝ ΙΕΡΑΣ ΚΑΙ ΣΕΒΑΣΜΙΑΣ ΜΟΝΑΣ
## ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ
## ΑΘΩ

Ὁ κομιστὴς τοῦ παρόντος Ἱεροκοινοσφραγίστου καὶ ἐνυπογράφου γράμματος ἡμῶν κ. INASARIDSE KARLO ... Σμαναθίτης

συνιστώμενος ὑμῖν ὑπὸ τοῦ Υ Β Ε ... μὲ ἄδειαν παραμονῆς 5 ἡμέρας

ἀφίκετο πρὸς ἐπίσκεψιν τῶν Ἱερῶν Σκηνωμάτων καὶ προσκύνησιν τῶν ἐν Αὐτοῖς ἀποκειμένων Ἱερῶν καὶ Ὁσίων τῆς Πίστεως ἡμῶν.

Παρακαλεῖσθε ὅθεν, ὅπως παράσχητε αὐτῷ, πρὸς τῇ φιλόφρονι ὑποδοχῇ καὶ πᾶσαν ἅμα δυνατὴν φιλοξενίαν καὶ περιποίησιν πρὸς ἐκπλήρωσιν τοῦ δι' ὃν ἔρχεται αὐτόσε σκοποῦ.

Ἐφ' ᾧ καὶ διατελοῦμεν λίαν φιλαδέλφως ἐν Χριστῷ ἀδελφοί.

Οἱ Ἐπιστάται τῆς Ἱερᾶς Κοινότητος τοῦ Ἁγίου Ὄρους Ἄθω.

Ὁ Βατοπαιδίου Πρωτεπιστάτης [signature]
» Κασταμονίτου Ἐπιστάτης [signature]
» Καρακάλλου » [signature]
» Σταυρονικήτα » [signature]

ΙΕΡΑ ΜΟΝΗ ΤΩΝ ΙΒΗΡΩΝ
ΑΓΙΟΝ ΟΡΟC
ΑΘΩ
*

Dr. Carlo
INASARIDSE
8 Munich 9
Schönstr. 72a
West - GERMANY



Εὐχαριστοῦμεν, εἰς εὐχάς
Σας - καὶ τὰ ἀνταπέμπομεν
Νέον Ἔτος 1968 Ἐπευ-
χόμενοι ὑμῖν πᾶσαν
Εὐλογίαν καὶ ἐνίσχυσιν
εἰς τὰ καθήκοντα Σας

ΟΙ ΕΠΙΤΡΟΠΟΙ
ΤΗΣ
ΙΕΡΑΣ & ΣΕΒΑΣΜΙΑΣ ΜΟΝΗΣ
ΙΒΗΡΩΝ

ΑΓΙΟΝ ΟΡΟΣ Ι.Μ. Ἰβήρων
MOUNT ATHOS Monastery of Iviron
MONT ATHOS Monastère d'Iviron
BERG ATHOS Kloster Iviron

ΙΩΑΝΝΗΣ ΡΕΚΟΣ & ΥΙΑ ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ

Τῇ 10/1/68

Dr. Carlo IMASARIPSE
8 Munich 9
Schön str. 72a.
West-Germany



Konsulat
der
Bundesrepublik Deutschland
Saloniki

RK V 3

Saloniki, den

**Betr.:** Erlaubnis für den Besuch der Klöster auf dem Berg A T H O S.

**Bezug:** Schreiben vom

Sehr geehrter Herr!

Unter Bezugnahme auf Ihr obengenanntes Schreiben wird Ihnen folgendes mitgeteilt:

Die Erlaubnis zum Besuch der Klöster der Mönchsrepublik Athos wird vom Ministerium für Nordgriechenland erteilt. Diese Erlaubnis erhalten nach den derzeit geltenden griechischen Richtlinien nur solche männliche Personen (Frauen haben keinen Zutritt), von denen ein ausreichendes Verständnis für die kunsthistorischen und kirchlich religiösen Werte der Mönchsrepublik und ihrer Klöster erwartet werden kann. Personen über 25 Jahren erhalten in der Regel die Besuchserlaubnis. Personen von 20-25 Jahren können nur noch dann mit der Erteilung einer Besuchserlaubnis rechnen, wenn sie durch ihren Studentenausweis oder eine entsprechende Bescheinigung nachweisen, daß sie einem Studium obliegen, das in engerer Beziehung zu den Ideen und Kunstschätzen des Berges Athos steht, wie dies beispielsweise auf Studenten der Theologie, der Kunstgeschichte, der Architektur und auf Besucher einer Kunstakademie zutrifft. Personen unter 20 Jahren erhalten eine Erlaubnis nur, wenn sie in Begleitung ihres Vaters sind.

Geistliche der katholischen und protestantischen Bekenntnisse benötigen für den Besuch des Berges Athos eine besondere Erlaubnis des Patriarchen von Konstantinopel, die auf Grund eines Empfehlungsschreibens ihres zuständigen Bischofs bzw. der deutschen Landeskirchenbehörde erteilt wird.

Von allen Touristen wird erwartet, daß sie beim Besuch des Athos und seiner Klöster in einigermaßen dezenter Kleidung auftreten, Besucher in Shorts werden grundsätzlich zurückgewiesen.

Der Antrag für die Genehmigung zum Besuch der Klöster des Berges Athos kann nicht schriftlich gestellt werden, da eine persönliche Vorstellung des Antragstellers erforderlich ist. Das zur Antragstellung notwendige Empfehlungsschreiben des Konsulats der Bundesrepublik Deutschland in Saloniki wird nach Vorlage des deutschen Reisepasses und des evtl. erforderlichen o.e. Studentenausweises (bzw. Bescheinigungen) werktags von 9-12 Uhr ausgestellt. Die griechischen Formalitäten können bei frühzeitiger Vorsprache im Konsulat am gleichen Vormittag erledigt werden.

Die ermäßigte Gebühr für das Empfehlungsschreiben des Konsulats beträgt 3,- DM = z.Zt. 22,50 Drachmen und ist bei Aushändigung desselben zu entrichten.

Von Saloniki aus gibt es z.Zt. folgende Reisemöglichkeiten:
Mit Omnibus Saloniki ab etwa 7 Uhr bis Jerissos dort Anschluß zum Motorboot Tripiti ab etwa 12.30 Uhr zum Berg Athos.
Mit Omnibus Saloniki ab etwa 14.15 Uhr bis Jerissos dort Anschluß zum Motorboot Tripiti ab etwa 6.30 Uhr nur am darauffolgenden Tag.
Diese Angaben sind ohne Gewähr, da Fahrplanänderungen möglich.
Eine Schiffsverbindung ab Saloniki besteht nur in den Sommermonaten und kann nur bei ruhiger See empfohlen werden.

Hochachtungsvoll
Im Auftrag

1981 [illegible]

ΙΕΡΑ ΕΠΙΣΤΑΣΙΑ
ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ
ΑΘΩ

Α/Α 004913

ΚΑΡΥΑΙ, ΤΗ 10 – 5 – 1981




# ΔΙΑΜΟΝΗΤΗΡΙΟΝ

ΠΡΟΣ

ΤΑΣ ΕΙΚΟΣΙΝ ΙΕΡΑΣ ΚΑΙ ΣΕΒΑΣΜΙΑΣ ΜΟΝΑΣ
ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ

Ὁ κομιστὴς τοῦ παρόντος Ἱεροκοινοσφραγίστου καὶ ἐντυπογράφου γράμματος ἡμῶν

INASARIDSE Kato

ἐκ Γερμανίας

συνιστώμενος ἡμῖν ὑπὸ τοῦ ..........

.......... μὲ ἄδειαν παραμονῆς ἡμερῶν (4) τεσσάρων

ἀφίκετο πρὸς ἐπίσκεψιν τῶν Ἱερῶν σκηνωμάτων καὶ προσκύνησιν τῶν ἐν Αὐτοῖς ἀποκειμένων Ἱερῶν καὶ Ὁσίων τῆς Πίστεως ἡμῶν.

Παρακαλεῖσθε ὅθεν, ὅπως παράσχητε αὐτῷ, πρὸς τῇ φιλόφρονι ὑποδοχῇ καὶ πᾶσαν ἄμα δυνατὴν φιλοξενίαν καὶ περιποίησιν πρὸς ἐκπλήρωσιν τοῦ δι' ὃν ἔρχεται αὐτόσε σκοποῦ.

Ἐφ ᾧ διατελοῦμεν λίαν φιλαδέλφως ἐν Χριστῷ ἀδελφοί

ΟΙ ΕΠΙΣΤΑΤΑΙ ΤΗΣ ΙΕΡΑΣ ΚΟΙΝΟΤΗΤΟΣ ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΟΡΟΥΣ ΑΘΩ

Ο ΒΑΤΟΠΑΙΔΙΟΥ ΠΡΩΤΕΠΙΣΤΑΤΗΣ ..........

Ο ΚΟΥΤΛΟΥΜΟΥΣΙΟΥ ΕΠΙΣΤΑΤΗΣ ..........

Ο ΚΑΡΑΚΑΛΛΟΥ ..........

Ο ΣΤΑΥΡΟΝΙΚΗΤΑ ..........



ლევილის ქართული
მამულის
ბიბლიოთეკა

Bibliothèque du Chateau
de Leuville
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
France

ჯვარი ვაზისა, (335 წ.)

(დაცულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში).

* წმ. ნინოს ვაზის ჯვრის შესახებ ცნობები იხილეთ Епископ Кирион. Краткий очерк истории Груз. церкви, გვ. 335–345. М. Тхемаладзе, Тифлисский Сионский кафедральный собор, 1904 წ. გვ. 21—33. А. Натроев, Мцхета и его собор Свети-Цховели, 1901 წ. გვ. 129—132. «Весь Кавказ», 1903 წ. № 1. ისტორიული განყოფილება, გვ. 50–51. მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, 1886 წ. გვ. 143. მელ. კელენჯერიძე, საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია, 1918 წ. გვ. 25–27.



თამარ მეფის ჯვარი



ღირსნი მამანი იოანე, გაბრიელ და ექვთიმე
მთაწმიდელები

ქართული ანბანი

| მრგლოვანი | ნუსხური | მხედრული | რიცხვითი მნიშვნელობა |
|---|---|---|---|
| Ⴀ | ⴀ | ა | 1 |
| Ⴁ | ⴁ | ბ | 2 |
| Ⴂ | ⴂ | გ | 3 |
| Ⴃ | ⴃ | დ | 4 |
| Ⴄ | ⴄ | ე | 5 |
| Ⴅ | ⴅ | ვ | 6 |
| Ⴆ | ⴆ | ზ | 7 |
| Ⴡ | ⴡ | ჱ | 8 |
| Ⴇ | ⴇ | თ | 9 |
| Ⴈ | ⴈ | ი | 10 |
| Ⴉ | ⴉ | კ | 20 |
| Ⴊ | ⴊ | ლ | 30 |
| Ⴋ | ⴋ | მ | 40 |
| Ⴌ | ⴌ | ნ | 50 |
| Ⴢ | ⴢ | ჲ | 60 |
| Ⴍ | ⴍ | ო | 70 |
| Ⴎ | ⴎ | პ | 80 |
| Ⴏ | ⴏ | ჟ | 90 |
| Ⴐ | ⴐ | რ | 100 |
| Ⴑ | ⴑ | ს | 200 |
| Ⴒ | ⴒ | ტ | 300 |
| Ⴣ | ⴣ | ჳ | |
| Ⴓ[ႭჃ] | ⴓ | უ | 400 |
| Ⴔ | ⴔ | ფ | 500 |
| Ⴕ | ⴕ | ქ | 600 |
| Ⴖ | ⴖ | ღ | 700 |
| Ⴗ | ⴗ | ყ | 800 |
| Ⴘ | ⴘ | შ | 900 |
| Ⴙ | ⴙ | ჩ | 1000 |
| Ⴚ | ⴚ | ც | 2000 |
| Ⴛ | ⴛ | ძ | 3000 |
| Ⴜ | ⴜ | წ | 4000 |
| Ⴝ | ⴝ | ჭ | 5000 |
| Ⴞ | ⴞ | ხ | 6000 |
| Ⴤ | ⴤ | ჴ | 7000 |
| Ⴟ | ⴟ | ჯ | 8000 |
| Ⴠ | ⴠ | ჰ | 9000 |
| Ⴥ | ⴥ | ჵ | 10000 |

კარლო ინასარიძე

# რადიოდღიური

## ჯვარი

## ივერიონი

1983

რადიოდოკუმენტარია

მიუნხენი 1984 წელი